# საერთო გაზეთი

№9 (362) • 16 მარტი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.







## რას გამოუცხადა სოლიდარობა ქვეყნის სინდისის და ღირსების სიმბოლომ, პრეზიდენტმა, ანუ რა განსხვავებაა ჩვეულებრივ სექსუალურ ცხოვრებასა და ბოზობას შორის?!

## რამდენად ნორმალურია, როცა ღარიბ-ღატაკი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე მილიონი ლარის დანესებას მოითხოვს „მდიდარი სექსუალური ცხოვრების“ ამსახველი კადრების შემქმნელ-გამავრცელებლების გამოსავლენად?



**ნიკუშა შენგელაია:**

## საქართველო ევროპისგან დავიწყებული ევროპაა, რომელიც დღეს ევროპული ღირებულებების გადარჩენისთვის უფრო მეტს იბრძვის, ვიდრე თავად ევროპა



**ბესო ლაგვილავა:**

## თუ გვინდა საქართველო აღორძინდეს, წარმატებული ქართველების მთავარი მიზანი წარმატებული საქართველოსთვის თავდადებული შრომა უნდა იყოს







**ტრისტან წითელაშვილი:**

## კატეგორიულად გთხოვთ, არცერთი სიტყვა არ შემიცვალოთ — ევროპაში „რესპუბლიკელებს“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ პირდაპირ დაადეს ხელი ქვეყნის ღალატში!



## პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს

# რას გამოუცხადა სოლიდარობა ქვეყნის სინდისის და ღირსების სიმბოლომ, პრეზიდენტმა, ანუ რა განსხვავებაა ჩვეულებრივ სექსუალურ ცხოვრებასა და ბოზობას შორის?!

„სექსი და სექსუალური ცხოვრება არ არის სამარცხვინო. მე, პირადად, მაქვს სექსუალური ცხოვრება, მქონია სექსუალური ცხოვრება ძალიან მდიდარი და მექნება კიდევ მომავალში და იცოდეთ, რომ ყოველთვის დაგიცავთ თქვენ და ამ თემას ყოველთვის მოვაშორებ რაღაც, უაზრო, შავ-ბნელ სტიგმას“ – ასე მიმართა პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებითა და შემდგომი კადრების გამოქვეყნების პერსპექტივით დაზაფრულ საქართველოს მოქალაქეებს.

უცნაური რამ ხდება ამ ბოლო დროს საქართველოში, ადამიანთა მკვეთრად კონკრეტული ერთი ჯგუფი სხვადასხვა დროს უცბად ხდება ის, რაც იმ დროს დროულად ან მოდურად ეჩვენება, არ აქვს მნიშვნელობა რომელიმე პიროვნების გვარ-სახელს მოირგებს („მე დღეს ბაჩო ვარ! (გიგი, ვანო) თუ რომელიმე ჟურნალისას („შარლი ებდო“). შესაბამისად, ახლა უკვე პირად ცხოვრებაზე დაიწყეს საუბარი და პრეზიდენტიც აჰყვა თუ ჩაითრიეს, ძნელი გასარკვევია. აღსანიშნავია მხოლოდ ის განსაკუთრებულობა, რომ ამ შემთხვევაში კონკრეტული პიროვნების გვარ-სახელს არ ახსენებენ, არ ამბობენ, დღეს მეც „ის“ ვარო, მაგრამ სანაცვლოდ ამბობენ, რომ მათაც აქვთ სექსი და სულაც არ ენაღვლებათ. ვინ რას იტყვის მათზე. საზოგადოებისთვის ცნობილი ქალბატონები აცხადებენ, რომ აქვთ სექსი და რაც უფრო მრავალფეროვანია, მით უფრო ემაყებათ; ჰყავთ შეყვარებული, აქვთ სექსი და აპირებენ ასეც გააგრძელონ და ა.შ ქალები კი არა, როდესაც ჟურნალისტმა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჰკითხა თავდასხმის მსხვერპლ პოლიტიკოსს, პასუხად მიიღო: სექსის, ბოქსის და ჯაზის მხრივ ყველაფერი კარგად მაქვსო, რამაც ისე გააოგნა ისედაც გაოგნებული ხალხი, რომ ისღა მიაძახეს, იმას გაუხმა ხელები, ვინც შენ თავში ასე გირტყაო...

უმარტივესი კითხვა რომ დავსვათ: თუ ნორმად მიაჩნია ვინმეს ის, რითიც მას აშატაჟებენ (უკვე გამოუმზეურეს, ან ფიქრობს, რომ გამოუმზეურებენ) და ასევე თვლიან მისი გულშემატკივრები, რაღაზეა ატეხილი ისეთი ხმაური, რომ თვით ქვეყნის პრეზიდენტიც კი გამოენთო სექსზე სასაუბროდ?

გადაირია ბატონი მირიანი, ეს, პრეზიდენტია თუ პორნო-ვარსკვლავიო?

იქით, ქალბატონმა თამარმა შენიშნა, არა მხოლოდ მქსოველი და „პლასტელინი“, კაზანოვა პრეზიდენტიც გვყოლიაო.

ერთმა ცნობილმა და ჭკვიანმა ჟურნალისტმა კაცმა დაწერა სოციალურ ქსელში, სექსის საქმესაც თუ ისევ ეს „სიფათები“ გაარჩევდნენ ტელე-ეკრანებიდან, ნამდვილად არ მეგონაო...

ბილ კლინტონისთვის არც ვიდეო გადაუღიათ, არც ფოტოები გამოუქვეყნებიათ, მონიკა ლევინსკიმ თავგადასავლად მოჰყვა ამბავი მეგობართან და რომ დადგინდა მართლაც ასე იყო, კლინტონის მეგობარი მამაკაცები არ გამოცვენილან განცხადებებით „მე ვარ ბილი! დიახ, ჩვენ ყველას ორალური სექსი გვაქვს ჩვენს სტაჟიორებთან“...

ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ ამგვარი ჩანაწერებით როდესაც აშანტაჟებენ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში მყოფ პირებს წლების მანძილზე, ასეთი ადამიანი ხომ ვერაფრით იქნება თავისუფალი თავის გადაწყვეტილებებში, მითუმეტეს, პოლიტიკურში? შანტაჟის ქვეშ მყოფი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი ხომ



უცხო ქვეყნისთვის სასურველი პოლიტიკური ხაზის გამტარებელიც იქნება, დამშანტაჟებლის ინტერესების გამომხატავი და დამცველი? შანტაჟით „ავერბოვკებდნენ“ და საკუთარ აგენტებად აქცევდნენ, აქცევენ და გადააქცევენ ყოველთვის ყველა ქვეყნის სპეცსამსახურები დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, სამხრეთსა და ჩრდილოეთშიც. მათ, ვინც იმ მიმართვის ადრესატები არიან, რომლებსაც ვადა 31 მარტამდე აქვთ.

ჟურნალისტი ბაკურ სვანაძე: – „ლოგიკურ კითხვას ვსვამ, რა! ვისაც მოვუსმინე ტელევიზორში, ამ თემაზე კომენტირებისას ყველა ამბობს „პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამავრცელებელი მკაცრად უნდა დაისაჯოს, უნდა მიესაჯოს ციხე 2-3 წელი, რადგან ის ამ საქციელით აყენებს მორალურ ზიანს არა მხოლოდ მას, ვის კადრებსაც ავრცელებს, არამედ, მისი ოჯახის წევრებს და ნათესავებსაცო...! კარგი, ვეთანხმები! მაგრამ, თუკი სასჯელის წინაპირობა არის „ოჯახის წევრებისა და ნათესავებისთვის მორალური ზიანის მიყენება“, მაშინ თავად ეს ქმრიანი ქალი, რომელიც ასეთ საქციელს ჩაიდის, ისიც ხომ აყენებს მორალურ ზიანს ოჯახის წევრებსა და ნათესავებს? ანუ, ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ზიანი კადრების არსებობის გამო ადგებათ თუ თვით ფაქტის გამო? ანუ, რა გამოდის, თვით ეს ქმრიანი ბოზებიც უნდა დავიჭიროთ და 2-3 წელი ციხე მივუსაჯოთ?



მოკლედ, რა ხდება ახლა – ქმრიანი ბოზები, რომლებსაც ჯერ ვერ გადაუღეს, გამწარებულები იცავენ ქმრიან ბოზებს, რომლებსაც უკვე გადაუღეს! ბოზებს, რომლებსაც ჯერ ვერ გადაუღეს, ეშინიათ, რომ მომავალში გადაუღებენ... ბოზობა განუკურნებელია!

ცოტა უხეში რომ ვიყო, შეიძლება?

გასაგებია, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელება არის დანაშაული... მაგრამ, იქნებ, ამ ქმრიან და შვილებიან ქალებს ისიც უთხრათ ვინმემ, რომ ასეთი კადრების გავრცელებასთან ერთად, დანაშაულია ისიც, რომ ასეთი კადრები არსებობს!!! ანუ, ასეთ კადრებს ვერ გაგივრცელებენ, თუკი მისი გადაღების გარემოებებს არ შექმნი! მე „ტექნიკურ“ გარემოებებზე არ ვსაუბრობ... როცა არ იბოზებ, ვერავინ ვერაფერს გადაგიღებს, აი, ამაშია საქმე!

ქალს როდესაც ჰყავს ქმარი, მისი „პირადი ცხოვრება“ უნდა იყოს მხოლოდ ქმართან დაკავშირებული და ის, რომ მისი ოჯახის წევრებს, ანუ შვილებს მიადგეთ მორალური ზიანი, ეს მაშინ უნდა იფიქრონ, სანამ ვინმე ოჯახის „არაწევრს“ ფეხებს აუშვერენ! მაპატიეთ, ნაძირალა, ნაგავი, ნაბოზარი ქალების მიმართ ვერანაირი თანაგრძნობის განცდა ვერ მაქვს...

ახლა მოვისმინე ტელევიზორიდან „ეს არის მთელი პოლიტიკური და არასამთავრობო სპექტრის დაშანტაჟება!“ – ანუ, რა იყო, ყველანი უზნეო ნაბოზრები ხართ? ქმრიანი ნაბოზრები და ქმარსგაცილებული ნაბოზრები, რომლებიც ჯერ კიდევ მაშინ ბოზობდით, როცა ქმარი გყავდათ? „შანტაჟდებით“, ე, მანდ, თქვენი კადრებიც არ ჰქონდეს ვინმეს? აბა, სხვა შემთხვევაში ვერანაირი „პირადი ცხოვრების“ კადრები ვერავის ვერ მიაყენებს ვერანაირ მორალურ ზიანს, ეს ზიანის მომყენებელი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც გყავს ოფიციალური მეუღლე და შენ სხვასთან ბოზობ!“

დაწყებული ინტიმური კადრების ფარული გადაღებიდან, ყველაფერი ძალიან ცუდი, ამაზრზენი და მიუღებელია, რაც მართლაც მკაცრად დასჯადი უნდა იყო, ისე, რომ ამ სახის მორალური მკვლელობის სურვილი სხვას აღარ გაუჩნდეს ასე იოლად, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სხვა დანარჩენ უმსაგვსობასთან ერთად, ახლა ბოზობის პროპაგანდა გასწიონ ვიღაცებმა.

ბოლოს, განწყობისთვის ვიკითხოთ: ჰა, გამოტყდით, კიდევ ვის გაქვთ სექსი? შესაძლოა, მთლად მდიდარი სექსი არ გქონდეთ, მაგრამ არა უშავს, ამ ეტაპზე ისეთი მნიშვნელოვანია ამის „აღიარება“ თქვენი შემდგომი წინსვლისთვის, რომ არამდიდრულიც ჩაითვლება...

**გიორგი ჩხეიძე**

## facebook



**ლალი მოროშკინა:**

**— „მივმართავ ქალბატონ X-ს!!!! მოკალი და ჩაბარდი პოლიციას-ამ ტვირთით მაინც ვერ იცხოვრებ!!!“**

**ნაციონალურო მოძრაობავ, ამასაც მოხერხება უნდოდა!!!**

**9 წელი ხალხი ტ......სა და შიმშილში ამყოფო, აწ ჩამოშლილი ფასადური მშენებლობებით აბოლო, ტერიტორიები დაკარგო, საჯიშე ბიჭები გაწყვიტო, საპატიმროებში ქალებს საშვილოსნოები აძრო, სისხლის სამართლის დანაშაული 12 წლის ბავშვებს “მოარგო”, შეკრებითობის კანონი ტოტალურად ყველას მოარგო და 30-40 წელი მიუსაჯო, 3 მილიონიან ქვეყანაში 320.000 ადამიანი დაიჭირო, აუპატიორო ხან სკამის ფეხით და ხან იმით,რის ასოციაციასაც თავად იწვევთ, ოფშორებში ფული და “თავები მარხო”, მთელ ქვეყანას ჭუჭრუტანიდან უყურო და მერე ასე ბინძურად აშანტაჟო და იძახო ბიძინა ხიხიააო?**

**მოკლედ ასე!**

**ქალაქი პატარაა-ჩანაწერი ყველამ ნახა, მორჩით სირაქლემობანას თამაშს!**

**მივმართავ ქალბატონ x-ს!!! ხომ იცი, ვინც არის “შემსრულებელი”-მოკალი!!!**

**ამ ტვირთით მაინც ვერ გააგრძელებ ცხოვრებას და მერე ჩაბარდი პოლიციას!**

**მე კი როგორც არასამთავრობოს ხელმძღვანელი პირობას გაძლევ ათასობით ქალს გამოვიყვან შენს დასაცავად!“**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# საქართველო ევროპისგან დავიწყებული ევროპაა, რომელიც დღეს ევროპული ღირებულებების გადარჩენისთვის უფრო მეტს იბრძვის, ვიდრე თავად ევროპა

## ნიკუშა შენგელაია: მოდით, ქვეყანაზე პოპულისტური განცხადებების გარეშე ვიფიქროთ



„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი და საზოგადო მოღვაწე **ნიკუშა შენგელაია**:

**— ბატონო ნიკუშა, მიგრაციულმა ტალღებმა, ტერორიზმმა ცხადჰყო რომ დასავლურმა სამყარომ იმუნიტეტი დაკარგა. წინა ნომერში, ამ თემაზე, საუბრისას ზაზა შათირიშვილმა აღნიშნა, რომ დგება დრო, როცა თავად, დამოუკიდებლად უნდა გადავწყვიტოთ რა გვსურს ?**

— დამოუკიდებლობისკენ უნდა ვისწრაფოდეთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. რეალურად, დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რისთვის ვართ მზად იმიტომ, რომ ვიმეორებ, ეს, მომავალი თაობის წინაშე, დიდი პასუხისმგებლობაა. იყო დრო, როდესაც ილიაც კი არ თვლიდა, რომ დამოუკიდებლობისთვის მზად ვიყავით. ილიამ საკუთარი ხალხი შეისწავლა. მან მშვენივრად იცოდა, რისთვის იყო ქვეყანა მზად. იგი პოპულისტი არ იყო და იმდროინდელი პოლიტიკოსებივით არ იტყუებოდა. ასე თქმა ადვილია. როგორ დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობთ?



გასაგებია, კარგი სურვილია, რომ გვინდა დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ, მაგრამ ამ სამყაროში ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული. დამოუკიდებლობას აქვს პირობები, რასაც უნდა აკმაყოფილებდე: — გვაქვს უნარი რომ ჩვენი შვილებისა და ქვეყნის უსაფრთხოება დავიცვათ? — არა. გვავქს პირობა რომ ეკონომიურად, სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად, ავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა, შევქმნათ წარმოება? — არა. გვაქვს პირობა რომ აქ, დამოუკიდებლად კარგი განათლება მივცეთ ჩვენს შვილებს? — არა. ამიტომ, დამოუკიდებლობა სურვილად რჩება. ზაზა რაზეც წერს, მეც მინდა, მაგრამ დღეს, ამის რესურსს, ვერ ვხედავ. ჩვენი დამოუკიდებლობა ქაღალდზეა დეკლარირებული, ეს ჩვენში, შიგნითაა აღიარებული, რაც დიდი გრძნობაა, მაგრამ თუ დამოუკიდებლობას იმ რეალობებით არ გაამყარებ რაც ჩამოვთვალე, ცარიელ სიტყვად დარჩება როგორც ახლაა. როგორ ვიყოთ დამოუკიდებელი, როცა რუსს მოუნდება თუ არა მაშინვე შემოვა. როცა რაღაც გინდა, იწყებ ფიქრს, როგორ შეიძლება ეს მიიღწეს. ხაზს უსვამ, დამოუკიდებლობა ესაა მხოლოდ სურვილი, გამოსავალს ვერ ვხედავ, ეს ერთად უნდა ვიპოვოთ. თუმცა, თვითმყობადობის მხრივ, ზაზას, აბსოლუტურად, ვეთანხმები —სწორედ, აქეთკენ უნდა ვესწრაფვოდეთ, თანამედროვე, გაუგებარ უფლებათა გაურკვევლობაში არ უნდა ავითქვიფოთ. იმიტომ, რომ ორი კაცის ქორწინებას გარდა პოპულისტური დეკლარაციებისა, არანაირი ფასეულობა არ მოაქვს. მსოფლიო გადაირია, ყველა სექსუალურ თემებზე ლაპარაკობს. ვინმე ფიქრობს საით განვითარდება კაცობრიობა, რა იქნება მომავალში?

**— ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო ინტერესებზე და იდენტობის გადარჩენაზე ვიფიქროთ, ხშირად, უმნიშვნელო თემებს გვტენიან ცხვირში.**

— დიახ, გაუგებარია ვინ, სად, რაზე ფიქრობს. ესაა მთავარი, კაცო? ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, რაც უნდა ის აკეთონ, ეს ჩემი საფიქრალი არააა. ანომალია ბუნებაშიც ხდება, ყველას თავის უფლება აქვს. ჩვენი უფლებები იზღუდება იქ, სადაც სხვისი იწყება, ესაა თავისუფლება. მაგრამ ნუ გამაყრუებ შენი უფლებებით. შენი თუ არსებობს, ჩემი ცხვირიც არსებობს. ამიტომ, დისტანცია დაიცვან და მე ნუ მაიძულებენ იმას, რაშიც ბუნებრიობას, ფასეულობას ვერ ვხედავ. რაც შეეხება ქართულ ღირებულებებს, ეს დღევანდელი ევროპული ღირებულებებია. ესაა თამარ მეფის, დავითის საქართველო. აბა, სხვა რა ღირებულებები იყო ჩვენთან? „ვეფხისტყაოსანში“ რა ღირებულებებია? ეს ყველა დღევანდელ ევროპულ კონსტიტუციას სჯობს, რაზეა ლაპარაკი. ეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა. ჩვენ არ ვართ აზიური მენტალობის ხალხი, არამედ ევროპული. ჩვენზე გაიარა დიდმა ბიზანტიურმა კულტურამ. მაგრამ ბიზანტიამდე ეს კულტურა აქ დაფუძნდა, ამის მატარებლები ვართ. ჩვენ, მიწათმოქმედი, ვაზის გამხარებელი და მომყვანი ერი ვართ. აქედან იბადება კულტურა და ყველაფერი. ჩვენ კი არ მოგვაქვს ევროპული, ეს მენტალობა და კულტურა აქაა. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მივიღეთ ქრისტიანობა, ამაში ჩანს ჩვენი დიდი კულტურა. ამიტომ ჩვენ ვიღაცისას არაფერს ვიღებთ.

უნდა ვეცადოთ იმაში გავერთიანდეთ რაც ევროპას კარგი აქვს. მთავარში — ევროპულ შეხედულებებში, მენტალიტეტში ერთიანი ვართ. შემდგომ, ისტორიამ ბევრი რამ დაამახინჯა. მერე, სულ რაღაცის მოლოდინმა, დროებითობის გენეზისმა პრობლემები წარმოშვა. ჩვენ, დიდი ხნის მანძილზე არ ვიყავით ჩვენი ქვეყნის პატრონი, რაც დამოუკიდებლობის ერთადერთი პირობაა. დამოუკიდებელი, საკუთარი ქვეყნის პატრონი რომ გახდე, დაცვის უნარი უნდა გქონდეს. დღეს ისე აითქვიფა, აირია ყველაფერი, რომ მსოფლიოს, ევროპას აუცილებლად დაუდგება იდენტობის, კულტურის, ტრადიციის პრობლემა, რაც ძალიან სერიოზული პრობლემაა. რაღაც, დიდი დრო წავიდა. ილია ამბობს — თუ შენს წარსულს არ იცნობ, არც აწმყო გაქვს და არც მომავალი გექნება. ვის აინტერესებს წარსული, შეხედეთ რითია ხალხი დაკავებული — ოღონდ, სადღაც ოფისებში ირბინონ, ჭამონ, სხვა ქვეყნებში გაიქცნენ. სერიოზული არაფერი ხდება. საყრდენი გვეცლება როგორც ჩვენ, ისე ევროპულ ქვეყნებსაც. აი, ესაა დიდი პრობლემა. საყრდენის გარეშე სად წავალთ, რა იქნება, კაცმა არ იცის, ყველაფერი აითქვიფება. ჩვენი მეხსიერება ჩვენი ინდივიდუმია. მეხსიერება რომ წამიშალონ, ალბათ, მცენარე გავხდები. ასევეა, ერები. რა იყო ყოველთვის ამის საყრდენი? — ოჯახები. ახლა, მიდის პროპაგანდა, რომ თურმე, ოჯახი საჭირო არაა. ანუ, აბსოლუტურად ირღვევა ის საყრდენი, რისგანაც ძლიერი სახელმწიფოები, ფასეულობები, ღირებულებები, კაცობრიობის განვითარება ხდებოდა. სად მივალთ? ქალის გათხოვება საჭირო აღარააო. კაი, ნუ გათხოვდება ქალი და ორმა ქალმა ან ორმა კაცმა იცხოვრონ ერთად, ასე სად წავლენ? მანიპულირებენ, ვითომ ადამიანის უფლებების დამცველები. არც იციან რას ლაპარაკობენ, საერთოდ წიგნი არ აქვთ წაკითხული, ტვინი არ აქვთ თავში და ყაყანებენ. სხვის ანომალიურ სურვილებს არასდროს დავჩაგრავ. მაგრამ ამას კი ვეტყვი — ასე, კაცობრიობა სწორად ვერ განვითარდება.

**— რა შექვრჩა, სადღეგრძელოებით „მორჩენილი“ საქართველო და სიტყვებად დარჩენილი პატრიოტიზმი**

— დამოუკიდებლობის დეკლარაცია მივიღეთ, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ იყო, რადგან ქვეყნის მაშინდელი რეალობა უფრო პრობლემატური იყო, ვიდრე ჩანდა. ამაზე ჩემი მოსაზრება მაქვს, მე ილიას აზრს ვიზიარებ — დამოუკიდებლობისთვის მზადყოფნაა საჭირო, ის უნდა გააკეთო რისთვისაც მზად ხარ და განვითარდე, რათა ამ გზამდე მიხვიდე. იცი რა, როცა ყალბი პატრიოტიზმით არ ცხოვრობ და ვნებაში არ შედიხარ, არამედ მართლა ფიქრობ შენს ხალხზე, მაშინ უფრო მეტი პრობლემა ჩნდება, ვიდრე პატრიოტული სიტყვებია. ასე, ოჯახს ვერ მიუდგები. როცა ოჯახში ვინმე ავადაა, ამას მეცნიერულად უნდა მიუდგე, დაადგინო რა სჭირს და უმკურნალო და არა მის მოსარჩენად სადღეგრძელოები სვა. ილია საღი, ჭკვიანი კაცი იყო, მის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, სულ ურა-პატრიოტები მოდიოდნენ.

— სადღეგრძელოების ნაცვლად რით ვუმკურნალოთ დასნეულებულ ერს?

— რეცეპტს, ნამდვილად, ვერ გეტყვით. უბრალოდ, მეც ადამიანი ვარ და ყოველთვის იმედით ვცოცხლობ. ძალიან ძნელია სასოწარკვეთაში ცხოვრება, საჭიროა ჭკუა, სიბრძნე, რეალობის აღქმა და შრომა. როცა ადამიანების დიდი ნაწილი მუშაობს, ფიქრს სწორად იწყებს. დანარჩენს რაც შეეხება, ვიმეორებ, საგრეო სიტუაციიდან გამომდინარე, დამოკიდებულნი ვართ იმაზე თუ როგორ განვითარდება ჩვენს გარშემო სიტუაცია. მაგრამ ჩვენ უნდა ვაკეთოთ ის, რომ იდენტობა, კულტურა, ტრადიციები, აუცილებლად, შევინარჩუნოთ. თანაც, მარტო კი არ შევინარჩუნოთ, არამედ განვავითაროთ, რაც ძალიან რთულია, მაგრამ ჩვენი გადარჩენისთვის აუცილებელი. ამ კუთხით, ეკონომიკა და განათლება ერთ-ერთი ფუნდამენტი უნდა იყოს. განათლება, განათლება და განათლება, სამჯერ დაწერეთ, ესაა გზა — უნდა იცოდე რა ქვეყანაში ცხოვრობდი, ვინ იყავი, დღეს რას აკეთებ, ხვალ რას გააკეთებ და ა.შ.

— ბატონო ნიკუშა, როგორც აღნიშნეთ, ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის მზად ილიას დროსაც არ იყოო, მაგრამ იგივე ილია ამბობდა: ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადიო. რა მომავალი აქვს დღეს ქართველ ხალხს?

— არ ვიცი, ვერ მოგატყუებთ და ვერ გეტყვით, რომ ნათელ მომავალს ვხედავ. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები ჩვენს გარშემო. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ და თუ არაფერი გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს თავთან მაინც ვიქნებით მართლები რომ ვცადეთ. არავინ იცის რა და როგორ იქნება. სპეციალისტები ეკონომიკურ, პოლიტიკურ პროგნოზებს აკეთებენ, მაგრამ რამე კონკრეტულზე, მყარად ვერც ისინი საუბრობენ. ჩვენ ძალიან დამოკიდებული ხალხი ვართ. ჩვენს თავს უნდა ვეკუთვნოდეთ იმ კონტექსტში და სფეროში, რაზეც ვილაპარაკეთ და მერე, იმედია გვირაბის ბოლოს სინათლეც გამოჩნდება.

დღეს მსოფლიო სხვაგვარადაა მოწყობილია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ დამოუკიდებლობა გვინდა ჯერ ის პირობები უნდა დავაკმაყოფილოთ, რაც ჩამოვთვალე. სამეზობლოზეც უნდა ვიფიქროთ, სწორი დამოკიდებულება გვქონდეს აზიასთან, ევროპასთან, აშშ-სთან და ა.შ. გაჯიუტების ფუფუნება არ გვაქვს. გეთანხმები, რომ ევროპაში პრობლემებია, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, იქ, მაინც არის ტრადიციული ანკლავები და მეორეც, ეკონომიურად გვჭირდება. ვიღაცასთან აუცილებლად უნდა ვიყოთ, სხვა ალტერნატივა რა გვაქვს? კულტურულად და მენტალურად მაინც ევროპა უფრო ახლოსაა ჩვენთან. თუმცა, თავის დროზე მეფის რუსეთიც ევროპული იყო. ამიტომ, არჩევანი არ გვაქვს, ყველასთან უნდა ვიურთიერთოდ, რათა ქვეყნის ეკონომიკა გავაძლიეროთ. ასევე, ავირჩიოთ განათლების სწორი სისტემა, გავუფრთხილდეთ კულტურას. დამოუკიდებლობა კარგია, მაგრამ სწორი დამოკიდებულებები უნდა ავაწყოთ — რაღაც გამოგვივა, რაღაც — არა იმიტომ, რომ ამ დამოკიდებულებებში დიდ ქვეყნებს თავისი ინტერესები აქვთ. გადარჩენის გზისკენ უნდა ვიმოძრაოთ. ბევრ საკითხში გონივრული გადაწყვეტილებები გვმართებს. არაა აუცილებელი რასაც გვეტყვიან ყველაფერში დავეთანხმოთ, მაგრამ საკუთარი პოზიცია არგუმენტირებულად უნდა ავხსნათ.

**— გასაგებია, რომ დამოუკიდებლად ყოფნა გაგვიჭირდება, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ,**

5 გვ. →

# რამდენად ნორმალურია, როცა ღარიბ-ღატაკი ქვეყნის პრეზიდენტი მდიდარი სექსუალური ცხოვრებით იწონებს თავს, ხოლო ამავე ღარიბ-ღატაკი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე მილიონი ლარის დაწესებას მოითხოვს „მდიდარი სექსუალური ცხოვრების“ ამსახველი კადრების შემქმნელ-გამავრცელებლების გამოსავლენად?

იმისათვის რომ გავარკვიოთ „ვისი ვიოლინო, ვის როიალშია“, აუცილებელია ვიდეო-ფირები, ისიც ფარულად ჩაწერილი. აბა, ნებაყოფლობით „მდიდარ სექსუალურ ცხოვრებაზე“ საქართველოში მხოლოდ გიორგი მარგველაშვილი საუბრობს და ისიც მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსთა კომპრომატები პორნო-ფილმებად გადაიქცა. ერთი ჩანაწერის გავრცელებას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ვინ იცის, მოვა დრო და მისი „მდიდარი სექსუალური ცხოვრების“ ამსახველი კადრების რიგიც





დადგეს!! როგორც ჩანს, ამიტომაა წინასწარ იჭერს თადარიგს...

უბრალოდ, სამარცხვინოა, ქვეყნის პრეზიდენტის განცხადება! სამარცხვინო და ამავდროულად საგანგაშოც: „როგორც ადამიანის პირადი ინტიმური ცხოვრების ვიდეოკადრების გასაჯაროება არის უდიდესი უზნეობა და ჩამდენი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს, ასევე ამ ტიპის განცხადება არის უდიდესი უზნეობა. ამ ქვეყანაში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვთ შელახული გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებენ სექსს, აქვთ სხვადასხვა სახის დაავადებები გადატანილი ურთულეს ფორმებში, რაც აფერხებს ადამიანის ფიზიოლოგიურ ფუნქციებს. ასევე არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ ხელფასი 11 ათასი ლარი და არ აქვს საშუალება მეშჩანი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონებთან მეგობრობის. აი, ამ კატეგორიის ადამიანებს აქვთ ნაკლებად აქტიური ან სულაც არ აქვთ სექსუალური ცხოვრება. აი, ამ კატეგორიის თქვენს თანამოქალაქეებს ჩააფურთხეთ სულში თქვენი განცხადებით საქართველოს პრეზიდენტო და გახსოვდეთ, რომ ამ ადამიანებსაც აქვთ თავიანთი პირადი ცხოვრება!“ და მეორე: „თუკი საქართველოს პრეზიდენტს დავესესხებით და აღმოჩნდება, რომ ზოგადად, ბუნებაში, მართლაც არსებობს მდიდარი სექსუალური ცხოვრება (რაც მას აქვს) როგორც ასეთი, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში ასევე მრავლად გვყავს სექსუალურად დაუცველნი და სექსის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები. ლოგიკურად ასე არაა??“ ორივე, ასე ვთქვათ, განცხადება სოციალურ ქსელში ისტორიკოსმა და იუმორისტმა დათო გოგიშვილმა გაავრცელა.

ამ დარდუბალაში მეორე „მარგალიტი“, რომელმაც რიგითობით პრეზიდენტის „მარგალიტს“ დაასწრო არის უსუფაშვილის განცხადება.

„დაწესდეს ჯილდო მილიონი ლარი მათთვის, ვინც გამოძიებას დაეხმარება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამავრცელებელი პირების პოვნაში.“ – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა და შეჭამა მესამე ფორთოხალიც, ისე, რომ ჩვენს ქვეყანაში გაუხსნელი მკვლელობები და სხვა გაუხსნელი მძიმე დანაშაულის გახსნის წახალისება ფულადი ჯილდოთი აქამდე არც გახსენებია და არც სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილი პურის ლუკმას მონატრებული თანამემამულეები. ეტყობა სამეგობროს კარებთან დაჩოქილმა აქლემმა განგაშის გულგამგმირავი ზარი ჩამოჰკრა. საინტერესოა, რამდენად შეაფასებს ოპერატიულ ღონისძიებას, რომელიც კადრების გადამღების და დამკვეთის ვინაობას დაადგენს...

გაოცებული და აღშფოთებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში ნაცების დროს დამკვიდრებული შერჩევითი სამართალით დაწყებული, ყველაფერი შერჩევითია, მათ შორის, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებაც, დაზარალებულის სოციალური სტასტუსის მიხედვით არის განსაზღვრული. რამდენიმე თვის წინ სოციალური ქსელები დაიპყრო სამეგრელოს „სამალავების“ ძალადობრივმა ამაზზრზენმა კადრებმა, რომელსაც სახელიც არ ჰქონდა. იმ ბანდიტური დაჯგუფებიდან, რომლებიც აღნიშნულ კადრებს დგამდნენ და უკვეთდნენ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დააკავეს. „რუსთავი-2“-ს „ფარაც“ არ მახსოვს საპროტესტო „ნოტით“. არადა, ყველამ ყველაფერი იცის, ძალიან მარტივია გამოიცნო, ვინ და რა მიზეზით გაავრცელა პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. რასაკვირველია, იმან, ვინც გადაიღო „მომავალში“შანტაჟის მიზნით. რატომ გაავრცელეს ახლა? – ნაცებმა „კუტოკი“ დატესტეს. „შვლიჭინის“ არაპოლიტიკოსი მონაწილე, ამბობენ, ძალიან მალე დაწინაურდაო და დღესაც დეპარტამენტის დირექტორი ყოფილა, რა უჭირს. ვფიქრობ, სულაც არაა ნეპოტიზმი. „კაი ტიპს“ ხანდახან „ჯიგრულად“ ექცევა მდედრიც.

ჟურნალისტმა გიორგი გიგაურმა, ვფიქრობ, შესანიშნავად შეაფასა „რუსთავი-2“-ის მორიგი ფარსი:

„დიახ, ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ამ სიბილწის გავრცელება სწორედ სანაცეთია!

სწორედ, მას აძლევს ხელს ვითარების დესტაბილიზაცია!

სწორედ ნაცებს სურთ, ყველანაირი მეთოდებით, ამ ხელისუფლების დისკრედიტაცია ქვეყნის შიგნითა თუ ქვეყნის გარეთ!

აკი, სწორედ, ამ დესტაბილიზაციას ეცადა სააკაშვილის „ბორდელვიზია"!

„რუსთავი-2"-ს მართლაც, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრობლემა რომ აღელვებდეს, მაშინ პირველებს, სწორედ, მათ უნდა მოეთხოვათ „ნაცბანდის" გასამართლება და აკრძალვა, რადგან ეს ვიდეოც და მსგავსი ასობით „პოლიტიკური პორნოგრაფია" სწორედ, პირადად სააკაშვილის დაკვეთითა და სახელმწიფო უწყებებების მიერ არის გადაღებული!

„ბორდელვიზიელებო", თუ მართლა გაინტერესებთ პირადი ცხოვრებისა და მიყურადების უკანონო და ამაზრზენი აუდიო-ვიდეო პროდიუსინგი და რეჟისურა, თქვენს ნაპროკურალ-ნახიშტარ კონჩიტა გვარამიას ჩაეკითხეთ, ასე ცხვრებივით რომ დაგაწყოთ პირდაპირ ეთერში ასაბღავლებლად!

იმ გვარამიას, რომელმაც, იმდენად კრეტინია, აღიარებით ჩვენებასავით დაამღერა თავის ფბ-პოსტით, რომ ეს სიბილწე, ბიძინა ივანიშვილისა და „ოცნების“ ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, მართლაც, მისი ნაცხროვის გამომზეურებულია:

„რა მეგის ქარდავა, შენ ხარ ამ ქვეყნის ყველა დროის ყველაზე დიდი ურჩხული და ბოროტმოქმედი, ბიძინა ივანიშვილო! შენს ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს და ასეც იქნება! მძულხარ და ყველაფერს ცუდს გისურვებ და გპირდები, შე ბინძურო მანიაკო!

ყველა ერთად უნდა დავდგეთ და გავათავისუფლოთ ქვეყანა ამ დაუნდობელი მონსტრისგან, რომლის მძევალია დღეს მთელი ქვეყანა!“ არადა, საზოგადოებას კარგად ახსოვს მეგის ქარდავას მუქარა პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს პოლიტიკოსებზე მრავლად გამოვაქვეყნებო .- არჩევნების შემდეგ საქართველოდან გაუჩინარებული მეგის ქარდავა ბაჩო ახალაიას გათავისუფლებას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნებით იმუქრებოდა. ცნობას იმის შესახებ, რომ ძებნილ ექს-სამხედრო მაღალჩინოსანს ქვეყნიდან ნამდვილად აქვს გატანილი საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები, ქარდავას ადვოკატიც ადასტურებდა..

**„თავისუფალი დემოკრატებო“, ბიძინა ივანიშვილისკენ რომ იშვერთ ხელს, იქნებ იმაზე დაფიქრდეთ, როგორ უნდა იქცეოდეს პოლიტიკოსი, რომ იმ სახის სკანდალებში არ გაეხვიოს, რომელშიც თქვენი გუნდის წევრები ასე წამდაუწუმ ეხვევიან ხოლმე...**

რატომ გაიკვირვეს ვიღაც-ვიღაცეებმა აღნიშნული პირადი ცხოვრების კადრები და რატომ აღშფოთდნენ ახლა, გაუგებარია. პირველად გამოქვეყნდა? „ჩოხა ახალუხში სექსი“ დაავიწყდათ? სხვათა შორის, 2013 წლის 15 ოქტომბერს, „პირველმა რადიომ“ ელისო კილაძის სტატუსი გაავრცელა – „ვისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა დადის თბილისში მობილურიდან მობილურში? ელისო კილაძის განცხადებით, იმ ვიდეოებზე, რომელიც მას და არამხოლოდ მას აქვს ნანახი, ასახულია ერთი მინისტრის, ერთი დეპუტატის და ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა. ელისო კილაძე მინიშნების სახით აცხადებს, რომ ნახსენები მინისტრი ქალია, თუმცა ჟურნალისტი არც ერთის ვინაობას არ ასახელებს.“ აღნიშნული ტიპის ფარულ ჩანაწერებს ავადმყოფი ნაცები ავრცელებდნენ და სულაც არაა ახალი ამბავი საზოგადოებისთვის. თუმცა, დასავლეთის მოტრფიალე პოზიციას თუ ოპოზიციას შევახსენებ, რომ პოლიტიკოსები დასავლეთში მკაცრად ისჯებიან მათთვის შეუფერებელი საქციელის გამო და პასუხისმგებლობასაც გრძნობენ ქვეყნის და ხალხის წინაშე. ვერც ბიუჯეტის ხარჯზე ორგიების მოწყობას ბედავენ, რაც სულაც არ იყო უცხო მიშმადიდებლებისთვის. არცთუ შორეულ წარსულში, პრეზიდენტ კლინტონის „შმაშურზე“ ისეთი სკანდალი ატყდა პრეზიდენტი კი არა ლამის აშშ-ს იმიჯიც კი შეირყა, ყველაფერში ბაძავენ ჩვენი „პრადვინუტი“ პოლიტიკოსები დასავლეთს, „მარა“ მიშასაც ჰარამხანა ჰქონდა და მისი ფანებიც არ ყოფილან მთლად წმინდა წყლის...

სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქზე" მედიასაშუალებების „შეშფოთების“ შესახებ წერს.

“პირადი ცხოვრების კადრების გავრცელება ნამდვილად პირადი თავისუფლების შელახვაა და ამდენად მიუღებელი და ყველანაირად დასაგმობი, ამაზე ყველა ვთანხმდებით... ამას ბევრი გავრცობა და განმარტება არც სჭირდება.... მაგრამ უფრო დიდი უზნეობაა, როცა ისინი ვინც ამ მუდმივ მოსმენის და თვალთვალის ულირს სისტემას გუშინ ნერგავდნენ, ქვეყანაში დღეს მორალზე და ამორალიზმზე როცა გვქადაგებენ... ეს არის მართლაც ცინიზმის, უტიფრობის და თავხედობის მწვერვალი... და „რუსთავი-2“-ის მთლიანი კოლექტივი ფეხზე დამდგარი რომ წინ აღუდგება „ტერორს“, როცა ჩერგოლეიშვილი შეშფოთებული სახით მორალზე საუბრობს და საზოგადოებრივ საფრთხეზე გვაფრთხლებს, მეცინება, მეტირება და მეცოდება საზოგადოება, რომელსაც ამგვარად დასცინიან!" – წერს სალომე ზურაბიშვილი. საოცარია, პარლამენტის თავმჯდომარე „საქმის გახსნაში“ ფსონს მილიონ ლარს ჩადის, ოღონდ არ ასახელებს ვისი

მუთაქიდან უნდა ამოიღოს თანხა. მის ყოფილ თანაგუნდელ ირაკლი ალასანიას კი „ეჭვი“ ბიძინა ივანიშვილზე ჰქონია .„ბიძინა ივანიშვილი მართავს უშიშროების სტრუქტურებს, კონკრეტულად, მოადგილე პირდაპირ იღებს მისგან დავალებებს. პრემიერმა გამოძიება ამ მიმართულებითაც უნდა დაიწყოს,“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ნუუუ, სიტყვებიც არ მყოფნის. ალასანიას „გონივრული ეჭვი“.ალასანია გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით პირველ კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ ეს იყო თავდასხმა მთლიანად სახელმწიფოზე. შეფასება პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ვიდეოჩანაწერებზე, ირაკლი ალასანიამ კომენტარი ტელეკომპანია “რუსთავი-2”-ის ეთერში გააკეთა. „მე გახარებული დავრჩი, რომ საზოგა„ნალივლივები“ ბატონები და ქალბატონები მოდუნდნენ და სურპრიზებს ელოდნონ.

„თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილის ნინო გოგუაძის ინფორმაციით, ამ ხელისუფლებამ არაერთი ადამიანის პირადი ცხოვრება ჩაიწერა და „სანახაობისთვის სწირავს ადამიანებს“ (რატომღაც მჯერა, რომ გოგუაძეზე აღნიშნული ტიპის ჩანაწერი არ არსებობს – ქ. ზ.). აღშფოთებული ლაშა ამირეჯიბი კი ასე აფასებს შექმნილ ვითარებას:

„ბინძურო მარაზმატიკებო! ეხლა იძახეთ, დასავლეთი გვიშველისო!! ერთი კითხვა მაქვს, ნეტავი საიდან შემოვიდა და ვინ ასწავლა ტვინგაყინულ გადაგვარებულ ნაცებს ეს სიბინძურე? ეს ხომ დასავლური სპეცსამსახურების ნაკარნახევია მხოლოდ იმიტომ, რომ სააკას და მის სისხლიან ჩლი



დოებამ მალე დაინახა თუ რამხელა ბოროტებასთან და პოლიტიკურ თავდასხმასთან გვაქვს საქმე არა ერთი პოლიტიკური პარტიის, არამედ მთლიანად არჩევნების მიმართ, სახელმწიფოს მიმართ. ჟურნალისტების ერთსულოვნება ძალიან მკაფიო იყო, იყო შეცდომაც და გადაცდენებიც და არ მინდა, რომ ერთ კონკრეტულ მედიასაშუალებაზე გადატყდეს ჯოხი. მთავარი არის ის, რომ ვის შეეძლო ეს მასალები მოეპოვებინა ფაქტია, რომ ეს არის ხელისუფლების ხელში. ამ მასალების დაგროვება მოხდა წინა ხელისუფლების დროს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ღარიბაშვილის მინისტრობის დროს ეს მასალები განადგურებული არ არის. ეს არის პრემიერ-მინისტრის გამოწვევა. ასევე შეიძლება ისე, რომ პრემიერი არ ყოფილიყო საქმის კურსში, არაფორმალური დავალება სპეცსამსახურებს გაეცათ.“ მოგვიანებით ალასანია პრემიერ გიორგი კვირიკაშვილსაც „გადაწვდა“ და განაცხადა, რომ პრემიერი ძალოვან სტრუქტურებს ვერ მართავს და ისინი იმართებიან სხვა ძალებისგან. (ჩემი აზრით, რუსული ძალები იგულისხმა – ქ. ზ.) შვლიჭინიც თუ შეიძლებოდა პოლიტიკურ სარჩულში გამოეკრათ, ნამდვილად არ ვიცოდი, არც ის, თუ სახელმწიფოზე თავდასხმად შეიძლება შეფასდეს ქმრის ღალატის ამსახველი ფირის გადაღება, ყოფილი თუ მოქმედი მეგობრების დაკვეთით და შემდგომ „ვაჭრობის“ თემად გადაქცევა. ვფიქრობ, ნაცელიტა ნამეგობრალ სუბიექტებს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კიდევ მრავალ „მხატვრულ ფილმს“ გამოუჩენს და უბრალოდ, უხერხულია საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და „სხვებზე“ გადაბრალება, ისედაც ყველამ კარგად იცის, ვინ იყვნენ რეჟისორებიც და ოპერატორებიც. ფირებიც, არაერთი ეგზემპლარი არსებობდა. ასე რომ ნაცებთან ქოსნებს შიშით და კომპრომატებით ემართათ ქვეყანა და ნებისმიერი ადამიანი. ადამიანების პირადი ცხოვრება რა თქვენი ჭუჭყიანი უკანალის საქმეა? ეს ხართ ნაცები და თქვენ დანერგეთ საქართველოში ეს და სხვა სიბინძურე და სისატიკე ...ამ საქმის სულისჩამდგმელი, მამათავარი, რეჟისორი და შემსრულებელი დათა ახალაიას მოადგილე ვაჟა ლელუაშვილი გახლავთ...“

რაც შეეხება უშიშროებას, რომელსაც პულსზე უნდა ედოს თითი და დღეს და ღამეს ასწორებდეს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, საღათას ძილით სძინავს. აბსოლუტური იდიოტებით და უვიცებით გაავსეს იქაურობა, ამას დამატებული პორტირებული ნაცები+მათი აგენტურა, რომელიც ვერა და ვერ გაყარეს სპეცსამსახურებიდან. დასავლეთს ვერ ვახტებითო, ასე გვიბრძანესო, გვეშინიაო...ასეთ შიშში როდემდე უნდა იცხოვროთ და აცხოვროთ საზოგადოება, ხალხი არ გეცოდებათ? ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ, როცა ქვეყანაში უამრავი პრობლემა არსებობს და ხალხის ყურადღება, ნაცების მიერ მართულ მედიას ზეწარგადაუკრავ საწოლში გადააქვს. ნაცები, ისემც გიქნიათ, სარი გაგიყრიათ, თუმცა თქვენი ტვინი დიდი ხანია იმ სარზეა აწყობილი და ხალხისგან წაგლეჯილი ფულით იხალისებთ ცისფერ ცხოვრებას.

და ბოლოს: „თავისუფალი დემოკრატებო“, ბიძინა ივანიშვილისკენ რომ იშვერთ ხელს, იქნებ იმაზე დაფიქრდეთ, როგორ უნდა იქცეოდეს პოლიტიკოსი, რომ იმ სახის სკანდალებში არ გაეხვიოს, რომელშიც თქვენი გუნდის წევრები ასე წამდაუწუმ ეხვევიან ხოლმე...

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# საქართველო ევროპისგან დავიწყებული ევროპაა, რომელიც დღეს ევროპული ღირებულებების გადარჩენისთვის უფრო მეტს იბრძვის, ვიდრე თავად ევროპა

← 3 გვ.

**როგორ ევროპაში შევალთ 15-20 წლის შემდეგ. ევროპის დასასრულზე ჯერ კიდევ 15 წლის წინ იწერებოდა, რისი ნიშნებიც უკვე აშკარაა.**

– ევროპა გაუგებრობაში, აბსოლუტური უკონტროლობის პირობებში აღმოჩნდა. იგი, 60-იანი წლების მერე, ძალიან მოეშვა. როგორც მიხეილ ჯავახიშვილი წერს – შენ შეიძლება კარგი ადამიანი იყო და სახლის კარები ყველას გაუღო, მაგრამ ამ კარებიდან ისეთი ადამიანებიც შემოვლენ, რომლებიც შენს საქციელს ვერ დააფასებენ. სამწუხაროდ, ასეც აღმოჩნდა. ევროპა უნდა გამოფხიზლდეს და მოიფიქროს, როგორ გადაარჩინოს თავისი ისტორია, ტრადიციები, ეთნოსი.

**– ევროპა და მათ შორის, ჩვენც მუსულმანურ რკალში ვართ. საქართველოში საკმაოდ ბევრი მუსულმანი ცხოვრობს. როგორ მოიქცევიან ისინი კონფლიქტის შემთხვევაში – როგორც ეთნიკურად ქართველები თუ როგორც რელიგიური მუსულმანები? ამ კუთხით, საფრთხეს რამდენად ხედავთ?**

– ჩვენ, საბედნიეროდ, ევროპელებისგან განსხვავებით, ურთიერთობის ბევრად ღრმა და დიდი ტრადიცია გვაქვს. მიუხედავად ძალიან რთული პირობებისა, ეს პრობლემა აქ, არასდროს გაღვივებულა. მათი სარწმუნოების მიმართ ტოლერანტობის ისტორიული გამოცდილებაც გვაქვს. ისინიც არასდროს ყოფილან აგრესიულნი. რაც ახლა ხდება, ეს ცალკე ამბავია. საბედნიეროდ, ყველა მუსულმანისთვის ასე არაა. მხოლოდ გარკვეულ ექსტრემისტთა დაჯგუფებას აქვს სურვილი „ისლამური სახელმწიფო“ შექმნას. ასე, რომ პრობლემას ვერ ვხედავ. ეთნიკური პრობლემები საქართველოში ტრაგიკულ კონფლიქტამდე არასდროს მისულა იმიტომ, რომ ძალიან დიდი ტრადიცია გვქვს.

მოდი, ასე ვიტყვი: რელიგია შენი კულტურის მაჩვენებელია, ამის გაყოფა შეუძლებელია. ჩვენს ეთნოსსაც ის რელიგია განასახიერებს, რაც გვაქვს და რომელმაც დიდი კულტურა შექმნა. ამიტომ, აქ, წყალგამყოფს ვერ ვხედავ. ჩვენს რელიგიაში მატარებელი ვართ იმისა, რომ ყველა უნდა შევინდოთ, მტერსაც ლოყა მივუშვიროთ. ამიტომ, სხვა რელიგიის მიმართ ყოველთვის ტოლერანტულნი ვიქნებით. თუ იქ, ჩვენს მიმართ აგრესია გაჩნდება, ეს მათი პრობლემაა. ქართველებს ასეთი ვიწრო ნაციონალური რელიგიური აგრესიები სხვების მიმართ, არასდროს ჰქონიათ.

**– ნატომ კარი მოგვიხურა, რუსეთს ვერ გადავიმტერებთო. რომც შევიდეთ ნატოში, ფარატინა ქაღალდი რამდენად დაგვიცავს რუსეთისგან? 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობის ხელშეკრულება გაფორმდა, მაგრამ ამან აღა-მაჰმად-ხანს ხელი არ შეუშალა შემოსულიყო და ქვეყანა აეოხრებინა.**

– სანამ თავად რუსეთი და დასავლეთი საერთო პოლიტიკას არ განახორციელებენ, სტრატეგიაზე არ მოილაპარაკებენ, ამ წყალგამყოფში ვიქნებით. რუსეთს თავის ამბიცია აქვს, ნატოს – თავისი. ეს ჩვეულებრივი თემებია. თუმცა, რუსეთის როლის დაკნინება არ შეიძლება. რუსეთმა თურქეთთან დამოკიდებულებაში დაგვიცვა, შედეგად, დღეს ბათუმი თურქული ქალაქი არაა. ერეკლეს ხელშეკრულება რომ არ დაედო, საქართველო ისეთ დღეში იყო კაცმა არ იცის, დღეს ქართულად ვილაპარაკებდით თუ არა. ურა-პატრიოტული სიტყვებით ხალხს ვერ გადაარჩენ. ჩვენ, ბევრ საკითხში, ამ ურა-პატრიოტიზმმა დაგვღუპა. ჭკუა რომ გვეხმარა, დღეს ნაკლებად დავზარალდებოდით როგორც ტერიტორიულად, ისე სხვა მხრივ.

ზოგადად, მსოფლიოში რთული ვითარებაა, ნახე, რა ხდება ამერიკაში, კრიზისია – აქეთ ტრამპი, იქით ჰილარი და ვიღაც სოციალისტი, ბარდაგია. კი, იქ, დემოკრატიული პროცესებია, ტრამპმა ნაციონალურ თემებზე მოიგო. იქ დემოკრატიაა, ხალხს ვერაფერს უშვებიან, მაგრამ პიროვნებების ხარისხი როგორია, ვინ არიან წარდგენილნი ვაშინგტონების, კენედების, ლინკოლნების მერე. ესაა პრობლემა რაც ჩვენი ქვეყნის ბედზეც აუცილებლად აისახება.

**– კონკრეტულად ჩვენი ამ ყოფაში ყოფნის თავი და თავი ის ხომ არაა, რომ ქვეყანას განვითარების კონცეფცია, იდეოლოგია არ აქვს.**

– იდეოლოგია გექნება, როცა რაღაცისთვის იბრძვი. ჩვენი იდეოლოგია განათლებისკენ უნდა მივმართოთ.

ვფიქრობ, კაცობრიობას, წინ, ბევრი პრობლემა ელოდება, რაც დრომ მოიტანა და ამის შეჩერებას ვერავინ შეძლებს. სამწუხაროდ, სანამ კაცობრიობა რაღაც შარში არ გაეხვევა, მანამდე ეს პრობლემები ასე იქნება, ამას ცხადად ვგრძნობ. ზუსტად ვერც კი ვხსნი რა პრობლემასთან გვექნება საქმე, მაგრამ ხომ საინტერესოა, როგორ უნდა იარსებოს ამდენმა მცენარემ ერთი წესით? – კი, მზე, მორწყვა, წყალი, ყველას სჭირდება, მაგრამ თითოეულს ხომ თავის სახე, გარემო, დრო აქვს. ბუნება ასეა მოწყობილი. ჩვენც იქედან გამომდინარე ვვითარდებოდით, თუ რა ისტორია და კულტურა გვქონდა. ახლა, თითქოს ყველა ერთია, რომ ვაკვირდები, დაწყებული ნიუ-იორკიდან ტოკიომდე დამთავრებული არაფერი იცვლება, მუსიკაც კი ერთია, აბსოლუტურად, გაუგებარია, მოდურ ადგილას რაღაც წარმოიშობა და ყველასთვის მისაბაძი ხდება. ანუ, ის მშვენიერება, რაც ქვეყნებს, კულტურებს შორის განსხვავებულია, ნელ-ნელა იკარგება. აქედან გამომდინარე, თვითმყობადობის გრძნობა მეკარგება. ბელგიაში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში ყველაფერი ერთიდაიგივეა გარდა ისტორიისა, არქიტექტურისა და კულტურისა. ამ ერთიდაიგივეობის, მეშინია. როგორც ადამიანები განსხვავდებიან თავიანთი სულიერებით, სამყაროთი, ასევე, უნდა იყოს ქვეყნებიც, ადრე, ყველას თავისი კულტურა ჰქონდა. ეს ძალიან რთული საკითხია. ამიტომ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის უნდა ვიზრუნოთ საკუთარზე, მაგრამ პოლიტიკურ, ეკონომიკურ კონტექსტში ძალიან დამოკიდებული ქვეყანა ვართ და ყოველთვის ასე იყო. ქართული კულტურა ყოველთვის საინტერესო იყო, აქ თავს იყრიდა ბერძნული, ბიზანტიური, დიდი სპარსული კულტურები. ჩიხში მიყუდებული ქვეყნები კი, კულტურულად, მუდამ, უკან იყო დახეული. შეიძლება ცხოვრობდნენ, რაღაცას აწარმოებდნენ, მაგრამ ეს ურთიერთობა არ ჰქონდათ. თუმცა, ახლა ეს ურთიერთობები სხვა რიტმში, სხვა დროში, გადავიდა. ამიტომ, ეს თემა, პრობლემატურია, ვერაფერს ვიზამთ. ყოველ შემთხვევაში მაინც მჯერა, რომ ადამიანის სიტყვას, გონებას ძალა აქვს. ოდესღაც, დადგება დრო, როცა კაცობრიობა იმ ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნდება, რაშიც უნდა განვითარდეს და წინ წავიდეს.



საქართველო ევროპისგან დავიწყებული ევროპაა, რომელიც დღეს ევროპული ღირებულებების გადარჩენისთვის უფრო მეტს იბრძვის, ვიდრე თავად ევროპა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ტრისტან წითელაშვილი:

# კატეგორიულად გთხოვთ, არცერთი სიტყვა არ შემიცვალოთ – ევროპაში „რესპუბლიკელებს“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ პირდაპირ დაადეს ხელი ქვეყნის ღალატში



**„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი ტრისტან წითელაშვილი, ამჯერად, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თადარიგის ვეტერან ოფიცერთა კავშირის“ თავმჯდომარე. ვინაიდან ბატონმა ტრისტანმა კატეგორიულად მოითხოვა შელამაზების გარეშე მოგვეტანა თქვენამდე მისი ნაუბარი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პასუხისმგებელია თითოეულ სიტყვაზე, ვალდებული ვართ შევასრულოთ მისი მოთხოვნა.**

**– ბატონო ტრისტან, სანამ მკითხველს ეტყვით, რატომ და ვინ მიგიწვიათ მიუნხენში, ისიც უთხარით, როგორ გააღწიეთ, როგორც ვიცი, პრობლემებს გიქმნიდათ რაღაც, უხილავი ძალა...**

– „უხილავი ძალა“ თქვენ დაარქვით, თორემ ჩემთვის არ არის „უხილავი“ ქალბატონი ხიდაშელი და „რესპუბლიკური პარტია“. მართალია, თვითონ არ ჩანდა, მაგრამ გერმანიის საელჩოდან რომ შემიქმნეს პრობლემა, აეროპორტის ჩათვლით, კიდევ ფაფხურობდნენ. საელჩოებში რომ სერიოზული წვდომა აქვთ, ახალი ამბავი არ არის, ამიტომ, ფიქრობდნენ, რომ შესძლებდნენ ჩემ ჩანაცვლებას თავიანთი კანდიდატურით, რომელიც მათთვის სასურველ განცხადებებს გააკეთებდა. მათდა სამწუხაროდ, მიწვევა კონკრეტულად ჩემზე იყო და არა ნებისმიერ სხვა პირზე.

მოგეხსენებათ, არა ერთხელ მაქვს ჩატარებული პრესკოფერენცია თემაზე, რა ხდებოდა და ხდება საქართველოში; გარდა ამისა, თბილისში ჩატარდა კონფერენცია („ამბასადორში“), სადაც მიწვეული ვიყავი და იქ იმყოფებოდნენ NATO-სა და ევროკავშირის წარმომადგენლები, ასევე, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. კონფერენციის შემდეგ იქ მყოფთაგან არა ერთმა სტუმარმა მოისურვა ჩემთან ინდივიდიალური საუბარი და ამას მოჰყვა უფრო ღრმად დაინტერესება. ამას დაერთო ისიც, რომ საერთაშორისო მედია-ფორუმზეც ვიყავი მიწვეული („აბსადორში“) და კვლავ აღმოჩნდნენ ის სტუმრები იქ, რომლებიც წინა პრესკონფერენციაზე იმყოფებოდნენ. ამჯერად, დოკუმენტების ასლები მთხოვეს – რა თქმა უნდა, გადავეცი. გერმანიის წარმომადგენელმა მითხრა, რომ მათი სურვილი იყო ანალოგიურ კონფერენციაზე ჩემი გამოსვლა რომელიც ეხებოდა თემას „მშვიდობა და განიარაღება“ – მხოლოდ საქართველო არ იყო ჩართული, წარმოდგენილი იყო 7-8 ქვეყანა, მათ შორის იუგოსლავიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, არასამთავრობო ორგანიზაცია ირანიდან.

როდესაც მიუნხენში ჩავედი, დამხვდნენ წარმომადგენლები და დამაბინავეს სასტუმრო „ევროპაში“. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ აბსოლუტურად ყველანაირი ხარჯი, თვით გადაადგილების ჩათვლით, მასპინძელ მხარეს ჰქონდა გაღებული. კონფერენცია ორშაბათ დღეს დაიწყო.

ჩემი გამოსვლები ეხებოდა იმას, თუ როგორ დაიწყო სააკაშვილმა საქართველოში რეჟიმის შექმნა ეტაპობრივად და შემდგომ როგორ ჩაერთო იარაღითა და ნარკოტიკებით კონტრაბანდულ ვაჭრობაში. თარჯიმანი რომ თარგმნიდა, დიდ ინტერესს იწვევდა გაგონილი, კითხვები უჩნდებოდათ. ჩემს საუბარს თან ერთვოდა როგორც ბეჭდური დოკუმენტური მასალა, ასევე ისეთი ვიდეო-კადრები, აქ რომ არ აქვთ ჯერ კიდევ ნანახი; მკვლელობები, დარბევები, „ორი გვამი მჭირდება“, 26 მაისის დარბევა“, 7 ნოემბრის დარბევა, დაჩეხილი ხალხი, სერგო თეთრაძის საქმე და ა.შ – ვიდეორგოლად მქონდა გაკეთებული.

მეორე დღის გამოსვლაში, უკვე რომ მივედი კონკრეტულ ფაქტებზე, დარბაზში მყოფების სახეები უნდა დაგენახათ... შესვენების დროს საელჩოს წარმომადგენელმა მითხრა, მაინც, ევროპაა, იქნებ, ცოტა შევარბილოთ ტონიო, გადავირიე – რას ჰქვია შევარბილო?! შევარბილო კი არა, ამ კადრებს იმიტომ ვუჩვენებ, კითხვები მაქვს იქით და იმ კითხვებზე მინდა პასუხი მივიღო-მეთქი!

გაგრძელდა კონფერენცია და პირდაპირ მივმართე: თქვენ იცით, ამ ყველაფერმა რა განწყობა შექმნა ჩემს ხალხში თქვენს მიმართ? ეს არის ევროპა და ეს არის დემოკრატია, ამის გამკეთებელია თქვენი „დემოკრატიის შუქურა“ და კიდევ, დღეს, ევროპის ქვეყნებში არიან მიმოფანტული, დამალულები ამის გამკეთებლები და თქვენ კიდევ პოლიტიკური თავშესაფრები მიეცით-მეთქი? კეზერაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეთ; დათა ახალაია სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეთ; ადეიშვილი შეფარებული გყავდათ; კოდუა აქ გყავთ მიმალული; ქარდავა თქვენ გყავთ; სააკაშვილს დღემდე უკრაინაში ფუთავთ, რატომ აკეთებთ ამას, ესენი ხომ სისხლის სამართლის დანაშავეები არიან. ეს ყველაფერი ამათ გააკეთეს, თორემ ვიღაც ჯარისკაცს არ მოსვლია აზრად, ხვალ წავიდე და „დუბინკა“ ვურტყა ვიღაცას თავში, რა დავაშავეთ ქართველმა ხალხმა რომ ასე გვექცევით-მეთქი?

გადაირივნენ – გასაგებია, რაც ხდებოდა, მაგრამ ჩვენ ბოლომდე არ ვიცოდით რაც ხდებოდაო. ახლა მე გადავირიე – როგორ არ იცოდით, თქვენი წარმომადგენლობა ყველაფერს მოგახსენებდათ, მაგრამ თქვენ თვალს ხუჭავდით და ახლა ამბობთ, რომ საქართველოშო პოლიტპატიმრები არიან ახალია, მერაბიშვილი, უგულავა და სხვა კრიმინალები-მეთქი?

**– რა გიპასუხეს?**

– ამ კითხვებზე პასუხი არ ჰქონდათ. ვუთხარი კიდეც, ვიცი, ამ კითხვებზე პასუხი არ გექნებათ, რადგან მათ მიერ ჩადენილი არა ერთი დანაშაულის თანამონაწილეები ხართ-მეთქი.

**– ასე თქვით?**

– პირდაპირ ასე ვთქვი – ძალიან მკაცრად ვილაპარაკე.

დაწვრილებით ხომ ვერ მოვყვები ყველა სიტყვას... მოკლედ, რომ „დავბომბე“ იქაურობა, მოვიდა მათი (გერმანიის) არასამთავრობოს წარმომადგენელი და ისე გამოუვიდა, „ვიზიარებ თქვენს მწუხარებას“, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამას თქვენი ხელისუფლება ითხოვდაო.

ხელისუფლება ჭრელი შემადგენლობისაა, კონკრეტულად ვინ ჩამოდიოდა, ვის ჰქონდა თქვენთან ამ ხასიათის საუბრები-მეთქი?

პირდაპირ გაიშვირეს ხელი თინა ხიდაშელისკენ და ალექსი პეტრიაშვილისკენ, ფაქტობრივად, „რესპუბლიკელებისა“ და „თავისუფალი დემოკრატებისკენ“.

– **„ანტიდისკრიმინაციული კანონის“ მიღება გვაიძულეთ, ახლა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება გაქვთ გუნებაში, რატომ გვაძალებთ, ხომ იცით, რომ ტრადიციული ქვეყანა ვართ, პატივს ვცემთ ჩვენს ადათ-წესებს-მეთქი? რა მითხრეს, ახლა თქვენ გადაირევით – ამაზე დიდი თანხებია გამოყოფილი, თინა ხიდაშელი რომ იყო ჩამოსული და ირაკლი ალასანია, თვითონ გვეხვეწებოდნენ, ჩვენ მზად ვართ ამისთვისო; ეს თანხები თვითონ უნდა წაიღონ და თვითონ ხდებიან პასუხისმგებელი ამ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებითო – გესმით, რაშია საქმე?** ჩვენ არ ვაძალებთ ქვეყნებს, სად ნახეთ რომ დავაძალეთო? კი, ბატონო, არის ასეთი პროექტები და გამოყოფილია უზარმაზარი თანხები, მაგრამ დაძალება არ ხდება – ჩამოვიდნენ, მოითხოვეს, ჩვენ მოგვეცით ეს უზარმაზარი თანხა, საქართველო მზად არის მიიღოს ეს კანონპროექტი, პასუხისმგებელი პირები არიან და პასუხისმგებლობას იღებენ, სულ ესააო.

არანაკლებ უარესი – ე.წ „თურქი მესხების საკითხი“. ეს მიძინებული თემა იყო, რადგან, ჩვენ რომ შევისწავლეთ, მივხვდით, რომ ამ საკითხს მოჰყვებოდა სერიოზული მღელვარება, ადვილი შესაძლებელი იყო, საქართველოში მათ შემოყვანას სისხლისღვრა მოჰყოლოდა, ამიტომ, ეს პროცესი მივაძინეთო. როგორც მითხრეს, ე.წ „თურქი მესხების საკითხზეც“ დიდი ფინანსები ყოფილა გამოყოფილი, ჯერ მხოლოდ შემოყვანის პირველ ეტაპზე მილიარდზე მეტია გამოყოფილი და ეს ჩვენი „პატივცემულები“ ყოველ ჩასვლაზე თავისას ცდილობენ, ტერიტორიებიც გამოყოფილი გვაქვს, სადაც უნდა ჩავასახლოთ, ჩამოსახლების შემდგომი მიმართულებებიც, ამიტომ, დავიწყოთ ეს პროცესიო. ჩვენმა





ესქპერტებმა შეისწავლეს შექმნილი ფონი და მოსალოდნელი გართულებების გამო თავს ვიკავებთ, მაგრამ თქვენები არ ჩერდებიანო.

ქართულ-ოსურ-აფხაზური ურთიერთობის საკითხზე მათი აზრითაც დავინტერესდი, თუ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მართლა მხარს უჭერთ, რატომ არ ხართ ჩართული პროცესებში აქტიურად, როდემდე უნდა იყოს ასეთი „ჰაერში ჩამოკიდებული“ მდგომარეობა-მეთქი? ჩვენ რას გველაპარაკები მაგ საკითხზე, დაელაპარაკეთ რუსეთს, პირიქით რატომ იქცევით, ხომ შეგიძლიათ შეცვალოთ ფორმატი, თქვენი ხელისუფლება გადავიდეს აქტიურ ფაზაში, მაგრამ რატომღაც არ იქცევა ასეო – ესენიც „ჩაუშვეს“ – სააკაშვილს რომ 4,5 მლრდ მიეცით, ნახევარი უკან დააბრუნა,



ფული გაათეთრა, იგივეა ამ შემთხვევაშიც, ქმნით კერებს და რა ხდება მის უკან, სხვა საკითხია, გადადის იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდაში, ან ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში და ისეთი ქვეყნები გჭირდებათ სწორედ ასეთი საქმეებისთვის, როგორიც საქართველოა, უკრაინა, იუგოსლავია, სირია – ტყუილს ვამბობ რამეს მეთქი?

– **აქედან არ გიშვებდნენ, მაგრამ ახლა იმათ როგორ გამოგიშვეს ცოცხალი...**

– ტურისტად კი არ ვიყავი ჩასული... იქ რომ ჩავედი, იქაურმა სპეცსამსახურებმაც იცოდნენ რომ ჩავედი და კარგს არაფერს ვიტყოდი...

ამის შემდეგ დაიწყო ინდივიდუალური შეხვედრები. უკრაინელს გადავეცი გაუპატიურების კასეტები, კარგად შეფუთეთ უკრაინაში სააკაშვილი და ცოტა ხანში ცოცხს კი არა „პუშკას“ გაგიკეთებენ-მეთქი – ნამდვილი უკრაინელები იყვნენ, „მიშას უკრაინელები“ არ იყვნენ. მადლობლები დარჩნენ, მთელ უკრაინას მოვდებთო...

ის პროცესები, რაც დღეს ხდება საქართველოში, მიზეზთა გამო ყველას აწყობს – მოდის მილიარდები, ხდება ფულის გათეთრება, რამდენიმე ადამიანის გამდიდრება, ხოლო ქვეყნისთვის არის დაუსრულებელი ქაოსი. ყველა ერთმანეთის წილშია, უცხოეთის სხვადასხვა კურორტებზე აქვთ შეძენილი სახლები თუ ვილები და მაინც არ ჰყოფნით, მეტი და მეტი უნდათ, ხომ ხედავთ, რეებს იხვეწებიან და ახლა, ამ ადამიანებს ფეხებზე არ ჰკიდიათ ხალხი და ქვეყანა?

ეს იყო თქვენი ხელისუფლება; ესაა თქვენი ხელისუფლება და კიდევ ისეთივე გეყოლებათო. ჰაიტ, – ვიყვირე, – ოღონდ თქვენი თავი დაგვანებეთ, გვაცადეთ ჩვენი არჩევანის გაკეთება, თქვენ ნუ ჩაერევით და ჩვენ ვიცით ვის ავირჩევთ-მეთქი. ივანიშვილს რომ „რესპუბლიკური პარტია“ და „თავისუფალი დემოკრატები“ იძულებით შეაყვანინეთ პარლამენტში; ტერორისტული ორგანიზაცია „ნაციონალისტური მიძრაობა“ რომ ოპოზიციურ პარტიად გადაგვიკეთეთ, ამის გამო გვიჭირს ყველაფერი მეთქი, ერთი კვირა ამეებს და ამის მსგავსებს ვყვიროდი, არ გამიჩერებია ენა...

– **გული ხომ მოიოხეთ, მომავალში მაინც არსად მიგიწვევენ და...**

– ვინ მოგახსენათ, ხიდაშელმა თუ ალასანიამ? უკრაინაშიც მიმიწვიეს და იუგოსლავიაშიც...

**გიორგი ჩხეიძე**

## მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილს!

# მიწის მართვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა



**ბატონო პრემიერ-მინისტრო,**

გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ ქვეყნისათვის იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემას, რომელიც ეხება საქართველოში მიწის მართვისა და აღრიცხვის საკითხს. მისული ვართ იმ სავალალო შედეგამდე, რომელსაც ჰქვია მიწის რესურსებზე სახელმწიფოს მიერ ერთიანი კონტროლის დაკარგვა. პრობლემის გადაუწყვეტელობა არარეალურს გახდის ეროვნული ეკონომიკის წინსვლას, გააღრმავებს უნდობლობას ხალხსა და მთავრობას შორის და დიდ დაძაბულობას გამოიწვევს.

2004 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უსაფუძვლოდ, გააუქმა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და, მისი ძირითადი ფუნქციები გადაანაწილა იუსტიციის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს შორის. ფუნქციების ამ გადანაწილებას (გახლეჩას) შედეგი არ მოჰყოლია. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა დღემდე არ ხორციელდება. დღეს ვერავინ გეტყვით, თუ რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

2005 წლამდე ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელიც შემდეგ გადაეგზავნებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს. თითოეულ რაიონში ჩატარებული მიწის აღრიცხვის საფუძველზე ხდებოდა საქართველოს მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენა. მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და მტკიცდებოდა მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწის რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ.

დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მიწის ყოველწლიური ბალანსი ან მსგავსი რამ არ კეთდებოდეს, მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ აანალიზებდეს, არ აკონტროლებდეს მიწის რესურსების მოძრაობას (დინამიკას), არ იცოდეს, თუ როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეობაზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, არ ახორციელებდეს ქმედით ღონისძიებებს მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით.

სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურების ზოგიერთი ხელმძღვანელი მიწის ბალანსს ვერ ასხვავებს მიწის კადასტრისგან და აცხადებს, რა საჭიროა მიწის აღრიცხვა, როცა გვაქვს და ვაკეთებთ მიწის კადასტრს. მიწის კადასტრი არის რეგისტრაციის მომენტისათვის მიწის ფართობის ერთჯერადი დადგენა კარტოგრაფიული და იურიდიული მდგომარეობით.

მიწის ბალანსი მიწის აღრიცხვა არის მიწის ფართობების დადგენა მიწის დანიშნულების, კატეგორიებისა და მესაკუთრეების მიხედვით. მაგალითად. მიწის ბალანსი რაიონში აღრიცხავს და აზუსტებს მთლიან ფართობს, მათ შორის რამდენი ჰექტარია სასოფლო-სამეურნეო მიწა კატეგორიების მიხედვით (სახნავი, სათიბი, საძოვარი, მრავალწლიანი ნარგავები: ვენახი, ხილის ბაღები, ციტრუსები, ჩაის ფართობები და სხვ.), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ტყის ფონდის მიწა, წყლის ფონდის მიწა და სხვა მიწები მესაკუთრეების მიხედვით.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხშირად აქვს ადგილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის ცნებების აღრევას – სავარგული არის მიწის ნაკვეთი, რომელიც უშუალოდ გამოიყენება პროდუქციის მოსაყვანად. სავარგულების კატეგორიებია: სახნავი, ნასვენი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბები და საძოვრები; ხოლო, საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთად რეგისტრირებულ მიწებში იგულისხმება სავარგულები და ასევე, ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობები, გზები, ქარსაფარი ზოლები, არხები და ა.შ., რომლებიც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

საინტერესოა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელსაც ევალება მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, როგორ ადგენს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმას, როდესაც არ გააჩნია მიწის განვითარების ხედვა, სტრატეგია, აღრიცხვის მონაცემები და სახელმწიფო პროგრამა. ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ როგორ შეიმუშავა: „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.“, როდესაც არ იცის და არ აქვს დაზუსტებული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მონაცემები, მათი დინამიკა კულტურებისა და საკუთრების მიხედვით.

როგორც ცნობილია, კონტროლს მიწის გამოყენებაზე უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო. მიწის ფონდის კონტროლი და მართვა მხოლოდ სახელმწიფოს განსახორციელებელია და ამისთვის შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა ქვეყნის რაციონალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გარანტი უნდა იყოს.

მართალია, რეგისტრაციის შედეგად მიღებული მიწასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან და ძვირფას რესურსს, მაგრამ სრულყოფილი რეესტრის წარმოების შემთხვევაშიც კი, მარტო ამ რესურსზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მიწის პოლიტიკის განხორციელება და ეფექტურად მართვა შეუძლებელი იქნება, თუ არ იარსებებს მიწის მართვის ძლიერი სახელმწიფო ორგანო.

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი საქმიანობა უნდა განხორციელდეს, პოლიტიკური განსჯის საგანი არ უნდა იყოს ის, თუ რომელ სამინისტროს ან ორგანიზაციას შეუძლია უკეთესად შეასრულოს მმართველის ფუნქცია – აუცილებელია შეიქმნას მიწის ადმინისტრირების მაკოორდინირებელი ორგანო (სახელს მნიშვნელობა არა აქვს, იქნება სააგენტო, სამსახური თუ სხვა), რომლის ამოცანა იქნება მიწის ადმინისტრირება – სახელმწიფო მმართველობა, სახელმწიფო ზედამხედველობა, მიწის გამოყენების კოორდინაცია, მიწის რესურსების მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა – ცვლილებების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება. ანუ, მიწის ადმინისტრირების ორგანო უნდა ფლობდეს ძლიერ პოზიციას მთავრობაში – ერთიანი რესურსის ინფორმაციასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობის გამო.

ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის – მიწის – დაცვა და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება შეუძლებელი იქნება მიწის მართვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის, მიწაზე მონიტორინგისა და მიწის კოდექსის მიღების გარეშე.

მიწის ფართობების ყოველწლიური აღრიცხვის უგულებელყოფას და მიწის კოდექსის არარსებობას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.

იმედი გვაქვს, რომ ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ ამ სახელმწიფოებრივად არსებითი პრობლემის გადასაჭრელად.

**პატივისცემით,**

**ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), პროტოპრესვიტერი გიორგი (ზვიადაძე), დეკანოზი თევდორე (ამბროლაძე), რეზო ამაშუკელი, გია არეშიძე, რობერტ ბაბლიძე, იოსებ ბაჩიაშვილი, დემურ ბახტაძე, მერაბ ბოხუა, გივი ბუცხრიკიძე, მერი გაბედავა, რამაზ გახოკიძე, მამუკა გიორგაძე, რევაზ გოგოხია, როსტომ გუნთაიშვილი, ვახტანგ გურული, ავთანდილ დემეტრაშვილი, ლევან ვასაძე, მერაბ ვაჩნაძე, დავით ზარდიაშვილი, გენო კალანდია, ჯემალ კაციტაძე, გია მაისაშვილი, ბესიკ მამინაშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, გურამ მაქაცარია, შოთა მაჭარაშვილი, რევაზ მახარობლიძე, ანზორ მესხიშვილი, ზურაბ მიქელაძე, გრიგოლ მურღულია, ნოდარ ნათაძე, ზაურ ნაჭყეპია, ოთარ ჟორდანია, ბადრი რამიშვილი, ზურაბ რევიშვილი, ნიკა სანებლიძე, ლევან სვანაძე, ავთანდილ სილაგაძე, აპოლონ სილაგაძე, ნაუმ ტურაბელიძე, თენგიზ ურუშაძე, ჯუმბერ ფანჩულიძე, ყარამან ფაღავა, ლევან ფრუიძე, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ომარ ქეშელაშვილი, თამაზ ყურაშვილი, თემურ შანშიაშვილი, ზვიად შავანგირაძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ლევან ჩაჩუა, ნიკო ჩიხლაძე, ნინო ჩიხლაძე, თინა ჩხეიძე, მურმან ცეცხლაძე, თამაზ წივწივაძე, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ ჭიჭაყუა, ეთერ ხარაიშვილი, ჯემალ ხაჩიძე, რამაზ ხუროძე, ელიზბარ ჯაველიძე, მიხეილ ჯიბუტი, ზაურ ჯინჯოლავა, დოდო ჯოლოხავა, პაატა კოღუაშვილი.**

# ჭაობი, სადაც გიული ალასანიას „ყვავილები“ ხარობენ

## საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამეფებული უკანონობის და თავაშვებულობის შესახებ



**საქართველოს განათლების სისტემაში რომ სავალალო მდგომარეობაა, ამის შესახებ არაერთხელ უსაუბრიათ კომპეტენტურ ადამიანებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენებიც, ამის აშკარა დასტურია. რა ხდება სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც თურმე სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კანონმდებლობასაც არაფრად დაგიდევენ, „საერთო გაზეთს“ ხსენებული უნივერსიტეტის პროფესორი ზაალ მიქაძე და იურისტი დავით წიქარიშვილი გვესაუბრნენ.**



**ზაალ მიქაძე:** „ბატონი არჩილ ფრანგიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) რექტორად პირველად 2009 წელს ავირჩიეთ. დიდი იმედი გვქონდა, რომ მთელი რიგი ცვლილებები მოხდებოდა და შევძლებდით იმ მოწინავე პოზიციებზე გასვლას, რასაც იმსახურებდა ეს ტრადიციული უმაღლესი სასწავლებელი. ბატონი არჩილის წინასაარჩევნო პროგრამამ ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რადგან ეს იყო უაღრესად ინოვაციური და წარმატებული პროგრამა, გვეგონა ეს ყველაფერი განხორციელდებოდა და თ წარმატებებს მივაღწევდით. სამწუხაროდ, ბატონი არჩილი იმ გარემოცვის მსხვერპლი გახდა, რომელმაც ის რექტორად აირჩია, მან თავი ვერ დააღწია მაშინდელ აკადემიურ საბჭოში გამეფებულ სტერეოტიპებს. სპეციალურად დავითვალე და აღმოჩნდა, რომ საბჭოს წევრთა საშუალო ასაკი საპენსიო იყო, ამიტომ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს ხალხი შეძლებდა ინოვაციური მეთოდების დანერგვასა და განხორციელებას, სამწუხაროდ ჩემი პროგნოზი გამართლდა. მიუხედავად ჩვენი მრავალგზის მცდელობისა, ვერ მოხერხდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესება, უფრო მეტიც, უნივერსიტეტი დატოვეს ნიჭიერმა კადრებმა, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო დაბალ ანაზღაურებასთან. ჩვენგან წასულმა კონტიგენტმა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი ანაზღაურებაც მიიღეს და სტატუსიც, დღეს ეს ხალხი წარმატებით მოღვაწეობს, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ უნივერსიტეტებში. 2012 წელს (ხელისუფლება ჯერ არ იყო შეცვლილი) რექტორად კვლავ არჩილ ფრანგიშვილი ავირჩიეთ, ვფიქრობდით, ახლა მაინც განახორციელებდა თავის პირვანდელ პროგრამას, მაგრამ ყველაფერი იგივე სცენარით განხორციელდა, რაც მთავარია, არ მოხდა დიფერენცირება, მნიშვნელობა არ აქვს კარგად მუშაობ თუ ცუდად, ანაზღაურება ყველასთვის ერთნაირია, მაგრამ გარკვეულ დონემდე, რის შემდეგაც ანაზღაურება მკვეთრად იზრდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალმა პარლამენტმა ცოტა დაუხვეწავი კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას (ადმინისტრაციას), არ შეიძლება პროფესორის ხელფასზე 30%-ით მეტი ოდენობის ხელფასი ჰქონდეს. „გამოსავალი“ მოინახა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საოცარი რამ მოიფიქრა, ჩვენთან პროფესორის ხელფასი (დაბეგვრის გარეშე) 1200 ლარია, ვინც რუსულენოვან ჯგუფებს ასწავლის, მათ ორჯერ მეტი ოდენობის ხელფასი დაენიშნათ, ხოლო ინგლისურენოვანი ჯგუფების პროფესურას სამჯერ მეტი. ერთი შეხედვით, თითქოს რუსულად და ინგლისურად სწავლება უფრო ძნელია და ხელფასიც ამიტომაა განსხვავებული, მაგრამ საქმე სხვა რამეში ყოფილა. როდესაც ხელფასის ამგვარი დიფერენცირების საკითხი ფაკულტეტის (ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი) საბჭოზე დავაყენე, მიპასუხეს რუსულენოვანი სტუდენტები ორჯერ მეტ თანხას იხდიან, ხოლო ინგლისურენოვანი სტუდენტები სამჯერ მეტსო. რუსულენოვან ჯგუფში 20 სტუდენტია, ინგლისურენოვანში დაახლოებით 10, ხოლო ქართულენოვან ჯგუფებში ასამდე სტუდენტია, მარტივი არითმეტიკაა, რომ ამ უკანასკნელთ გაცილებით მეტი თანხა შემოაქვთ, ანუ პროფესურის ანაზღაურების დიფერენცირება შემოსავლების მიხედვით არ ხდება, ანაზღაურების ხსენებული დიფერენცირება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაუდგენია. ქართული ენის ასეთი დისკრიმინაცია საბჭოთა იმპერიის დროსაც კი არ ხდებოდა, თუმცა რატომღაც ამაზე ხმას არავინ იღებს. ერთი სიტყვით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საშუალება მიეცა, რომ მათ 1200 ლარს დამატებული ამ თანხის 30% კი არ ჰქონდეს ხელფასი, არამედ 3600 ლარს დამატებული მისი 30%. ასე რომ, ფაკულტეტის დეკანს 4.000 ლარზე მეტი აქვს ხელფასი, ამ ფაკულტეტის პროფესორს კი 1200 ლარი, ამის შემდეგ უნივერსიტეტიდან ნიჭიერი კადრების გადინება როგორ უნდა გაგვიკვირდეს.

ამ უდიდესი ტრადიციების მქონე უმაღლეს სასწავლებელში უმძიმესი ვითარებაა, სასწავლო პროცესი კატასტროფის წინაშე დგას. ტექნიკური უნივერსიტეტი ფაქტობრივად სუპერმარკეტადაა ქცეული, რადგან სხვადასხვა ტიპის დიპლომებს ყიდულობენ, აბიტურიენტების ძალიან მცირე ნაწილი შემოდის ცოდნის მისაღებად, ძირითადად დიპლომის საყიდლად მოდიან. ტექნიკური უნივერსიტეტი არ არის ერთი ადამიანის კუთვნილება, არც ერთ თაობას შეუქმნია, მრავალი თაობის მუხლჩაუხრელი შრომაა ჩადებული, ამიტომ ვერავის მივცემთ უფლებას, რომ იგი გააპარტახოს და ანეკდოტებისა და სკეტჩების წყაროდ აქციოს.

**- ბატონო ზაალ, არჩილ ფრანგიშვილს 2016 წლის არჩევნებშიც მიუღია მონაწილეობა გაუმარჯვია. რის საფუძველზე იყარა ამ ადამიანმა კენჭი, როცა საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ პირდაპირაა მითითებული, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი არჩეულ იქნეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტით, რაც არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობის ორ ვადას?**



- ზუსტად ამაზე გვაქვს პრეტენზია, იმ ადამიანებს, რომლებიც 2008 წლიდან 2016 წლამდე ხელმძღვანელობდნენ ტექნიკურ უნივერსიტეტს, სურვილი აქვთ კვლავ დარჩნენ მმართველობაში და მესამე ვადით იყარონ კენჭი სხვადასხვა მმართველ ორგანოებში, საუბარი მარტო რექტორზე კი არა, აკადემიურ საბჭოზეცაა, ხსენებული კანონის თანახმად აკადემიური საბჭოს წევრობაზე კენჭს იყრის სრული ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება იქნეს არჩეული. არჩევნების დღეს სხდომას ჩემს სტუდენტებთან ერთად ვესწრებოდი, რექტორობაზე არჩილ ფრანგიშვილთან ერთად პროფესორი გელა (გოდერძი) ტყეშელაშვილიც (ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი) იყრიდა კენჭს, გაოცებული დავრჩი აკადემიური საბჭოს წევრების მხრიდან ალტერნატიული აზრის იმ დონის მიუღებლობა და აგრესია მოდიოდა, ქვეტექსტი ერთი იყო, როგორ გაბედა გელა ტყეშელაშვილმა რექტორობაზე თავისი კანდიდატურის წარდგენა. პროფესორები ტყეშელაშვილის მიმართ ისეთი აგრესიას და შეუწყნარებლობას ავლენდნენ, რომ ჩემმა სტუდენტმა მითხრა, ნეტავ საერთოდ არ მოვსულიყავითო, რაც ჩემთვის ძალიან მძიმე და შემზარავი მოსასმენი იყო. რექტორის არჩევნების შემდეგ აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარდა, სადაც მეც მივიღე მონაწილეობა. ეს არჩევნებიც დარღვევებით ჩატარდა, თუნდაც იმიტომ, რომ ხსენებულმა საბჭომ თავად გაიგრძელა უფლებამოსილების ვადა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან განცხადება რომ შევიტანე, არაფერი უთქვამს, 2-3 დღის მერე ისევ რომ შევიტანე განცხადება, რათა ჩემი უფლებამოსილი პირი მეთვალყურის რანგში დასწრებოდა არჩევნებს, მითხრეს ხუთი დღით ადრე უნდა მოგემარათო. ისე ჩაატარეს არჩევნები, რომ არცერთი კანდიდატის (ჩემს გარდა კიდევ ხუთი კანდიდატი იყო) უფლებამოსილი პირი არ დასწრებია. ამ არჩევნებში 150 პროფესორი და 80 სტუდენტი იღებს მონაწილეობას, გვესმოდა როგორ ეუბნებოდნენ ამ სტუდენტებს, რომ მათი ფავორიტისთვის (გოგი აბრამიშვილი) მიეცათ ხმა, რომელიც მანამდე ორჯერ იყო არჩეული და მესამედაც იყრიდა კენჭს ჩვენი ფაკულტეტიდან. სტუდენტური თვითმმართველობის, უნივერსიტეტის დირექციის გავლენის ქვეშ მყოფი ორგანიზაციის წარმომადგენლები ვისზეც მიუთითებენ, სტუდენტებიც იმას აძლევენ ხმას. კომისიის წევრები თავისუფლად გამოდიოდნენ იმ ოთახიდან, სადაც ხმების დათვლა ხდებოდა, სარგებლობდნენ კომპიუტერებით და ა.შ. რაც ასევე დაუშვებელია, ამის შედეგად დირექციის ფავორიტმა კანდიდატებმა „გაიმარჯვეს“. ოფიცი-



ალურად არ აზმიანებენ, თორემ უნივერსიტეტში ყველამ იცის და დოკუმენტალურად არაპირდაპირაც მტკიცდება, რომ აკადემიურ საბჭოში ზედიზედ მესამედ არიან არჩეულები პროფესორები: გიორგი სალუქვაძე, შალვა ნაჭყებია, ოთარ ზუმბურიძე, გოგი აბრამიშვილი და ლევან იმნაიშვილი. დარღვევით ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით, გელა ტყეშელაშვილმა სასამართლოს მიმართა, მისი საქმე უკვე მიღებულია წარმოებაში, პარალელურად ჩვენც შევიტანეთ სარჩელი და ველოდებით როგორ განვითარდება მოვლენები. გასაოცარია მთელ ამ პროცესში განათლების სამინისტროს პოზიცია, თუ ვინმეს ჰგონია, რომ შეძლებს კანონზე მაღლა დადგომას, ეს არ მოხდება, ამას არ დავუშვებთ. აკადემიური საბჭოს ბოლო არჩევნების დროს, მოსყიდვის გასაოცარი ფაქტი მოხდა, არჩევნების მეორე დღეს სტუდენტების ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალი რომ გავხსენი, ბევრი სტუდენტის გვარი „გადალურჯებული" დამხვდა, ანუ სტუდენტებს მეორე დღესვე მიეცათ გრაფიკი, რაც ნიშნავს, რომ მათ უფლება აქვთ არა განსაზღვრულ ვადებში, არამედ დიდი შეღავათებით ჩააბარონ გამოცდები. რა არის ეს, თუ არა სტუდენტების მოსყიდვა? სტუდენტური თვითმმართველობის დღევანდელი თავმჯდომარე 35 წლის კაცია და განსაცვიფრებელია, რომ თვითონ სტუდენტებს ამაზე რეაქცია არ აქვთ.

ნაცმოძრაობა და პრეზიდენტყოფილის დედას გიული ალასანია რომ კვლავ ინარჩუნებენ გავლენებს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ამას ჩვენი რესპოდენტებიც ადასტურებენ. მთელი თბილისი იმას ლაპარაკობდა, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ჩალის ფასად ქალბატონმა ალასანიამ აგვისტოს ომის დროს სტუ-ის რამდენიმე შენობა. რამდენიმე წლის წინ ტექნიკური უნივერსიტეტისთვის იურიდიული სტატუსის შეცვლაც ამ ქალბატონის სახელთან ყოფილა დაკავშირებული.

პროფესორ ზაალ მიქაძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ **დავით ჭიქარიშვილის** განცხადებით, არჩილ ფრანგიშვილი მას შემდეგ მოევლინა სტუ-ს, რაც გიული ალასანიას უნივერსიტეტს („საქართველოს უნივერსიტეტი") ქონება დაჭირდა, თუმცა, როგორც ირკვევა ეს ქალბატონი არც მანამდე უჩიოდა მადას. რესპოდენტების ინფორმაციით, ეს უნივერსიტეტი, რომელსაც გიული ალასანიას სახელობის უნივერსიტეტსაც უწოდებენ, სავარაუდოდ 2004 წელს დაფუძნდა, რომლის დამფუძნებლების იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ანუ სახელმწიფო 99%-იანი წილით, გიული ალასანია (0,5%) და მანანა სანაძე (0,5%), ეს უკანასკნელი დღეს „საქართველოს უნივერსიტეტის" რექტორი გახლავთ, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ასეა მითითებული. ზაალ მიქაძის განცხადებით, 2005 წელს „საქართველოს უნივერსიტეტის" წესდებაში ცვლილება მოხდა (ადრე ის ინფორმაცია განთავსებული ყოფილა უნივერსიტეტის საიტზე, თუმცა შემდეგ გამქრალა) და ტექნიკურმა უნივერსიტეტმა თავისი წილი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გადასცა გიული ალასანიას, როდესაც ეს ინფორმაცია ხსენებულ საიტზე იდო, ქალბატონი ალასანია 99,5% წილის მფლობელად იყო დაფიქსირებულიო. თავიდან ხსენებულ უნივერსიტეტს (ოღონდ მითითებული არ არის რომელ



წელს დაფუძნდა) „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი ერქვა, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ სპეციალობებს სხვა საგანმანათლებლო პროგრამები დაემატა, 2005 წელს უნივერსიტეტი ახალი სახელით დაუფუძნებიათ და კერძო სტრუქტურა გამხდარა. ზაალ მიქაძის განცხადებით, ე.წ. ალასანიას უნივერსიტეტი თავიდან ტექნიკური უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში იყო განთავსებული და ეს შენობა სავარაუდოდ, ყოველგვარი ნასყიდობის გარეშე გადაეცა სააკაშვილის დედის უნივერსიტეტს. 2008 წელს „საქართველოს უნივერსიტეტს" ერთ პაკეტად შეუძენია მანამდე სტუ-ის მფლობელობაში არსებული მე-9 კორპუსი, სტადიონი, სპორტული დარბაზი, ასევე მშენებარე კორპუსი (მე-7), ოფიციალურად გამოცხადებული თანხა, რომელიც მყიდველმა გადაიხადა (თუ მართლაც გადაიხადა) ერთ კვ.მეტრზე 10 აშშ დოლარი ყოფილა, ეს მაშინ, როცა იმ პერიოდში საბურთალოზე ერთი კვ.მ მიწა 300 აშშ დოლარი ღირდა. „რამდენადაც ვიცი, დღეისათვის „საქართველოს უნივერსიტეტის" მესაკუთრეობა აშშ-ის მოქალაქეზეა გადაფორმებული, ყოველ შემთხვევაში, სამეწარმეო რეესტრში „საქართველოს უნივერსიტეტი" არ იძებნება", აცხადებს ბატონი ზაალ მიქაძე.

**დავით ჭიქარიშვილი:** „არჩილ ფრანგიშვილის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა ძალზე საეჭვოდ დაემთხვა 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდს. მისი რექტორად არჩევა (2009 წელი) მედიასაშუალებებით ძალზე ფართოდ გაშუქდა, რა საჭირო იყო ამხელა აჟიოტაჟი, როცა მხოლოდ ერთი კანდიდატი იყრიდა კენჭს. ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო, მოგვიანებით კერძო სამართლის არამომგებიან იურიდიულ პირად გადააკეთეს, მაგრამ მის მფლობელად ისევ სახელმწიფო დარჩა (2013 წლის ზაფხულში ტექნიკური უნივერსიტეტს ძველი სტატუსი დაუბრუნეს). სხვათა შორის, ბატონმა ფრანგიშვილმა მაშინ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, არავის დავუნიშნივარ, მე თვითონ შევუდექი რექტორის მოვალეობის შესრულებასო. მანამდე რექტორი არჩილ მოწონელიძე იყო, როგორც თანამშრომლები ამბობენ, მან საკუთარი განცხადებით დატოვა თანამდე-
ბობა, იცოდა, რომ აიძულებდნენ გიული ალასანიას უნივერსიტეტისთვის სტუ-ის ქონების გადაცემას და არ ისურვა ამ სიბინძურეში გარევაო. ქალბატონი ალასანიას „საქართველოს უნივერსიტეტი" მას შემდეგ ყვავის და იფურჩქნება, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტი ნადგურდება, რადგან პარაზიტივით მიწებებული ეს ორგანო, ყველაფერ საუკეთესოს წოვს. რექტორობის კანდიდატმა გელა ტყეშელაშვილმა მისწერა განათლების სამინისტროს, იქნებ აგვიხსნათ რა ხდება ტექნიკურ უნივერსიტეტში, რა გაიყიდა და რა დაგვრჩაო, რაზეც უპასუხეს, ყველაფერი კანონიერადაა, არჩილ ფრანგიშვილიც კანონიერად აირჩიეს რექტორად და აკადემიურმა საბჭომაც კანონიერად გაიგრძელა უფლებამოსილების ვადაო. ზაალ მიქაძემ 3 თებერვალს მიმართა სანიკიძის უწყებას საჯარო ინფორმაციის მისაღებად და დღემდე არ მიუღია პასუხი, არადა ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს. კითხვას ვუსვამ, როგორც განათლების სამინისტროს, ისე საზოგადოებას, როგორ შეეცვალა ტექნიკურ უნივერსიტეტს სტატუსი ასე უცებ, ყოველგვარი აუდიტის და მმართველობის შეცვლის გარეშე, როცა სტატუსის შეცვლა უამრავ ბარიერთანაა დაკავშირებული. აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული ოქმებისა და აქტების ნუმერაცია სტატუსის შეცვლის შემდეგაც გრძელდება.

**- ბატონო დავით, თქვენი აზრით, რა მიზანი ჰქონდათ ნაციონალებს ტექნიკური უნივერსიტეტი კერძო სამართლის იურიდიულ პირად რომ გადააკეთეს?**

- უნივერსიტეტი არამომგებიან იურიდიულ პირად (არაკომერციული/არასამეწარმეო) დაფიქსირდა, რადგან ამ სტატუსის მქონე პირს უფრო ადვილად გამოუვიდოდა ქონების სიმბოლურად ფასად გადაცემა, აქ გადასახადებისგან თავის არიდების მომენტიცაა, რადგან არამომგებიანი და მომგებიანი იურიდიული პირები განსხვავებული რეჟიმით იბეგრებიან. არამომგებიანი სუბიექტის შემთხვევაში, შემოსავალი, თანამშრომლების ხელფასების გარდა, მხოლოდ უნივერსიტეტის განვითარებას ხმარდება და მას გადასახადების 35%-ის (თუ მეტის არა) გადახდას არავინ მოსთხოვს. რახან სტატუსის შეცვლის შემდეგაც ისევ სახელმწიფო იყო დამფუძნებელი, თანაც არამომგებიანი სუბიექტი დაარქვეს, ეგონათ, რომ ეს უფლებას აძლევდა ტექნიკური უნივერსიტეტის ქონება გაენიავებინათ. აქ მარტო ერთ უმაღლეს სასწავლებელზე არ არის საუბარი, ხსენებული უნივერსიტეტის სისტემაში, თუ არ ვცდები, 16 მარტო ინსტიტუტი შედის, აღარაფერს ვამბობ კვლევით ინსტიტუტებზე. ეს ყველაფერი თუ ტექნიკური უნივერსიტეტის ქონებაა, ე.ი. სახელმწიფო ქონება ყოფილა, რომელიც ყველას გვეკუთვნის და რატომ ხდება მისი ერთპიროვნულად განკარგვა? აქ კიდევ ერთ ძალზე საგულისხმო საკითხზე მინდა ყურადღება გავამახვილოთ, არჩილ ფრანგიშვილმა სამხრეებიანი „ჩეკისტებით" გაავსო ტექნიკური უნივერსიტეტი, 600-კაციანი წარმომადგენლობითი საბჭო ყავს, რომლის თავმჯდომარეც უშიშროების ყოფილი მინისტრი ჯემალ გახოკიძე გახლავთ, რომელიც ბატონი ფრანგიშვილის პროტეჟეა. აქ მარტო ბატონ გახოკიძეზე არ არის საუბარი, ეს არის საკმაოდ კარგად ორგანიზებული შპიონაჟის სისტემა, ფაქტობრივად პოლიტიკური პოლიცია. ერთ მაგალითს გეტყვით, თუ ზუსტად მახსოვს, 2012 წელს რამდენიმე სტუდენტი რექტორის წინააღმდეგ საპროტესტო აქციას აწყობდა, ზემოხსენებულებმა „მეამბოხე" სტუდენტები ქალაქგარეთ გაიყვანეს და იქ ჩამოყარეს, თურმე ცხვირწინ იარაღიც უტრიალეს და ცემითაც დაემუქრნენ, მე არ ვიცი კიდევ რა სიბინძურით დაემუქრნენ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სტუდენტები „გასეირნებიდან" საშინლად თავზარდაცემულები ჩამოვიდნენ. მართალია, ეს ფაქტი ნაციონალების მმართველობისას მოხდა, მაგრამ პროკურატურას არც ახლა შეუწუხებია თავი, რომ გამოეძიებინა, ასე დევს ეს საქმე, სერიოზულად არავინაა დაკითხული. არც სააკაშვილს აკლდა ლანძღვა და არც მოქმედ ხელისუფლებას, ვერ გავიგე ვინ არის ამისთანა არჩილ ფრანგიშვილი, რომ მის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება? სხვათა შორის, მთელი პრესა ან ნაყიდია, ან შეშინებული, რადგან თქვენამდე სადაც არ მივედით,



ყველგან უარი გვითხრეს ინტერვიუს დაბეჭდვაზე.

ზაალ მიქაძის განცხადებით, უნივერსიტეტის ფინანსებს სწორედ წარმომადგენლობითი საბჭო და კანცლერი განკარგავენ. ეტყობა „მარადმწვანეობა" ტექნიკური უნივერსიტეტში კარგად აპრობირებული მეთოდია, კანცლერის თანამდებობას თურმე 11 წელია ქეთევან ქოქრაშვილი იკავებს.

**დავით ჭიქარიშვილი:** „2016 წელს განათლების სამინისტრო კაი ხანს არ ატარებდა რეგისტრაციაში ქალბატონი ქოქრაშვილს, მაგრამ მესამედ გარექტორებული ფრანგიშვილი ჩაერია და დაითანხმა. სხვათა შორის, თავიდან გვეგონა, რომ ფრანგიშვილი სამინისტროს ხელით აპირებდა მის მოშორებას, რის საფუძველზე მოხდა შეთანხმებას მიღწევა, მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია. ისე, სიმართლე გითხრათ, მეეჭვება ქალბატონ კანცლერს წარმოდგენა ჰქონდეს რა ევალება და რას აკეთებს. რაც შეეხება განათლების მინისტრს, მე ვერ ვგრძნობ, რომ ეს ქალბატონი მართავს, როგორც საკუთარ აპარატს, ისე მთლიანად განათლების სისტემას. მე ვერ გავიგე ვის აწყობს იმ ჭაობის შენარჩუნება, რაც ამ სისტემაშია გამეფებული.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“

## ნარკვევის „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ კვალდაკვალ



გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი **ზურაბ რატიანი**

— **ბატონო ზურაბ, „საერთო გაზეთის“ გასულ ნომერში დიდი ქართველი ისტორიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის 1945 წელს გამოქვეყნებული სტატია „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ დაიბეჭდა.**

**პრეტენზიები თურქეთისადმი დღემდე გვაქვს და ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. მეტიც, თურქეთს ჩვენს მიმართ აქვს მოთხოვნა და აცხადებს, რომ აჭარა და სამცხე-ჯავახეთი თურქული ტერიტორიებია.**

**როგორც მეცნიერი, ისტორიკოსი, მიუკერძოებელი პირი, რას იტყოდით ამაზე?**

— მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ სტალინმა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა გადაწყვიტა. მან განიზრახა საქართველოსთვის და არა მხოლოდ საქართველოსთვის, დაებრუნებინა ისტორიული ტერიტორიები, რომლებიც თურქეთს ჰქონდა მიტაცებული. ამას სჭირდებოდა, ცხადია, ისტორიული საფუძველი. ამ მიზნით ორმა დიდმა მეცნიერმა **სიმონ ჯანაშიამ** და **ნიკოლოზ ბერძენიშვილმა** დაასაბუთეს, რომ სამხრეთი საქართველოს მიწები თურქეთს ჰქონდა მიტაცებული.

ეს სტატია მაშინ რუსულ ენაზეც დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“.

სტატია დიდ ქართველ მეცნიერს, ძველი მსოფლიო ისტორიის დიდ სპეციალისტს **მიხაკო წერეთელს** ომის შემდგომ საოკუპაციო ზონებად დაყოფილი გერმანიის ამერიკულ ნაწილში გამომავალ გამოცემაშიც უნახავს.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ამ პუბლიკაციამ მსოფლიო რეზონანსი ჰპოვა მაშინ.

— **ბატონო ზურაბ, ცნობილია, რომ თურქი-სელჩუკიანები მეთერთმეტე საუკუნეში გამოჩნდნენ საქართველოში, მაგრამ ტერიტორიების მითვისება როდის შეძლეს?**

— მე-14 ს-ის ბოლოს საქართველოს თავს დიდი უბედურება დაატყდა თემურ ლენგის სახით და მიწასთან გაასწორა ჩვენი ქვეყანა.

იმ ხანებში დაშლილ-დასუსტებული საქართველოდან ვინ რაც მოასწრო და მოახერხა, ის წაიღო. ყველაზე მეტი თურქეთმა მიიტაცა.

ქვეყანა მე-15 ს.-იდან დაიყო სამეფო-სამთავროებად. ქართლი ცალკე იყო, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სამცხე-საათაბაგო ცალკე. მერე სამეგრელოს აფხაზეთი გამოეყო და აი, მაშინ წაგვლიტა თურქეთმა სამხრეთ საქართველოს მიწები და ამის შემდეგ სამასი წელი აჭარა გმინავდა თურქული უღლის ქვეშ.



ნიკო ბერძენიშვილი



სიმონ ჯანაშია

— **რომელ რასას ეკუთვნიან და საიდან მოვიდნენ თურქები, ბატონო ზურაბ?**

— ესენი იყვნენ ციმბირიდან, ალტაის მხრიდან მომთაბარე ტომები, რომლებსაც, როგორც თქვენ ზემოთაც თქვით, თურქ-სელჩუკებს უწოდებდნენ. მათ მოსრეს და გაანადგურეს ირანი, გადმოვიდნენ სომხეთში და მოადგნენ საქართველოს.

დღევანდელი სტამბოლის ტერიტორია, მოგეხსენებათ, ბიზანტიის იმპერიას ეკუთვნოდა, მაგრამ მაშინ იმდენად იყო ზნეობრივად დაცემული ბიზანტიის იმპერია, რომ მიუხედავად იმისა, ბიზანტიელი წარჩინებულები მშვენივრად ხედავდნენ, რომ თურქები ციხესიმაგრეებს აგებდნენ კონსტანტინოპოლზე საიერიშოდ, აინუნშიაც არ აგდებდნენ ამ ამბავს და ქეიფსა და ღრეობაში ეფლობოდნენ. კონსტანტინოპოლი უკვე იყო დალაშქრულ-განადგურებული ჯვაროსნების მიერ და ბიზანტიელი დიდგვაროვნები ფიქრობდნენ — ოღონდ ევროპელები ისევ არ დაბრუნდნენ და მოვიდნენ მომთაბარეები, ესენი რას დაგვაკლებენო.

1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, ჩაკეტეს სრუტეები.

— **მათი მკვიდრობა იმ პერიოდიდან იწყება?**

— მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე დამკვიდრება XI-XII ს-ებიდან დაიწყეს. თუმცა თურქების პირველი ძირითადი და მკვიდრი ბინა არის დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თავისი დიდი ომები, ბასიანი, დიდგორი და ა.შ. თურქულ ურდოებთან გადაიტანეს.

გაიხსენეთ რუქნადინი, ისიც თურქული წარმოშობის დამპყრობელი იყო.

დადგენილია, რომ თურქები თურანული, ანუ თურქული მოდგმის ხალხია, რომლებიც გაფანტულნი არიან სხვადასხვა მიწებზე. მაგალითად, აზერბაიჯანელები და თურქები არიან, როგორც ტყუპისცალები, მათ ენათესავებათ თურქმენები, ყირგიზები, ყაზახები, ბაშკირები, ისინი მთელ ვოლგისპირეთსა და შუა აზიას არიან მოდებულნი. როგორც გითხარით, ძველთაგანვე, მომთაბარეობის პერიოდში, რჩებოდნენ ამა თუ იმ ტერიტორიაზე და მკვიდრობას იწყებდნენ.

ბიზანტიის დამხობის შემდეგ, რაც უფრო მოგვიახლოვდნენ თურქები, მეტი თავსატეხი გაგვიჩნდა. ჩვენზე მოიწევდა ირანიც. რა ექნა ერეკლე II-ს. გააფორმა სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთთან...

სტალინი შემდეგ ასე აფასებს ამ ამბავს: რუსეთთან შეერთება იყო უმცირესი ბოროტება იმასთან შედარებით, რაც საქართველოს მოელოდა ირანისა და თურქეთის მხრიდანო.

1953 წლიდან 1955 წლამდე ნიკიტა ხრუშჩოვმა 3 მლნ ქართული წიგნი გაანადგურებინა ქართული ბიბლიოთეკებიდან. შემდეგ ამბობდა, კიდევ დამრჩა ანტისაბჭოთა ლიტერატურა საქართველოში, მათ შორის ჯავახიშვილი-ჯანაშია-ბერძენიშვილის „ისტორია გრუზიიო“.

„საქართველოს ისტორიის“ ეს წიგნები იმ ხანებში აკრძალეს და ამოიღეს სწავლებიდან.

დღემდე ვიბრძვი, მაგრამ საქართველო კვლავ ხრუშჩოვის მაშინდელ დაკრულზე ცეკვავს და ამ ნამდვილი და სწორი ისტორიის წამოწევა არ უნდათ.

ძალიან დავშორდით ძირითად თემას, „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. ამ პუბლიკაციის შემდეგ სტალინმა დაიბარა **ჯანაშია** და **ბერძენიშვილი** სოჩაში, შეხვდა, ესაუბრა. შემდეგ დაიწერა „რამდენიმე დღე ამხანაგ სტალინთან“. სოჩიდან დაბრუნებული ბერძენიშვილი წერდა, წამოვედით დავალებებით დატვირთულნიო.

— **ბატონო ზურაბ, ძალიან გააქტიურდა ბოლო დროს თურქეთი. „დიდი თურანის“ იდეა ღრღნის?**

— ეს კარგად გამახსენეთ.

ჰიტლერმა უდიდესი შეცდომა ჩაიდინა, როდესაც გამოაცხადა — გერმანული რასა უდიდესი და გამორჩეულია, ჩვენ უნდა ვიბატონოთ მსოფლიოზეო.

რომელიმე დიქტატორმა — ჰიტლერმა, ნაპოლეონმა, მაკედონელმა, სხვებმა, როგორც კი ერთ პიროვნებაზე, ერთ რასობრივ ჯგუფზე, ერთ ერზე ააგო თავისი პოლიტიკა, ყველა ეს მცდელობა დასამარდა.

წარმოიდგინეთ და, ამას მიხვდა ვლადიმერ პუტინი.

მოსკოვში უზარმაზარი მეჩეთი ააგო, სადაც ადგილობრივი მუსულმანები ლოცულობენ. ჩეჩნებიც შემოირიგა. დაღესტანთან არის პრობლემები, მაგრამ აქაც დიპლომატიას გამოიყენებს რუსეთი.

თურქეთი ყოველთვის ექიშპებოდა რუსეთს და ცდილობდა მის საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა ხან გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, ახლა ამერიკაც, იმიტომ, რომ იმპერიული მიზნები აქვს — სტამბოლიდან ვლადივოსტოკამდე თურქეთი უნდა იყოსო, სირია, ირანი თურქეთს უნდა დაემორჩილოსო.

თურქების მიზანია გაბატონდეს თურქული რასა და სახელმწიფო გადაჭიმული იყოს სტამბოლიდან ვლადივოსტოკამდე. ამ გაერთიანებაში შევა ვოლგისპირეთი. დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე, როგორც ხედავთ, თურქული მოდგმის ხალხები ბევრგან ცხოვრობენ, თუმცა თურქეთის ოცნებას, რომ რუსეთის ტერიტორიებსაც თავისად აღიარებს ოდესმე, ასრულება არ უწერია.

— **რატომ?**

— კარგი კითხვაა.

გერმანული მოდგმის ხალხები: გერმანელები, ავსტრიელები, დანიელები, შვედები, ნორვეგიელები, ისლანდიელები, ჰოლანდიელები, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მოდგმის და ჯიშის ხალხია, ერთ სახელმწიფოდ ვერ გაერთიანდნენ. **ერთიანი ბირთვი, ეროვნული სხეული რომ შეიქმნება, იმას მერე ვეღარაფერი ვეღარ შლის.** ამას განაპირობებს ისტორიული გარემოებანი, კანონზომიერებები, აუცილებლობები. ხელოვნურად და ძალით შეკრული და ჩამოყალიბებული სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებს.

ახლა, უცებ, ოსკარ შმერლინგი გამახსენდა.

— **მხატვარი?**

— დიახ. უსაყვარლესი კაცი. გერმანელი იყო, კოლონიალიზაციის დროს ჩამოსული წინაპრების შთამომავალი.

მოუსვენარი ახალგაზრდა ყოფილა ოსკარ შმერლინგი და მშობლებს უფიქრიათ, თბილისში მთლად ხელიდან წავა, ყოყლოჩინობს, მეგობრებთან ქეიფობს, გავუშვათ გერმანიაში, იქნება ჭკუაში ჩადგესო. მიიარ-მოიარა შმერლინგმა გერმანია და ერთი თქვენიო, დაჰკრა ფეხი და დაბრუნდა თბილისში. თბილისელი იყო, კაცი, უკვე.

**ისტორიული თანაცხოვრება ისე შემსჭვალავს და შეადუღაბებს ერს, რომ მისი განცალკევება შეუძლებელი ხდებაო, — ამბობს ილია.**

ასე მოუვიდა შმერლინგს, ასე მოუვიდათ რუსეთის თურქებს, რომელთა დიდი ნაწილი ქრისტიანია უკვე. მაგალითად, ვოლგისპირეთის გაგაუზები და სხვები.

სხვათა შორის, დავით აღმაშნებლის დროს საქართველოში გადმოსახლებული ყივჩაღების ნაწილიც, რომლებიც აქ დარჩნენ, გაქართველდნენ. ამის დასტურია ახლა უკვე ქართული გვარი ყიპჩაყიძე, რს გვარი, ძირითადად, დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

მოკლედ რომ ვთქვათ, თურქეთის მისწრაფებები, „დიდი თურანის“ იდეით, რა თქმა უნდა, კრახისთვისაა განწირული და უმჯობესია, იმას დასჯერდნენ, რაც აქვთ, რათა ყველაფერი არ დაკარგონ.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

# რატომ არის კმაყოფილი განათლების მინისტრი იმით, რომ მასწავლებელთა 83 პროცენტმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა და რა მზაკვრულ ამოცანას ემსახურება პედაგოგთა მიზნმიმართული დისკრედიტაციის პროცესი?

წინა კვირას იანვარში ჩატარებული პედაგოგთა საგნობრივი გამოცდის შედეგები გამოცხადდა და გაირკვა, რომ ტესტირებაზე გასული 6.477 პედაგოგიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საერთო რაოდენობის 17%-მა გადალახა. მოგვიანებით, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასწავლებლების 83%-მა პროფესიულ გამოცდაზე მინიმალური ცოდნა ვერ გამოავლინა. შედეგების გამოქვეყნებიდან უმოკლეს დროში კომენტარი გააკეთა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა. თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე უკეთესის მოლოდინი არ იყო.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების თავმჯდომარე აცხადებს, რომ რეალურად, გამოცდაზე პედაგოგთა 83% არ ჩაჭრილა და ციფრების მანიპულირებით პედაგოგთა მიზანმიმართული დისკრედიტირება ხდება.



**მაია კობახიძე:** დავიწყებ იმით, რომ გამოცდების შედეგების გამოცხადებას აქვს თავისი წესები. მშრალი ციფრებით მანიპულირება არაფრის მომცემია თუ არ დააკონკრეტებ, ტესტირებაზე გასული 6 477 აპლიკანტიდან რამდენი იყო მოქმედი მასწავლებელი და რამდენი მასწავლებლობის მაძიებელი. ასევე, რამდენ პედაგოგს დააკლდა ნახევარი და ერთი ქულა. საგანგაშოდ მიმაჩნია, რომ სტატისტიკის ავტორებმა შეგნებულად თუ შეუგნებლად, არ დააზუსტეს ტესტირებაში მონაწილე პადაგოგთა კატეგორიები, რამაც პედაგოგთა მთელი კორპუსის იმიჯის შელახვა გამოიწვია. რეალურად, გამოცდაზე პედაგოგთა 83% არ ჩაჭრილა. ზღვარი ვერ გადალახა გამოცდაზე გასული 6477 პედაგოგიდან 83%-მა და აღმაშფოთებელია, რომ ამ შედეგების განზოგადება ხდება მთლიანად საქართველოს პედაგოგთა საზოგადოებასთან, რომელიც 61 000-ზე მეტ პედაგოგს ითვლის. ალბათ დამეთანხმებით, რომ 6477 და 61 000 სრულიად სხვადასხვა მოცემულობებია. ვფიქრობ, რომ ციფრებით ამგვარი მანიპულირება მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგების ავტორიტეტის შელახვას ემსახურება, რაც ძალიან საწყენია.

რატომ ვერ იღებენ გამოცდებზე სასურველ შედეგებს პედაგოგები, რომელ ხელისშემშლელ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას მათი უფლებების დამცველი და რატომ მოხვდა ტესტებში ისეთი საკითხები, რომელთა ცოდნა პედაგოგს არ მოეთხოვება?

სამწუხაროდ, ტესტებში შესულია საკითხები, რომელთა ცოდნა მოქმედ პედაგოგს არ მოეთხოვება და პრაქტიკულ საქმიანობაში არ იყენებს. ეს საკითხები, ზოგ შემთხვევაში, მეთოდოლოგიური სიახლეა, ზოგ შემთხვევაში კი კარგად დავიწყებული ძველი.

მაია კობახიძის განმარტებით, მედიცინის მუშაკებისა და იურისტებისგან განსხვავებით, მასწავლებლებისთვის მიუწვდომელია ტესტებში შემავალი საკითხების კრებულები და მასწავლებლებს საშუალება არ ეძლევათ, რომ ტესტირებისთვის სათანადოდ მოემზადონ. ამის გარდა, პროფლიდერის თქმით, იანვრის ტესტირებაზე მასწავლებლები ისე გავიდნენ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მათ გადამზადების პროგრამებით არ მომსახურებია.

ამის გარდა, პედაგოგების, იურისტების და მედიცინის მუშაკების სამი რეგულირებადი პროფესიიდან ტესტების ნიმუშების კრებულები მხოლოდ პედაგოგებისათვისაა დახურული. მედიცინის მუშაკებისა და იურისტებისთვის ასეთი კრებულები ხელმისაწვდომია და ტესტირებისთვის მშვიდად ემზადებიან. პედაგოგებს სრული უფლება აქვთ, იცოდნენ, რა საკითხები დახვდება ტესტებში, თუმცა წლების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვენ, რომ ტესტებში შემავალი საკითხების კრებული შეიქმნას და ყველა პედაგოგისთვის ხელმისაწვდომი იყოს. ჯერ არ ჩამოყალიბებულა პედაგოგთა გადამზადების სისტემა და იანვრის ტესტირებაზე მასწავლებლები ისე გავიდნენ, რომ მათ მასწავლებლის სახლი გადამზადების პროგრამებით არ მომსახურებია. აქედან გამომდინარე, მასწავლებლები ვერ იქნებოდნენ სათანადოდ მომზადებული. სამწუხაროა, რომ ტესტირების სტატისტიკის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებაში შეიქმნა არაერთგვაროვანი და მეტწილად, კრიტიკული დამოკიდებულება პედაგოგთ საქმიანობისა და პროფესიონალიზმის მიმართ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პედაგოგთა დისკრედიტაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

გავრცელებული სტატისტიკის ნახვის შემდეგ ჩნდება კითხვა, რატომაა ამ მასწავლებლების უმეტესობა წარმატებული რეპეტიტორი? როგორ ხდება, რომ საჯარო სკოლის მოქმედი პედაგოგები პარალელურად, პრესტიჟულ კერძო სკოლებშიც ასწავლიან და მათი მოსწავლეები სწავლას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში აგრძელებენ? მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ სახელმწიფომ მასწავლებელი დაივიწყა და დემოტივირებულ პედაგოგს მუდმივი სტრესის პირობებში უწევდა მუშაობა, უამრავი მაღალი რაგნის პროფესიონალი გვყავს. მოგეხსენებათ, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთა შორის, პედაგოგს ყველაზე დაბალი შრომის ანაზღაურება აქვს. შესაბამისად, მასწავლებლის პროფესია არაპრესტიჟულად ითვლება. საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 850 ლარია, მასწავლებლის საბაზო ხელფასი კი 355 ლარია და აპრილის თვეში 400 ლარი გახდება. კარგია, რომ დაიწყო ხელფასების ზრდის პროცესი და საკვალიფიკაციო დანამატები გაიზარდა, მაგრამ ეს საკმარისი არაა. მასწავლებლის პროფესია რომ დეფიციტშია, ეს კვლევებმაც დაადასტურა. თუ პედაგოგებმა უახლოესი 4 წლის განმავლობაში ვერ შეძლეს სავალდებულო აქტივობების განხორცელება და კომპეტენციის დადასტურება, პროფესიიდან გავლენ.

განათლების საკითხების ექსპერტი **მანანა ნიკოლაიშვილი** მასწავლებელთა წარუმატებლობაში სახელმწიფოს ადანაშაულებს და ამბობს, რომ ხელისუფლებათა ცვლის მიუხედავად, მასწავლებელთა მიმართ დამოკიდებულება არ იცვლება. მასწავლებელთა უფლებების დამცველი უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებსა და რეკომენდაციებზე მიუთითებს, რომელთა თანახმად, საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის 28 000 მასწავლებელი სრულიად საკმარისია.



მე ხელთ მაქვს ერთ-ერთი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაცია, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია, საქართველოს მთავრობას ურჩევს, რომ შეამციროს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მასწავლებლების რიცხვი. პირდაპირ მოუწოდებენ დახურეთ სკოლები, დახურეთ ბაგა-ბაღები, დახურეთ უნივერსიტეტები, პროფსასწავლებლებიო და ამდენ რამეს რომ დახურავ, რა თქმა უნდა, მასწავლებლების რიცხვიც შემცირდება. **100 000-ზე მეტი მასწავლებელი იყო, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და დღეს 62 000 მასწავლებელია. აი, ეს უნდოდათ იმ ორგანიზაციებს, რომელთა რეკომენდაციებითაც ჩვენი ქვეყანა იმართება.** ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებების ცვლას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, როცა დირექტივები იგივეა. სწორედ ამ ორგანიზაციების გრანტებით გაზულუქებული იდეოლოგები წერდნენ, რომ ქართველი მასწავლებლები ეროვნული ბაცილის მატარებლები არიან და ამ იდეოლოგებს დღესაც ჭკუას ეკითხებიან. **ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაში წავიკითხე რომ ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, 28 000 მასწავლებელი სრულიად საკმარისია. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ასეთი ცუდი შედეგები ხელოვნურად იქმნება.** სხვანაირად, როგორ ავხსნა, რომ ყოველწლიურად გამოცდას მხოლოდ 10-12 პროცენტი ლახავს? საერთოდ, როგორ შეიძლება საარჩევნო წელს ასეთი რაღაცეების კეთება?



განათლების ექსპერტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მასწავლებელთა გადამზადებისთვის გამოყოფილი ფულის არამიზნობრივად ხარჯვაზეც მიუთითებს. რადგან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა ვერ გაამართლა, მასწავლებლების დაოსტატება უნივერსიტეტებში უნდა გადავიდეს – აცხადებს მანანა ნიკოლაიშვილი.

ბიუჯეტიდან მასწავლებლის გადამზადებისთვის გამოყოფილი ფული, რომელიც რამდენიმე მილიონს შეადგენს, არაეფექტურად და სამართლებრივ ენაზე რომ ვთქვათ, არამიზნობრივად იხარჯება. ხალხი, ვინც ნაციონალების დროს ჩააგდო რეფორმა, ისევ თანამდებობებზეა და ჯოხი მასწავლებლებზე ტყდება. რატომ არ იწერება დასკვნა და რატომ არ კეთდება ანალიზი როგორ იმუშავეს სახელმწიფო დაწესებულებებმა, რომლებსაც მასწავლებლების მომზადება ევალებოდათ? გაარკვიონ ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ მასწავლებლები შედეგებს ვერ აჩვენებენ და გაათავისუფლონ ეს ადამიანები თანამდებობებიდან.



**ნელი თორდია**

571 35 36 88

# თუ გვინდა საქართველო აღორძინდეს, წარმატებული ქართველების მთავარი მიზანი წარმატებული საქართველოსთვის თავდადებული შრომა უნდა იყოს

## გვესაუბრება ბიზნესმენი, ყოფილი პარლამენტარი, ბატონი ბესარიონ ლაგვილავა



დაიბადა 1963 წელს ხობის რაიონის სოფელ ბულიწყუში.

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და ბიზნესის უმაღლეს სკოლაში.

გაიარა ასპირანტურა მოსკოვის ავტომატური სისტემების ინსტიტუტში და სასწავლო კურსები, ვენის საფინანსო ინსტიტუტსა და დელავერის (აშშ) უნივერსიტეტებში.

მუშაობდა ავტომატური სისტემების ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა ხელოვნური ინტელექტის შესახებ.

მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს რკინიგზაში.

არის ორი მოწვევის პარლამენტის წევრი. 1995-99 წლებში გახლდათ „პრივატიზაციის და ბიზნესის განვითარების“ საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 1999-2004 წწ პარლამენტში სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

არის სხვადასხვა ბიზნეს სტრუქტუტურების მფლობელი და პარტნიორი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

— **ბატონო ბესო, თქვენი საქმიანობის სფერო მრავალმხრივია. ჩამოთვლილთა გარდა კიდევ რა სახის ბიზნესით ხართ დაკავებული?**

— ჩვენი ბიზნეს-ჯგუფი არის უცხოურ ბაზარზე ქართული ღვინის და კონიაკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არა მხოლოდ მწარმოებელი, არამედ, რაც მთავარია, ტრეიდერი. წარმოებას უნდა მოსდევდეს პროდუქტის ბაზრის მოძიება, რაც საერთოდ ჩვენი ეკონომიკის აქილევსის ქუსლია. შემიძლია ამაყად ვთქვა, რომ არსებობს ქვეყნები, რომელთა ბაზარზე, ჩვენ ლიდერები ვართ, არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოურ კომპანიათა შორისაც. ამასთან, ჩვენს იტალიელ და გერმანელ პარტნიორებთან ერთად ვართ საქართველოში ღვინის წარმოებისთვის სხვადასხვა კომპონენტების ერთ-ერთი მთავარი შემომტანები და ტრეიდერები. ზოგადად, ბევრი მიმართულებით ვმუშაობთ. სხვა მიმართულებებთან ერთად, მეუღლესთან და შვილებთან ერთად გვაქვს რამდენიმე ასე ვთქვათ, წარმატებული ოჯახური ბიზნესი. ვართ ლიდერები სამედიცინო-სადეზინფექციო-სასტერილიზაციო, ავადმყოფის მოვლის, ჭრილობების დამუშავების, საოპერაციო სივრცის და ქირურგიული ოპერაციებისას ექიმებისა და სამედიცინო პერსონალისთვის საჭირო იარაღებისა და საშუალებების ერთ-ერთი ლიდერი მიმწოდებელი ქართული სამედიცინო ბაზრისთვის. ჩვენ მოვახერხეთ მაღალკონკურენტულ ფასებში ამ საშუალებების შემოტანა წამყვანი იტალიური, გერმანული და რუსული კომპანიებისაგან და წარმატებით ჩავანაცვლეთ დაბალხარისხოვანი თურქული და ძალიან ძვირადღირებული ევროპული ანალოგიური პროდუქტები, რაც მნიშვნელოვანია, როგორც კლინიკებისთვის, ისე ავადმყოფების მკურნალობის ხარისხისა და ღირებულებისთვის. დღეს მოდაშია თურქეთში მკურნალობა, რასაც თურქული მედიცინის წარმატება უწყობს ხელს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, თვით თურქეთის კლინიკებში ნამკურნალევი საქართველოდან წასულ პაციენტებს ხშირად გარკვეული სახის გართულებები აქვთ, რაც, როგორც ამბობენ, ხშირად გამოწვეულია თურქული წარმოშობის უხარისხო სადეზინფექციო-სასტერილიზაციო საშუალებებით. ჩვენ, როგორც უკვე გითხარით, გერმანიაში, იტალიაში და რუსეთში წარმოებულ უფრო მაღალი ხარისხის და შემადგენლობის პროდუქტებს ვაწვდით საქართველოს კლინიკებს.

ამას გარდა სოფლის მეურნეობაში ახალი, მაღალტექნოლოგიური ჯიშების დანერგვის მიმართულებით ვმუშაობთ. ჩვენს ჰოლანდიელ პარტნიორებთან ერთად ვაპირებთ საქართველოში სოფლის მეურნეობის მაღალპროდუქტიული ჯიშების შემოტანას და დანერგვას.

სულ მალე ახალ საწარმოს ავამოქმედებთ, რომელიც ორიენტირებული იქნება სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე, დაფასოებასა და შენახვაზე. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მთავარი მხოლოდ საწარმოს შექმნა არ არის – მთავარია ბაზარი და მისი მარკეტინგი – ვინ იქნება ამ პროდუქციის მომხმარებელი, რას ითხოვს ეს მომხმარებელი მწარმოებლისგან და ა.შ. ჩვენ ვმუშაობთ ასეთი საწარმოს შექმნაზე, თორემ ჩვენს გარშემო ბევრია საწარმო, რომელიც თავის დროზე დიდი ზარზეიმით გაიხსნა და გახსნის დღიდან ერთი დღეც არ უმუშავია მომხმარებელზე...

ამას გარდა, ბოლო ორი წლის განმავლობაში, გავაკეთეთ პირველი ინვესტიციები ტურისტული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად... მფლობელობაში გვაქვს ძალიან საინტერესო შენობა-ნაგებობები ყაზბეგში, ქობულეთში, კახეთში თბილისის მახლობლად და დავიწყეთ მათი რეაბლიტაცია...

— **სოფლის მეურნეობის რომელ პროდუქციაზე გაქვთ აქცენტი და არა ტიპის ჯიშებზე საუბრობთ?**

— ჰოლანდიიდან, გერმანიიდან კარტოფილის, სტაფილოს, ხახვის, ნიორის, კომბოსტოს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ახალი მაღალ პროდუქტიული ჯიშები შემოგვაქვს.

თუ ქართველ გლეხს საქართველოში ერთ ჰა მიწის ნაკვეთზე მოჰყავდა ვთქვათ 10 ტონა კარტოფილი. ჩვენს მიერ მიწოდებული ახალი ჯიშებით, მაგალითად, 40, 50 ტონა კარტოფილს მიიღებს იგივე ფართობზე.

საჭიროა სათესლე პროდუქციის მუდმივი განახლება, რადგან საქართველოში არსებული ძველი ჯიშები დაავადებულია, რაც პროდუქტიულობის დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ. როგორც წესი, სათესლე პროდუქცია ძველდება და ხშირად ავადდება, ამიტომაც მუშაობენ უცხოეთში ახალ-ახალ ჯიშებზე. რაც მთავარია, ახალი ტექნოლოგიებით მიღებული ახალი ჯიშები დაავადებებისადმი უფრო გამძლე და მედეგია და, როგორც უკვე ვთქვით, ბევრად მაღალპროდუქტიულიცაა.

მაგალითად, ჰოლანდიაში, წამყვანი აგროკომპანიები ყოველწლიურად, სელექციას უკეთებენ 2000-3000 ჯიშის ახალ ერთწლოვან კულტურებს, მათგან, შესაძლოა, გაამართლოს 2-მა ან 3-მმა, მაგრამ მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს. სამწუხაროდ, საქართველოში ამის საშუალება ნაკლებად არის...

ამიტომაც ჩვენს ჰიოლანდიელ პარტნიორებთან ერთად ვაპირებთ საქართველოში შევქმნათ, მაგალითად, ჰოლანდიასი არსებულის მსგავსი ტიპის საწარმო-ლაბორატორია.

ამ მიმართულებით დიდი ხანია ვმუშაობთ, შარშან საქართველოში დაახლოებით 10 ტიპის სათესლე ჯიში დავნერგეთ. წელს, აი, უკვე გაზაფხულია და კიდევ ველოდებით ახალ ჯიშებს ჰოლანდიელი პარტნიორებისგან. პარალელურად ვიწყებთ გადამამუშავებელი და სასელექციო საწარმოს მშენებლობას.

— **თქვენ ბრძანეთ, სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დეფიციტია საქართველოშიო, ამ დეფიციტის მიზეზებზე და აღმოფხვრის პერსპექტივებზე გიფიქრიათ, ალბათ.**

**ხელისუფლებაც რომ უფრო აქტიურად ჩაერთოს ამ საქმეში**



**თქვენი და თქვენნაირების გამოცდილების საფუძველზე, გქონიათ ამის მცდელობა?**

– ვთანამშრომლობთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ამ კუთხით გვქონდა საქმიანი კონტაქტები რეგიონების ხელმძღვანელებთან. ვერ ვიტყვით, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ აწარმოებს მსგავსი ტიპის სამუშაოებს.

ყოფილ პრემიერს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა და ახლაც აქვს სოფლის მეწურნეობის პროდუქტების საჯიშე მეურნეობა, თუმცა ყოველივე ამან მასიური, საზოგადოებრივი ხასიათი უნდა მიიღოს.

გვაქვს მოლაპარაკებები სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში კოოპერატორთა მოძრაობასთან საქართველოში. ვფიქრობთ, უხვი მოსავლიანობის მიღება იმ მეთოდებით, რასაც ქართველი გლეხი შეეჩვია წლების განმავლობაში და თუნდაც თურქულთან და ირანულთან კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, საკმაოდ რთული იქნება სიახლეების დანერგვის გარეშე.

ამიტომაც გვესმის ხშირად რომ ქართული ბაზარი თურქულმა პროდუქტმა წალეკა! ჩვენ, სამწუხაროდ, ვაწარმოებთ დაბალპროდუქტიულ და შესაბამისად დაბალკონკურენტუნარიან პროდუქტებს...

ჩვენთან სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დეფიციტიცაა. პრობლემის აღმოფხვრას, რაც აგრარულ სფეროში ამ კუთხით არსებობს, რა თქმა უნდა, წლები დასჭირდება.

რუსეთის მიერ სანქციების შემოღებამ შეუქმნა იქ გარკვეული სახის პრობლემები თურქულ და ევროპულ პროდუქტებს, ამიტომ, ამ სიტუაციაში, საქართველოს აქვს შანსი, დაიკავოს ბაზარზე ის ნიშა, რომელიც გათავისუფლდა, შევიდეს და იპოვოს თავისი ადგილი. ვცდილობთ ამას და ვნახოთ, რა გამოვა.

**– გახსოვთ, ბატონო ბესო, აწ გარდაცვლილი კახა ბენდუქიძის სიტყვები: სოფელი არ გვჭირდებაო? ეს, ცხადია, დანაშაული და მავნებლობა იყო, მაგრამ რეალობა და აუცილებლობა ხომ სხვაა?! საქართველო მიწათმოქმედების ქვეყნად იყო ცნობილი დასაბამიდან. ახლა ამ კუთხით განვითარებას ჩამოვრჩით თუ ჩამოგვარჩინეს. ჩვენი გლეხი, ფერმერი, ყოფილა ბოლო ხანებში საზღვარგარეთის ქვეყნებში იქაური გამოცდილების მისაღებად?**

– სახელმწიფო დღეს ამ მიმართულებით, ასე ვთქვათ, გულხელდაკრეფილი არაა. მიმდინარეობს მუშაობა ამ კუთხით, მაგრამ საკმარისი არ არის ეს მცდელობები იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და გლეხობაში მასიურად შევიდეს სპეციალიზირებული განვითარება და განათლება. არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ელემენტარული პროფესიებიც კი დაავიწყეს ქართველ ხალხს. არსებობდა, მაგალითად, შემდუღებელი, ხარატი, ზეინკალი, მემანქანე, მექანიკოსი და ა.შ. მახსოვს ერთ-ერთი ტერმინალი შენდებოდა, ელექტროშემდუღებელი დასჭირდათ, მაგრამ პროფესიონალი ელექტროშემდუღებელი საქართველოში ვერ მოიძიეს და თურქეთიდან ჩამოიყვანეს სპეციალისტი. იგივე მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაშიც.

წლების წინ მონოკულტურები იყო განვითარებული საქართველოში. მაგალითად, ჩემს მშობლიურ მხარეში, სამეგრელოში, სიმინდის კულტურა იყო პრიორიტეტული, თუმცა სიმინდის მოსავლით მთელი წლის განმავლობაში ოჯახის გამოკვება საკმაოდ რთულია.

ჩაის კულტურა საერთოდ ამოძირკვეს და დღეს საქართველოში აზერბაიჯანული ჩაი მეტი იყიდება, ვიდრე ქართული.

გვეუბნებოდნენ, რომ იმ ნიადაგზე, სადაც ჩაის კულტურა იყო, შესაძლებელი იქნებოდა სხვა უხვმოსავლიანი პროდუქციის მიღება, მაგრამ ეს არის მცდარი შეხედულება. იმ ადგილას, სადაც ჩაი იყო გაშენებული, მიწა მჟავიანდება და რთულია სხვა კულტურის მოყვანა.

**– რამდენადაც ვიცი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაძველებული და დაავადებული თესლებიც იწვევს ნიადაგის უნაყოფობას.**

– დიახ, არსებობს ასეთი ტერმინი „ნიადაგის კიბო“, დაავადებული თესლი აფუჭებს ნიადაგს და მოსავალი იქ არ მოდის დიდი ხნის განმავლობაში. საკმაოდ ხშირია ასეთი შემთხვევები საქართველოში, მაგალითად, ახლა მახსენდება სომხეთიდან შემოტანილი სათესლე მასალების მავნე ზემოქმედება ჩვენს ნიადაგებზე.

მიუხედავად მაღალი გემოვნური თვისებებისა, ქართულ პროდუქტს არ ჰქონდა მაღალპროდუქტიულობა, არ მოხდა სელექცია პროდუქტიულობა რომ ამაღლებულიყო და გაქრა ქართული ჯიშები, ამოვარდა მოხმარებიდან.

**– ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ხალხში განათლების შესატანად დაიწყეს რეფორმები. რეფორმა სჭირდება ყველაფერს, ოღონდ ამ რეფორმას ცოდნა და განათლება ესაჭიროება. ეს ეხება, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობასაც.**

**თქვენი გამოცდილების და მონდომების, რესურსის მქონე ადამიანებმა უნდა იაქტიურონ, მგონი, ამ კუთხით.**

– პარლამენტის დეპუტატი რომ ვიყავი, მქონდა შემოთავაზებები ლექციები წამეკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დავთანხმდი კიდეც, მაგრამ შემდგომ დროის უქონლობის გამო, ჩემი სურვილის მიუხედავად, მაშინ ეს ვერ მოვახერხე.

გავიხსენოთ იაპონია, რომელსაც არ გააჩნია საბადოები და არ არის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა, მაგრამ ხვალ რომ მიწასთან გასწორდეს იაპონია, ზეგ აშენდება ახალი ქვეყანა, რადგან ჭკუა, მონდომება და ინტელექტი, საქმის კეთების გამოცდილება და უნარი ჭარბად არის იაპონელ ხალხში.



ჩვენი შეცდომა იყო, რომ ჩვენ ბოლომდე სწორად ვერ გავთვალეთ ერთი რამ – როცა საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადდა, როგორ უნდა მოეძებნა ადგილი მსოფლიო ეკონომიკასა და შრომის დანაწილებაში.

გეთანხმებით. საქართველოში აუცილებელია და საჭიროა განათლების შეტანა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროში, არამედ ბევრი კუთხით, საქართველოს ეკონომიკას რომ ეშველოს. ყველას უნდა ჰქონდეს თუნდაც მინიმალური კომპეტენცია და არა ისე, მასწავლებლების 83%-მა რომ ვერ გაიარა კვალიფიკაციის ტესტირება.

დიდი შეცდომა დავუშვით მაშინ, როცა ვთქვით, რომ არ გვჭირდებოდა ფიზიკოსები, ბიოლოგები, მათემატიკოსები. გაუქმდა კვლევითი ინსტიტუტები და ა.შ. რეფორმები საჭირო იყო, მაგრამ სამეცნიერო დაწესებულებების გაუქმება არა.

**– დღეს ყველა ვთანხმდებით ამაში, რომ არ უნდა დაგვენგრია, მაგრამ სხვას ვერავის დავაბრალებთ, საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ისევ ჩვენ მოვშალეთ, გავაუქმეთ, ჩვენ თვითონ დავანგრიეთ. ასე არაა?**

– მე ვფიქრობ, ჩვენზე ჩამოყალიბდა შთაბეჭდილება, რომ ვართ ხალხი, რომელთა გონებრივი პოტენციალი ვერ უძლებს იმ დონის განათლებას, რაც ერთ დროს გვქონდა. სამეცნიერო დაწესებულებები ბიუჯეტისთვის ზედმეტ ხარჯად იქნა მიჩნეული და მივიღეთ ერის ინტელექტუალური და გონებრივი პოტენციალისთვის დიდი დანაკლისი.




ყველაზე დიდი კაპიტალი არის განათლება, რისი დეფიციტიც გვაქვს დღეს, სამწუხაროდ.

შევარდნაძის პერიოდში გაჩნდა სწორი ორიენტირი, საქართველოს ერთგვარი სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია მიენიჭა. ის გახდა ნავთობის, გაზის გამტარი ქვეყანა. სხვათა შორის, მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი, ვინაც, სხვებთან ერთად, ერთ-ერთი პირველი ბორანი ფოთი-ვარნა გავუშვით ევროპის მიმართულებით.

თუმცა ამ პერიოდში დაგვეკარგა ერთი რამ, ორიენტაცია მცირე მეწარმეზე, ფერმერზე, გლეხზე რაც მასობრივი დასაქმების ანუ მათ შორის სოციალური პრობლემების მოგვარების ძირითადი საშუალებაა. ამ შეცდომამ არასახარბიელო შედეგები მოიტანა. სწორედ ამიტომ იქცა ქართველი მოქალაქეების მნიშვნელოვანი მასა მოხუცების და ავადმყოფების მომვლელად მახლობელ და შორეულ ქვეყნებში.



ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ საქართველოში არ არის სამუშაო ადგილები, სინამდვილეში კი მთლად ასე არ არის. საქართველოში ბევრი სამუშაო ადგილია, ოღონდ არ არსებობს შესაბამისი კვალიფიკაცია, პოტენციალი, კადრები, რომ სამუშაო ხარისხიანად შეასრულოს.

ყოველთვის ვეუბნები ახალგაზრდებს – ნუ გგონიათ, რომ თქვენ კონკურენციას უწევთ ან გაუწევთ თქვენი პროფესიის ადამიანებს მხოლოდ საქართველოში. გახსოვდეთ, რომ მსოფლიო დაპატარავდა და ხვალ, შეიძლება, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქესთან მოგიწიოთ კონკურენცია-მეთქი.

ახლა რაც ხდება სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიმაჩნია, ეს არის იმის შედეგი, რომ იქ არ მოხდა რეალური რეფორმა. სტუდენტი დაკავებული უნდა იყოს არა ფსევდოპოლიტიკით, რომელიც იქ მიმდინარეობს, არამედ საკუთარ განათლებაზე და მომავალზე ფიქრით. ცოდნის, კვალიფიკაციის ამაღლება - ეს უნდა იყოს ჩვენთვის დღეს პრიორიტეტი.

**– პოლიტიზირებულია ჩვენი საზოგადოება მთლიანად. ახალგაზრდებიც ამ ნაბიჯს მიჰყვებიან.**

– ყველა ქვეყანაში ასეა – პოლიტიკური ნიშნით შეიძლება დანიშნული იყოს მინისტრი, ან სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ა.შ. მაგრამ არსებობს ჯგუფი, ე. წ. კარიერული ჩინოვნიკების, რომლებიც კარიერას იწყებენ 20 წლის ასაკიდან და ნელ-ნელა ადიან კარიერულ კიბეზე, როგორც, მაგალითად, ჯონ მალხაზ შალიკაშვილი, რომელმაც კარიერული ჩინოვნიკის უმაღლეს დონეს მიაღწია თვით ამერიკის ჯარებში. პენტაგონს ჰყავდა თავდაცვის მინისტრი, არასამხედრო კაცი – პოლიტიკოსი, მაგრამ ჯარებს გაერთიანებული შტაბების უფროსი შალიკაშვილი მართავდა. კარიერული ჩინოვნიკები არიან ადამიანები, რომლებიც ნაკლებად ერევიან პოლიტიკაში, საფეხურ-საფეხურ მიიწევენ წინ კარიერაში და 60 თუ 65 წლის ასაკში დამსახურებული პენსიით მიდიან სახლებში.

მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა, ის განსაზღვრავს პოლიტიკურ მიმართულებებს და უნდა იყოს პოლიტიზირებული, მაგრამ ჩინოვნიკი – არა. ჩვენ ვერ ჩამოვაყალიბეთ ეს სისტემა, ვერ დავალაგეთ სტრუქტურები, არ ჩამოვაყალიბეთ კარიერულ ჩინოვნიკთა კვალიფიციური კასტა, რომელიც არ იცვლება მინისტრების, მერების და გამგებლების ცვლილებასთან ერთად და ვერ შევქმენით თანამედროვე სახელმწიფოც. მოდის მინისტრი ან გამგებელი და აცხადებს, რომ მოდის საკუთარი გუნდით! მერე გვიკვირს, როდის მოასწრო ამ სრულიად გამოუცდელმა კაცმა საკუთარი გუნდის შექმნა?!

14 გვ.

# თუ გვინდა საქართველო აღორძინდეს, წარმატებული ქართველების მთავარი მიზანი წარმატებული საქართველოსთვის თავდადებული შრომა უნდა იყოს

13 გვ.

ნათესავებით და ახლობლებით ვირჩევთ თანამშრომლებს, თანამდებობის პირებს. ეს სავალალო ფაქტია.

გვახასიათებს, ასევე, ფსევდოწარმატებულების წარმოჩენა პოლიტიკური სიმპათიის მიხედვით. სააკაშვილმა, ერთხელ, ნაკლებად განათლებული, ვინმე დავით კირკიტაძე გმირად გამოაცხადა და გუბერნატორობაც უბოძა. ახალგაზრდა, რომელიც ხედავს იმას, რომ ცოდნის, განათლების, გამოცდილების გარეშე შეიძლება ვინმე გახდეს ესოდენ წარმატებული და მეტიც, მას უწოდონ გმირი, იფიქრა, რომ არაა საჭირო ბევრი თავის ტეხვა.

სხვათა შორის, იგივე ნაციონალების მმართველობისას, ხელისუფლება დაკომპლექტდა ისეთი ხალხით, რომლებიც მოვიდნენ ქუჩის აქციებიდან. დეპუტატთა კორპუსზე ხუმრობდნენ მაშინ, პარლამენტში შეიყვანეს ხალხი, რომლებიც ქუჩებში პლაკატებს აკრავდნენ, მერე ესენი გადაიყვანეს მინისტრებად, ხოლო დეპუტატები გახდნენ ისინი, ვინც მათ წებოს აწვდიდნენ პლაკატების გასაკრავად. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ისწავლა ამ ხალხის ნაწილმა საქმის კეთებაც. მაგრამ ზოგადად თანამდებობა და სამინისტრო ან გამგეობა სასწავლებელი არ არის. იქ უკვე ნასწავლმა უნდა იმუშაოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კადრების დეფიციტია ქვეყანაში და კადრების ცვლა ასეთი სიხშირით, რეალურად, სასიკეთოს ვერაფერს მოიტანს.

ბიზნესს ეს ნაკლებად ეხება. მაგრამ, როცა პოლიტიკური თანამდებობების დაკავება ორიენტირებულია „ჩემი ცოლის დაქალების“ პრინციპზე, ცხადია, ეს არ არის კარგი.

მაგალითად, ამერიკელებს აქვთ ე. წ. “ამერიკული ოცნება” – ის შრომობს, წვალობს და ოდესღაც აღწევს წარმატებას. რადგან ზოგადად შეუძლებელია შრომამ არ შექმნას წარმატება. სხვა წარმატებულ ერებსაც აქვთ „მთავარი იდეა”, მიზანი. ამას წინათ შვეიცარიელებმა მაჩუქეს ქუდი, რომელზეც, როგორც სლოგანი ეწერა – „შვეიცარიული იდეა“. შვეიცარიელები ამბობენ: თუკი შვეიცარიელი ბანკირი მეხუთე სართულიდან გადახტა, გადაჰყევი, დაბლა მოგება იქნებაო. იგივე ებრაელებმა შექმნეს სტანდარტი, როგორ იყონ წარმატებულები, როგორ იშრომონ, როგორ იცხოვრონ, ქართველებმა ქეიფი და დროსტარება კარგი ვიცით, მაგრამ თუ გადახტა ქართველი მეხუთე სართულიდან, ჯობს არ გადაჰყვე, დაბლა ტვინს გაასხამ...

როდესაც ბატონმა ბიძინამ შექმნა „ქართული ოცნება“, მე ვფიქრობ, მას ჩაფიქრებული ჰქონდა მსგავსი რამ – “ქართული იდეა”. თუმცა, შემსრულებელი კადრების კომპეტენციიდან გამომდინარე ამ იდეის განხორციელება მძიმედ მიიწევს წინ!

წეღან რომ ვლაპარაკობდით, ქარხნების ჯართად გატანაზე. არსად არ მომხდარა მსგავსი რამ. ჩვენ გრძელვადიანი პერსპექტივები არ მოგვწონს, ყველაფერი დღეს გვინდა. ამიტომაც თანმიმდევრულად ვერ მივყვებით გაჩენილ თუნდაც საუკეთესო იდეასაც. კვერცხის გადაყლაპვის სურვილით შეპყრობილნი, ქათმის დაბადებას და გაზრდას აღარ ველოდებით.

მაგალითად, ბელორუსიაში საბჭოთა დროის არც ერთი ქარხანა და ფაბრიკა არ გაუნადგურებიათ და შესაძლოა, ნაკლები დატვირთვით დღემდე მუშაოდეს ეს საწარმოები. თურქეთში ჩაის ჩვენგან წაღებული დანადგარებით ამუშავებენ.

ჩვენ კი ჯართად გავყიდეთ ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა...

ჩვენი „იდეა“ კი ჯერჯერობით კვლავ ზედაპირულობაა, სამწუხაროდ.

**– ამდენი ვისაუბრეთ და ხობზე, სადაც თქვენ დაიბადეთ და გაიზარდეთ, არაფერი გვითქვამს...**

– ხობი ყოველთვის დარჩება ჩემს, ასე ვთქვათ, ჰობად. აქ





დავიბადე, გავიზარდე და, თქვენ რომ იცოდეთ, იქედან არსად წავსულვარ. დღესაც იქ ცხოვრობენ ჩემი მშობლები და ჩემ ძმა თავისი ოჯახით. როგორც მარკესის „მარტოობის ასი წელიწადის“ გმირები მაკონდოს, ჩემს ხობს მეც ვერასდროს დავშორდები ბოლომდე.

ხობთან დაკავშირებით მაქვს რამდენიმე ბიზნეს-პროექტი, რომლებზეც მეგობრებთან ერთად ვმუშაობ. მათ შორის არის თანამედროვე ტექნოლოგიების სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით ვმუშაობ ცნობილ ჰოლანდიურ, გერმანულ და იტალიურ კომპანიებთან. შარშან მათთან ერთად საკმაოდ წარმატებით ვიმუშავეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. დავნერგეთ იქ მაღალპროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშები... ვფართოვდებით. ვფიქრობ, ხობში ამ მიმართულებით ძალიან დიდი შესაძლებლობებია.

გვაქვს პროექტი, რომელიც დაკავშირებულია თევზსაშენთან და ტურიზმთან. ყულევში ვგეგმავთ სასტუმროს ტიპის დასასვენებელი სახლის მშენებლობას ინფასტრუქტურით, საწყლოსნო ტრანსპორტით, კოლხეთის, კერძოდ, მდინარე ხობისწყლის, შავღელის და ცივის აუზის უნიკალური ბუნების დამთვალიერებელთათვის.

მე, როგორც წეღანაც გითხარით, ვმუშაობ ტურისტული ბიზნესის განვითარების მიმართულებით, ვფლობ და ვაშენებ რამდენიმე სასტუმროს ქობულეთში, ყაზბეგში, კახეთის მხარეს. ყაზბეგში, რომელიც პირველ ადგილზეა დამთვალიერებელთა ოდენობით. ვფლობ ასევე სრულიად უნიკალურ ადგილას სასტუმროსთვის განკუთვნილ ნაგებობას და ვმუშაობ მის ტურისტულ ცენტრად გადაქცევისთვის. კახეთში, თბილისთან ახლოს, ვაშენებ ჯერ-ჯერობით, მგონი, საქართველოში ერთადერთ „რანჩოს“ ტიპის დასასვენებლ სახლს... ასე, რომ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ხობში ვხედავ ტურისტულ პოტენციალს.

ხობისწყალზე ვგეგმავთ ნავმისადგომს, რომელიც მოემსახურება თევზაჭერ გემებს... ეს ჩემი საარჩევნო პროგრამის ნაწილი იყო ჯერ კიდევ 1995 წელს...

**– ხომ არ აპირებთ კენჭისყრას საპარლამენტო არჩევნებში?!**

– დიახ, ვაპირებ და გადაწყვეტილებაც უკვე მიღებული მაქვს!

ალბათ, დაგაინტერესებთ, რატომ ვარ ასე კატეგორიული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხობს ჰყავდეს ნამდვილი დეპუტატი. მე ორი მოწვევის დეპუტატი და არა უბრალოდ დეპუტატი, არამედ საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. გახლდით თანაავტორი მრავალი კანონისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეტანეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში... ყველამ იცის, არ ვარ ის ადამიანი, ვინც სადეპუტატო მანდატი ქონების დასაგროვებლად გამოიყენა... პირიქით, დეპუტატობისას მხოლოდ ვხარჯე. არც ახლა ველი რაიმე ქონებრივ და ბიზნეს-პრივილეგიას, მაგრამ ძალიან მაღელვებს, როცა ვხედავ არა მხოლოდ ე.წ. „მუნჯ“ დეპუტატებს, არამედ პარლამენტის არაპროფესიონალ წევრებს, რომლებიც ისეთ რაღაცებს როშავენ, რომ სჯობდა, „მუნჯები“ ყოფილიყვნენ.

**– რომელიმე პარტიის სიით წარსდგებით ამომრჩევლის წინაშე?!**

– 2012 წელს მხარს ბიძინა ივანიშვილის გუნდს ვუჭერდი და დღესაც მიმაჩნია, რომ არა ბიძინა ივანიშვილის ენერგიული მოქმედებები, დღესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე რადიკალური ფრთის ძალმომრეობის ქვეშ ვიქნებოდით. სანამ საარჩევნო სუბიექტები, კოალიციები ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა, ძნელია ილაპარაკო, ვინ რომელი პარტიიდან თუ კოალიციიდან იყრის კენჭს. ყველანი ვხედავთ, არც მმართველ კოალიციას აქვს შემუშავებული სტრატეგია. ის, რაც შემუშავებულია, ხშირად ძალიან სადაო და საკამათოა. სამწუხაროდ, კოალიციებში ხშირად არა პიროვნებების პირადი ღირსება, არამედ კოალიციის სუბიექტთა შორის პოლიტიკური გარიგება, ვაჭრობა და კონიუნქტურა განსაზღვრავს კანდიდატთა დასახელებულ პიროვნებათა ვინაობას. ვნახოთ, რა იქნება მმართველ კოალიციაში „პოლიტიკური ვაჭრობის“ შედეგი. თუმცა, თუკი „ვაჭრობის შედეგი“ იქნება სხვა, მე მოვძებნი პოლიტიკურ ძალას, რომლის სახელითაც ვიყრი კენჭს. რამდენიმე მთავარი პოლიტიკური ძალიდან უკვე მაქვს შემოთავაზებები. ერთი სიტყვით, ველოდები მოვლენათა განვითარებას.

ერთი კი ცხადია, რასაც ვაკეთებ მთელი ცხოვრება და რასაც გავაკეთებ შემდგომში, ყველაფერი მიმართული იყო და იქნება ჩვენი ქვეყნის აღორძინებისკენ და უკეთესი მომავლისკენ. თუ გვინდა, რომ საქართველო აღორძინდეს ქართველი კაცის ხელით, მომავალზე უნდა ვიფიქროთ, თანამედროვეობის მოთხოვნები გავითვალისწინოთ და მოვიპოვოთ საკუთარ თავში, საკუთარ ერში იდეა, ქართული მიზანი, რომელიც 21-ე საუკუნის საქართველოს არსებობისა და განვითარების მთავარი პრიორიტეტი იქნება.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

# ვინ განაღმავს ქალაქში მიმოფანტულ „ბომბებს“ – ბენზინგასამართ სადგურებს?

„ნაცმოძრაობის“ ფულისამი ლტოლვა ყველა ჩვენგანს კარგად მოეხსენება. წართმეული საწვავის ბიზნესის ბაზაზე მათმა ერთ-ერთმა „მთავარმა კასირმა“, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა ერთი კომპანია „გალფი“ შექმნა. სწორედ ეს კომპანია დღემდე აკონტროლებს საქართველოში საწვავის ბიზნესის დიდ ნაწილს.

საწვავის ბიზნესის განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი ავტოგასამართი ქსელებია. საქართველოს დედაქალაქი აგს-ბის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. პირიქით, შეიძლება ვთქვათ, ჭარბადაც არის თბილისის ქუჩებში ავტოგასამართი სადგურები. როგორი ხარისხის საწვავს მოიხმარენ ჩვენი მძღოლები, ეს უკვე სხვა თემაა, მაგრამ თბილისის ჰაერი დაბინძურებული რომ არის, აშკარაა. ისიც საკითხავია, რამდენად რეალუდ ფასად იყიდება საქართველოში საწვავი. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ცალკე სასაუბრო თემებია.

დავუბრუნდეთ ავტოგასამართ სადგურებს. ზოგიერთი პირდაპირ მანქანების სავალ ნაწილთან არის ფაქტობრივად მიბჯენილი. მეტრო „სამგორის“ ქვედა სადგურების მიმდებარე ტერიტორია ბაზრობების სიმრავლით არის ცნობილი. „შავი გედის“ ბაზრის ერთ-ერთ შესასვლელთან, მოსკოვის პროსპექტზე მდებარეობს „სოკარის“ აგს-ი, რომლის უკან უკვე ბაზრობაა. „კედარის“ ბაზრის გვერდითაც იმავე კომპანიის აგს-ია განთავსებული.

არც დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია განიცდის ავტოგასამართი სადგურების ნაკლებობას. დიღმის ხიდთან „გალფის“ სადგურია, რომელიც კუნძულის მსგავსად არის აღმოცენებული და პრობლემას უქმნის ტრანსპორტს. ჯანდაცვის სამინისტროს გვერდით და მოპირდაპირედ „ლუკოილის“ სადგურებია.

დიდუბის რაიონი ერთ-ერთი გადატვირთული უბანია თბილისში. იშვიათი გამონაკლისია, როდესაც იმ დასახლების ზოგიერთ ქუჩაში საცობები არ არის. ვახუშტი ბაგრატიონის და ქუთაისის ქუჩებს შორის მდებარეობს „გალფის“ აგს-ი. საბურთალოს მხრიდან მომავალი მანქანა, გადმოკვეთს თუ არა ვახუშტის ხიდს, ამ სადგურს უნდა მიადგეს. აგს-ს ცოტა ადგილი როდი უკავია, რომელიც ხელს უშლის მოძრაობას, ფაქტობრივად, ტრანსპორტის სავალი გზის დიდი ნაწილიც მიერთებული აქვს. საცობების პრობლემას მთლიანად აგს-ს ნადმვილად ვერ დავაბრალებთ, მაგრამ სადგურიც თამაშობს თავის უარყოფით როლს. განსაკუთრებით პიკის საათებში გასამართ სადგურზე შემსვლელ-გამომსვლელი ავტომობილები ხშირად საცობს ქმნიან, მოძრაობის შეფერხებას უწყობენ ხელს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ავტოგასამართი სადგურის ყურისძირში, იგივე ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლებია.

ნურავინ დაგვაბრალებს, რომ თითქოს ბიზნესის წინააღმდეგები ვიყოთ, მაგრამ სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას. პრობლემის დანახვა და აღმოფხვრა დროულად უნდა მოხდეს, თორემ ურემი რომ გადაბრუნდება,ვაი-ვიშის ძახილი გვიანი იქნება.

მავანი შემოგვედავება, ავტოგასამართი სადგურები რა საფრთხეს ქმნიანო.

დავიწყოთ იმით, რომ თბილისში აგს-ები ჭარბადაც არის. დასტურად იმ გარემოებას დავასახელებთ, რომ ბევრმა ავტომფლობელმა თავიანთი მანქანები ბუნებრივ აირზე გადაიყვანა, მათ შორის, წარმომადგენლური ფირმის მანქანებიც კი. მიბრძანდით გასგასამართ სადგურებზე და ჩვენი სიტყვების სიმართლეში თავადაც დარწმუნდებით. თუმცა, თავად ბიზნესმენებზეა დამოკიდებული, რამდენ ობიექტს გახსნიან, იხეირებენ თუ იზარალებენ.





გვინდა ვიკითხოთ, თუ ვინ და როგორ გასცემს ავტოგასამართი სადგურების აშენების ნებართვებს, რამდენად არის გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები სადგურების დადგმის შემთხვევაში. საწვავი, კერძოდ, ბენზინი ადვილად აალებადი ნივთიერებაა. ეს ჭეშმარიტება ბავშვებმაც კარგად იციან. ვინ არის იმის გარანტორი, რომ, ღმერთმა დაგვიფაროს და, რაიმე სახის ავარია არასოდეს მოხდება. დარწმუნებული ვართ, რომ მსგავს გარანტიას ვერავინ მოგვცემს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლებია აგს-ს სიახლოვეს. საინტერესოა, თუ აქვს ვინმეს თუნდაც მოქმედების გეგმა ავარიის შემთხვევაში? ვფიქრობთ, არა, თორემ ხალხმრავალ, მით უფრო, საცხოვრებლების სიახლოვეს ბენზინგასამართი სადგურების აშენების უფლებას უანგაროდ, ალბათ, უბრალოდ, არავინ გასცემდა. იგივე შეიძლება ვთქვათ ბაზრობებსა და ავტოსადგურების გვერდით არსებულ აგს-ებზეც. ავარიის შემთხვევაში, ხალხის სიცოცხლეს ექმნება საფრთხე. დაუდევრობით, თუნდაც ერთი ადამიანის დაზიანება დაუშვებელია. ამ შემთხვევაში მატერიალური ზარალი უკანა პლანზე გადადის.

დიახ, არავინ უარყოფს, რომ ბიზნესი ხელშეუხებელი უნდა იყოს, მაგრამ დედაქალაქში ხომ უნდა აკონტროლებდეს ვინმე (თუნდაც მერიის რომელიმე სამსახური) სად და როგორ მუშაობს ისეთი ფაქიზი ბიზნესი, როგორიც ბენზინგასამართი სადგურებია. ელემენტარულად, მეხანძრეებს ხომ უნდა ვკითხოთ ჭკუა, შეიძლება თუ არა რომელიმე სასურველ ადგილზე ბენზინგასამართი სადგურის აშენება. აღარაფერს ვამბობთ დედაქალაქის იერ-სახის დამახინჯებაზე. ნორმალურ ქვეყნებში ავტოგასამართი სადგურები შედარებით უსაფრთხო ადგილებში შენდება.

ჩვენ მხოლოდ თბილისის სამი უბნის ბენზინგასამართი სადგურების შესახებ ვისაუბრეთ. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი დარღვევები დედაქალაქში არსებულ კიდევ მრავალ ავტოგასამართ სადგურზე შეგვხვდება. იცოცხლეთ, კარგია, როდესაც ხალხი ფართოდ მოიხმარს ბენზინს თუ სხვა პროდუქციას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სხვა რეალობა გვაქვს. უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარდა, ჩვენი ობიექტებით ახალი პრობლემები არ უნდა შევუქმნათ საცობებით ისედაც შეწუხებულ დედაქალაქს. საინტერესოდ მოგვეჩვენა ის გარემოებაც, რომ არც ერთ ავტოგასამართ სადგურზე მუმუშავე პერსონალმა ჩვენთან საუბარი არ ისურვა. ბენზინგასამართი სადგურები კი მუშაობენ და მათი განმკითხავი, თუ როგორ იცავენ უსაფრთხოების ზომებს, ჯერჯერობით არავინ ჩანს. საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება არსებული განუკითხაობა.




**გია ბურდული**
ტელ.: 551 712 707

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

## ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს

**თბილისი 1992 წელი**

*უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი,*
*უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი.*

**აკაკი წერეთელი**



გადავწყვიტე წერილობით მოგმართოთ, ვინაიდან მრავალი რამ ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაში გარკვევას საჭიროებს, როგორც ქართველი ხალხისათვის, ასევე მსოფლიოსათვის. ეს წერილი მიზნად არ ისახავს თქვენს განქიქებას, ან თქვენი, როგორც პიროვნების შეურაცხყოფას, იგი ასახავს მხოლოდ ობიექტურ რეალობას.

მე ვთვლი, რომ ის რაც ხდებოდასაქართველოში თქვენი მმართველობის დროს საბჭოთა პერიოდში, სახეცვლილად გრძელდება დღესაც და ასახავს ურთიერთობას საქართველოსა და იმპერიულ ცენტრს შორის, რომელმაც იმთავითვე დაგაკისრათ ფუნქცია საქართველოს ჟანდარმისა. ამიტომ მსურს გაგახსენოთ ყველაფერი უმცირეს დეტალებში და მოგახსენოთ ჩემი დასკვნები, **მზად ვარ აგრეთვე მოვისმინო თქვენი კონტრარგუმენტები, დანარჩენი კი ერმა და საზოგადოებამ განსაჯოს.**

მართალია, პიროვნულად ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან გიცნობდით, მაგრამ ჩვენი პირველი საქმიანი შეხვედრა მოხდა 1970 წელს. იმხანად თქვენ შინაგან საქმეთა მინისტრი იყავით და მამაჩემის კონსტანტინე გამსახურდიას მეგობრად და კეთილისმსურველად სახავდით თავს. ამან გამაბედინა თქვენთან მოსვლა, როდესაც მამაჩემმა საახალწლოდ მიიღო ანონიმური წერილი ვითომდაც „რუსი და სომეხი ნაცისტებისა“, კუთხოვანი ასოებით დაწერილი ქართულ ენაზე, რომელიც ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა მამაჩემს და მთელ ქართველ ერს. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ ქართველი ერი გადაგვარებისა და მოსპობის გზაზეა დამდგარი, და რომ ამას დააჩქარებენ რუსი და სომეხი „ნაცისტები“. მათი თქმით აღმოსავლეთ საქართველო უნდა გადასულიყო სომხეთსა და აზერბაიჯანის ხელში, დასავლეთ საქართველო კი რუსეთის ხელში. კონსტანტინე გამსახურდია, როგორც ეროვნული მოღვაწე ამ „ნაცისტებს“ უმთავრეს დაბრკოლებად ესახებოდათ ამ მიზნის მიღწევის გზაზე და ემუქრებოდნენ სიკვდილით. წერილში იყო ასეთი ფრაზა: „მოველით იმ წუთს, როდესაც დავიწყებთ ქართველთა სისხლის დაღვრას, ხოცვას ახალგაზრდებიდან დავიწყებთ“.

დიდხანს ვცდილობდი თქვენთან დაკავშირებას, მაგრამ ამაოდ. თქვენი მისაღები ხან მპასუხობდა, თათბირი აქვსო, ხანაც რაიონშიაო წასული. სჩანს, წინასწარ იცოდით, თუ რა საკითხზე მსურდა თქვენთან დაკავშირება. ბოლოს როგორც იქნა მწერალთა კავშირიდან მთავრობის აპარატით დაგიკავშირდით და მიმიღეთ. თქვენ წაიკითხეთ წერილი, განცვიფრება გამოხატეთ და დაავალეთ გამოძიება შსს ერთ-ერთ გამომძიებელს. თანაც მოთხარით, ათიოდე დღეში გამოიარეო. ამასთან, რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, რომ თქვენ საუბარზე დაისწრეთ ქალაქის მილიციის საგამომძიებლო განყოფილების ყოფილი უფროსი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), რომელმაც კინაღამ სიცოცხლეს გამოგვასალმა მე და მერაბ კოსტავა 1959 წელს საპატიმროში რეციდივისტი მკვლელების ხელით. აი, ასე გამეცით „სიმბოლური“ პასუხი ჩემს კანონიერ მოთხოვნაზე, რომ გამოგეძიებინათ იმ ანონიმური წერილის ავტორის ვინაობა და როგორც ჩანს, გამოხატეთ თქვენი პოზიცია. ცხადია, შემდგომში არც არაფერი გამოიძიეთ და მიაფუჩეჩეთ საქმე. მრავალი რამ იმ „ნაცისტების“ მუქარიდან თანდათანოვით რეალობად იქცა მომდევნო წლებში. განსაკუთრებით კი უკანასკნელ წელს, საქართველოში დატრიალებული სისხლიანი მოვლენების დროს, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ, ახლა კი ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების სხვა მომენტებს დავუბრუნდები.

მჟავანაძისეული პერიოდის კორუფციისა და განუკითხაობის დროს ქართველი საზოგადოება გამოსავალს ეძებდა. თქვენ აცხადებდით, რომ იბრძოლებდით პატიოსნებისა და პრინციპულობისათვის, უშველიდით ქართულ კულტურას, მოუღებდით ბოლოს მაფიის თარეშს. (ცხადია, დამოუკიდებლობასა და დამოუკიდებლობაზე ოცნებაც კი გამორიცხული იყო მაშინ), ამიტომ მრავალი მიესალმა თქვენს მოსვლას ხელისუფლების სათავეში 1972 წელს და მეც იმედი გამიჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიყავი დისიდენტი და საბჭოთა სისტემის მტერი. თუმც, ახლა ვხედავ, რომ ეს იყო ახალგაზრდული გამოუცდელობა და კომუნისტური დემაგოგიის ვერშეცნობა ჩემის მხრით. **რა უნდოდა იმის დანახვას, რომ კორუფციასთან ბრძოლის დროშა ააფრიალა ყველაზე მეტად კორუმპირებული სამინისტროს ხელმძღვანელმა** და რომ პოლიტბიურო მხოლოდ საგანგებოდ შერჩეულ და შემოწმებულ კარიერისტ კოლაბორაციონისტებსა და **რუსიფიკატორებს ნიშნავდა ნაციონალისტური რესპუბლიკების ხელმძღვანელად?** თურმე თვით მჟავანაძეც კი „ნაციონალისტად“ მიაჩნდათ თქვენთან შედარებით, ვინაიდან მან (თავისი სისუსტით და არა პატრიოტიზმით) ვერ გამოუცხადა ომი საკუთარ ერს, მის ენასა და კულტურას, მის თვითმყოფადობას. ამიტომ იყო აღნიშნული პოლიტბიუროს ცნობილ დადგენილებაში მისი პერიოდის „ნაციონალისტური“ გადახრები. ხელისუფლების სათავეში თქვენი მოსვლის შემდეგ მალე გაგვიქარწყლდა ილუზია, რომ თქვენ კომუნისტური და რუსოფილური ნიღაბი გჭირდებოდათ მოსკოვის მოსატყუებლად, რათა ეროვნული საქმისთვის მიგეხედათ. თქვენ დაიწყეთ რუსიფიკაციის კამპანია ისეთი მასშტაბით, რომელიც არ მოსწრებია ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს თვით ცარიზმის შავბნელი რეაქციის წლებშიც კი. თქვენ განდევნეთ ქართული ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან, რუსული ენა კი ფაქტიურ სახელმწიფო ენად აქციეთ. დაიწყეთ კამპანია ეროვნული სულის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, თვით ისტორიულ თემაზე წერასაც კი „ნაციონალიზმად“ ნათლავდით, ხოლო თქვენი მწერლები და რეჟისორები უკვე აშკარად გადავიდნენ ისტორიის გაყალბებაზე. საქართველოს რუსეთთან შეერთების, როგორც უაღრესად პროგრესული მოვლენის აპოლოგიაზე, „საბჭოთა პატრიოტიზმის“, შერეული ქორწინების პროპაგანდაზე. „ინტერნაციონალიზმის“ დროშით დაიწყო ქართული მოსახლეობის არნახული შევიწროება, სოფლად თუ ქალაქად, არაქართველთა პრივილეგირების პარალელურად. დაიწყო ბრძოლა „მავნე ჩვეულებებისა და ტრადიციების“ (!) წინააღმდეგ, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან ბრძოლასაც, პარალელურად კი ნერგავდით კომუნისტურ, საბჭოთა „დღესასწაულებს“, სადაც ღრეობისა და მუცელღმერთობის გარდა არაფერი ხდებოდა, ნერგავდით „ახალ რიტუალებს“, ე. ი. ახალ საბჭოლა, კომუნისტურ რელიგიას.

დღეს კრიმინალურ-ტერორისტული ხუნტის მოწვევით საქართველოში ჩამოსულს თქვენ და თქვენ მიმდევარ პარტოკრატებს ხშირად გხედავენ ეკლესიებში, სადაც სანთლებს ანთებთ ხოლმე. შთამომავლობამ უნდა იცოდეს, თუ როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიასთან; როგორ მართავდა მას თქვენი რწმუნებული, როგორც ცდილობდით მის გადაქცევას სუკის ფილიალად, როგორ არბევდნენ თქვენი კომკავშირლები მორწმუნე ახალგაზრდობას, განსაკუთრებით აღდგომის დღესასწაულებზე. მათ ეკლესიების გვერდით გახსნილ კომკავშირულ შტაბებში შეჰყავდათ ახალგაზრდები, რომლებიც აღდგომის დღესასწაულზე ეკლესიაში ბედავდნენ მისვლას. ამ შტაბებში ხდებოდა მათი ტერორიზება, „დამუშავება“, აღრიცხვაზე აყვანა, ხოლო შემდეგ ამას მოსდევდა რეპრესიები, სასწავლებლებიდან გარიცხვა, ოჯახების დაწიოკება და სხვა. როგორ დაიწყეთ ეკლესია-მონასტრების გადაკეთება თეატრებად, საკონცერტო დარბაზებად, როგორ გააუქმეთ, მაგალითად, **შიო-მღვიმის მონასტერი 1980 წელს, როგორ დაამწყვდევინეთ მისი წინამძღვარი, მოხუცი კაცი ეკლესიის შენობაში,** ზამთრის ყინვაში, რის შედეგადაც მას კინაღამ სული ამოხდა, როგორ იმსხვერპლა სუკის ტერორმა მრავალი სამღვდელო პირი და ეკლესიის მსახური, როგორ უწყობდით ხელს „ზაკვოს“ სამხედროებს ჩვენი კულტურის უნიკალური ძეგლების, განსაკუთრებით დავით-გარეჯისა და გელათის განადგურებაში, რაც იმპერიის გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ თანდათანობით ზრდიდით რუსული ენის საათებს ქართულ სკოლებში ქართული ენის ხარჯზე, როგორ კრძალავდით საქართველოს ისტორიის სწავლებას, როგორ დააპირეთ 19976 წელს უმაღლესი სასწავლებლების რუსიფიკაცია, ძირითად საგნებში ლექციების რუსულ ენაზე კითხვის დაკანონება, რამაც გამოიწვია დიდი აღშფოთება შეგნებული ქართველი საზოგადოებისა. ამავე წლებში ბრეჟნევისეულ გიგანტომანიას, გიგანტური ჰესებისა და საწარმო ობიექტების მშენებლობას **ყველაზე აქტიურად თქვენ დაუჭირეთ მხარი, რაც იყო გამოვლინება საქართველოს წინააღმდეგ ეკოლოგიური ომისა და საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გენოციდს.** ეს აჩქარებდა, აგრეთვე, **ქართველი ხალხის ასიმილაცი-**

**ას**, ვინაიდან ასეთი მასშტაბების მშენებლობას ეროვნული კადრებით არათუ საქართველო, არამედ თვით უკრაინა და ყაზახეთიც ვერ აუდიოდა. თქვენ იყავით ერთ-ერთი ინიციატორი ავადსახსენებელი როკის გვირაბის გაყვანისა, რის შედეგებსაც ახლა იმკის საქართველო და რამაც დაგვაკარგვინა შიდა ქართლი და სამაჩაბლო.

თქვენ ავადსახსენებელ სუსლოვის ინსტრუქციების შესაბამისად, ყველაფერი იღონეთ იმისათვის, რომ აფხაზეთში ყოველნაირად გაძლიერებულიყო სეპარატისტული მოძრაობა და მომზადებულიყო სისხლიანი ეთნოკონფლიქტი.

თქვენ მიერ გაჩაღებულმა კამპანიამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ კორუფციასთან მოჩვენებითმა ბრძოლამ, საშუალო და დაბალი ფენა დააზარალა, მსხვილ მექრთამეთა „ელიტა“ კი ხელშეუხებლად დატოვა. იმ დროს, როდესაც ხაბეიშვილისა და მგელაძის კორუმპირებული მაფია მილიონებს ატრიალებდა, რომელთაც უხვად უგზავნიდით პოლიტბიუროს, თქვენ, წონაში მოტყუებისა და უმცირესი სამეურნეო დანაშაულებისთვის ციხეებში ყრიდით და აციმბირებდით ათასობით უბრალო ადამიანს. როგორც ერთმა პოეტმა შეგნიშნათ, თქვენს დროს **აქლემის ქურდი ნემსის ქურდს ასამართლებდა,** ხოლო თქვენ ამ აქლემის ქურდებს სხვადასხვა დიდი თანამდებობებით აჯილდოებდით, ციხეებში დანერგეთ არნახული **სადისტური წამების** მეთოდები. თქვენს მიერ შექმნილ სპეციალურ მეორე კორპუსში სადისტმა გამომძიებლებმა და აგენტმა პატიმრებმა დაასახიჩრეს და დახოცეს ასობით ადამიანი, ჩვენებებისა და ფულის გამოძალვის მიზნით, გააუბედურეს ათასობით ოჯახი (ცირეკიძე-უსუპიანის საქმე, ფროლოვის საქმე, ოპერის საქმე და სხვა), დღეს ბევრი მათგანი აღდგენილია და იმავე ადგილებზე მუშაობს, ალბათ, ახალ დატვირთვებს მისცემთ მათაც. „ნეგატიურ მოვლენებთან“ ბრძოლის პარალელურად თქვენ თავად ნერ-



გავდით კრიმინალურ პრაქტიკას საწარმოო-სამეურნეო სფეროში. კახეთში თქვენს მიერ ღვინის ფალსიფიკაციის მიზნით შეტანილმა შაქარმა **სახელი გაუტეხა ქართულ ღვინოს და ქართველ მეღვინეს.** სამაგიეროდ, ამგვარმა ფალსიფიკაციამ და მიწერებმა მოგიტანათ გარდამავალი დროშები, სოციალისტური შრომის გმირის ორდენები და გზა გაგიკაფათ კრემლის დიდებისაკენ.

იმ წლებში საზოგადოების მორალური დეგრადაცია იმიტაც დაჩქარდა, რომ თქვენ თანამდებობიდ მოპოვების თუ საზღვარგარეთ **მივლინებით წასვლის მთავარ პირობად სუკ-ის აგენტობა აქციეთ.** რის შედეგადაც სუკ-ის აგენტურულ ქსელში ჩაითრიეთ ქართველი **ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა თუ სამღვდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი**. საერთოდ, სუკ-ის აგენტების რაოდენობამ თქვენი მმართველობის პერიოდში რეკორდულ ციფრს მიაღწია, რასაც თქვენ „პიროვნების სოციალიზაციას“ უწოდებდით და როგორც ჩანს, განზრახული გქონდათ უდიდესი ნაწილის ჩაბმა ამ შავბნელი ორგანიზაციის სამსახურში.

თქვენ აღმართეთ თბილისის ცენტრში მოღალატე ორჯონიკიძის უდიდესი ძეგლი, ხოლო ოზურგეთში ძეგლი დაუდგით **ილია ჭავჭავაძის** მკვლელობის ორგანიზატორს ფილიპე მახარაძეს. ყოველნაირად ნერგავდით კომუნისტი ძმათამკვლელებისა და რენეგატების კულტს. **ლენინის ძეგლების რაოდენობით ხომ საქართველომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას გადააჭარბა**. სტალინის კულტსაც ფარულად უწყობდით ხელს, ვინაიდან სტალინი ოფიციალურად დაგმობილი იყო. თქვენ არაერთხელ გითქვამთ მიწრო წრეში, რომ სტალინი თქვენი მოძღვარი იყო, რასაც საქმით ამტკიცებდით ყოველ ნაბიჯზე. ამავე დროს ძეგლები არ ეღირსათ საქართველოში დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს და სხვა მრავალ დიდ ეროვნულ მოღვაწეს.

საბჭოთა კავშირში და მთელს მსოფლიოში თქვენ სიტყვა „ქართველი“ ხაზინის ქურდის, მექრთამეობის, სპეკულანტობის სიმბოლოდ აქციეთ, იმ დროს, როდესაც კორუფცია და სპეკულაცია იმპერიის სხვა რეგიონებში უფრო მეტად ყვაოდა.

(გაგრძელება იქნება)



# თსუ-ს აქციები ნაციონალების მიერ არის ინსპირირებული?

სახელმწიფო უნივერსიტეტში ვითარება დაიძაბა. ვის ხელში დარჩება სტუდენტური თვითმმართველობა და იქნება თუ არა რექტორი ვლადიმერ პაპავა, ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდები და კამათი შეიძლება. ერთი კი ცხადია, სტუდენტების აჟიოტაჟი კონკრეტულ მიზნებს ისახავს და მათ უკან, სამწუხაროდ, კვლავ „ნაცმოძრაობას“ ასახელებენ.

რამდენიმე თვის წინ „საერთო გაზეთს“ სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტი დაუკავშირდა და გვთხოვა სიუჟეტი გაგვეკეთებინა უნივერსიტეტში მაშინ შექმნილ მდგომარეობაზე, კერძოდ იმაზე, რომ „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის აქტივისტი, „მედიატორის“ ხელმძღვანელი ლევან ხაბეიშვილი გივი თარგამაძისა და სხვა ნაციონალი ლიდერების დახმარებითა და დაფინანსებით მიტინგების მოწყობას გეგმავდნენ უნივერსიტეტის ეზოში. აქციას შემდეგ ქუჩაში და სახელმწიფო კანცელარიისკენ უნდა გადაენაცვლა.





არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ ოფისში, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობს, იბარებდნენ თურმე სტუდენტებს, ეუბნებოდნენ: მოღალატე მთავრობა ქვეყანას აქცევს, დაგვიდექით გვერდით და აქციას შემოუერთდითო.

მეტი დაინტერესებისთვის სტუდენტებს რთავდნენ სხვადასხვა სახის პროექტებში, კერძოდ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მონიტორინგის ჯგუფებში და ა.შ.

ლევან ხაბეიშვილი შემდეგ ასევე აქტიურად მონაწილეობდა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერ აქციებში, კრებდა თურმე ახალგაზრდებს და მობილიზებას უწევდა მათ შეგროვებას „რუსთავი-2“-ის ოფისთან.

ჩვენ, ცხადია, არ ვიცით, საიდან ფინანსდება „მედიატორი“, მაგრამ, როგორც გვითხრეს, ორგანიზაციას ხშირად სტუმრობენ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები. ამბობენ, საკმაოდ სოლიდური თანხები სწორედ „ნაცმოძრაობისგან“ და კერძოდ, „სოკარის“ ბიუჯეტიდან ერიცხებათ „მედიატორელებსო“.

„მედიატორის“ აქტივისტები, რომლებიც, სავარაუდოდ, „თავისუფალი ზონის“ წევრებისგან შეივსო და ამ ორგანიზაციის საპირწონედ აქციეს ნაციონალებმა, ახლა აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში. დანარჩენი სტუდენტები კი, რომლებიც აქციაში მონაწილეობენ ან ინფორმირებულნი არ არიან, ან უბრალოდ, სოლიდარობის მიზნით დგანან პოლიტიზირებული თანატოლების გვერდითო.

უნივერსიტეტის თვითმმართველობა თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებისგან იყო დაკომპლექტებული, რადგან ნაციონალებს, მოგეხსენებათ, ახალი თაობები სჭირდებოდათ თავიანთ რიგებში და ღიადაც ლაპარაკობდნენ ამაზე. მას შემდეგ თვითმმართველობაში ახალი ცვლა არ მოსულა. ვითომ დასავლური ორიენტაციის სააკაშვილის ახალგაზრდა ფანები დღესაც მისტირიან „პროგრესის დეკადანსს “ უნივერსიტეტში, იმ ფონზე, როცა „ნაცმოძრაობას“, როგორც საზოგადოებაში უკვე სრულიად გაკოტრებულ პარტიას აქ მაინც ჰქონდეს დასაყრდენი, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებისგან რომ ჰქონდეს აქტიური მხარდაჭერა.

არჩევნები ახლოვდება.

პერმანენტული „გართულებები“ საჭიროა პოლიტიკური ამინდის შესაქმნელად, რათა მთავარი ოპოზიციური ძალის იმიჯი შეინარჩუნონ და ნიადაგიც მოსინჯონ, საჭიროების შემთხვევაში, საიდან შეიძლება მხარდაჭერას ელოდნენ ნაციონალები.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ძლიერი რეგიონები



ირმა ცქიფიშვილი

## მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

### დუშეთის რაიონის მაღალმთიანი სოფლის – შუაფხოს სკოლის დირექტორს მეათე შვილი შეეძინა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოს სკოლის დირექტორ ირმა ცქიფაშვილს მეათე შვილი შეეძინა. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილემ გოჩა ზეიკიძემ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მრავალშვილიანი დედა საავადმყოფოში მოინახულეს, მიულოცეს ახალშობილის დაბადება და ფულადი და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაღალმთიან სოფელ თხილიანში ირმა ცქიფაშვილისა და ზაზა ჯაბანიშვილის მრავალშვილიან ოჯახს კიდევ ერთი წევრის, დავითის დაბადება მიულოცა აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

შუაფხოს საჯარო სკოლა, რომელსაც ირმა ცქიფაშვილი ხელმძღვანელობს, ერთადერთია, რომელიც თეთრი არაგვის, ე. წ. ბუდე-ფშავის მაღალმთიანი ხეობის სოფლებს ემსახურება. ამ მცირეკონტინგენტიან სკოლაში სულ 17 მოსწავლე სწავლობს და აქედან 6 ჯაბანიშვილების ოჯახის წევრია. მოსწავლეებს, რომლებიც მეზობელ სოფლებში ცხოვრობენ, რამდენიმე კილომეტრის გავლა ფეხით უხდებოდათ. მესამე წელია, სასწავლო დაწესებულებას ავტობუსი ემსახურება.

ირმა ცქიფაშვილი გამორჩეულად კარგი შვილების დედა, წარმატებული პედაგოგი და კარგი დირექტორია. მრავალშვილიანი ოჯახი სრულიად უსასყიდლოდ მასპინძლობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩასულ 6 პედაგოგს, რაც შუაფხოს საჯარო სკოლის მოსწავლეების სრულყოფილი განათლების ერთ-ერთ ერთი მთავარი წინაპირობაა.

10 შვილის დედა, პედაგოგი, მაგალითია იმისა, რომ შესაძლებელია წარმატებული იყო როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე ყოფით ცხოვრებაში.

### სადღესასწაულო საღამო ღვაწლმოსილი ქალბატონებისთვის

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურთან ერთად, ღვაწლმოსილ ქალბატონებს სადღესასწაულო საღამო მოუწყო. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატი ერეკლე ტრიპოლსკი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. მათ ღვაწლმოსილ პედაგოგებს ყვავილები და მადლობის სიგელები გადასცეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისთვის. სადღესასწაულო საღამო ანსამბლ „ქალილოსა" და სხვადასხვა ადგილობრივი ანსამბლის მონაწილეობამ კიდევ უფრო დაამშვენა.

## სამეგრელო-ზემო სვანეთი

### დევნილთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის სტრატეგიის განხილვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ორგანიზებით ზუგდიდში საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, დევნილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, სსიპ-ის ხელმძღვანელი ირაკლი უჯმაჯურიძე, ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე, ქალაქის ვიცე-მერი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკოორდინაციო შეხვედრის მიზანია მჭიდრო საკომუნიკაციო ჯაჭვის ჩამოყალიბება რეგიონში მომუშავე არასამთავრობო სექტორს, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის.

საკოორდინაციო შეხვედრაზე სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ წარადგინა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა.

### გაზიფიცირების სამუშაოები მარტვილში, დევნილთა ჩასახლებაში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ მარტვილში 44 დევნილი ოჯახისთვის გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერეს.

მარტვილში, მშვიდობის ქუჩაზე ორსართულიანი შენობის გაზიფიცირებისათვის საჭირო ხარჯები დევნილთა სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყო. სამუშაოები მიმდინარე წლის მარტის ბოლოს დასრულდება. მშვიდობის ქუჩაზე, ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში დევნილი ოჯახები ბუნებრივი აირის გარეშე 2010 წლიდან ცხოვრობენ.



ახალი ხიდი სოფელ კოკში

### კონფლიქტისპირა სოფელ კოკში ახალი ხიდი აშენდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში მონოლითური რკინა-ბეტონის საავტომობილო ხიდის მშენებლობა დასრულდა.

წლების განმავლობაში ხიდი ავარიულ მდგომარეობაში იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის გადაადგილებას. სტიქიის შედეგად კი ხიდზე გადასვლა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

რეაბილიტირებული საავტომობილო ხიდით ორი კონფლიქტისპირა სოფლის, კოკისა და ორსანტიის მოსახლეობა ისარგებლებს. ხიდ-ბოგირის მშენებლობისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 29735 ლარი გამოიყო.

### ახალკახათში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალკახათის ადმინისტრაციულ ერთეულში ორსართულიანი საბავშო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ხორციელდება მიწისზედა სამუშაოები.

ახალკახათის საბავშო ბაღი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სააღმზრდელო დაწესებულება იქნება და მისი მშნებლობა მაისში დასრულდება.

პროექტი საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან 188 ათასი ლარით დაფინანსდა.

## სამცხე-ჯავახეთი

### ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატები გერმანიაში

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ექსპონატები გერმანიაში, იენის უნივერსიტეტშია გამოფენილი. მუზეუმის დირექტორის ვიოლეტა ბალახაშვილის ცნობით, 19 არქეოლოგიური ნიმუში გერმანიაში გასული წლის სექტებერში გაიგზავნა.



# ძლიერი საქართველოსთვის

„იანვრის ბოლომდე მასალები ქალაქ ნიურნბერგში იყო გამოფენილი, შემდგომ კი ექსპოზიციამ იენის უნივერსიტეტში გადაინაცვლა. ძირითადად წარმოდგენილია მზეთამზის სამაროვანში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვით თარიღდება. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გამოჩენილ არქეოლოგს ვახტანგ ლიჩელს, რომლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა გერმანიაში გამოფენის ორგანიზება“, – აღნიშნა ვიოლეტა ბალახაშვილმა.

მსურველებს იენის უნივერსიტეტში ექსპონატების დათვალიერება მარტის ბოლომდე შეეძლებათ.

### ახალი მეფრინველეობის ფერმა ახალციხეში, სოფელ კლდეში

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხის მუნიციპალიტეტში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებული მეფრინველეობის ფერმა დაათვალიერა და წარმოების პროცესს ადგილზე გაეცნო.

კომპანიამ „მესხეთის მეფრინველეობა“ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 230 ათასი ლარის ოდენობის სესხი აიღო და სოფელ კლდეში მეფრინველეობის ფერმა მოაწყო. ფერმაში 12 000 ფრთა ქათამი ჰყავთ და ყოველდღიურად 8 ათასი ცალი კვერცხი იწარმოება. პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება. საწარმოში 11 ადგილობრივია დასაქმებული. ახლო მომავალში კომპანია წარმოების გაფართოებას გეგმავს.

შპს „მესხეთის მეფრინველეობამ“ ფერმის შექმნისთვის ჯამში 220 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

მეფრინველეობის ფერმა მინისტრთან ერთად სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გუბერნატორმა აკაკი მაჭუტაძემ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა მარიანა მორგოშიამ დაათვალიერეს.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გაცემულია 1,577 სესხი ჯამური თანხით 26 982 600 ლარი და 59 სესხი – 4 310 780 აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში რეგიონში 7 ახალი საწარმო გაიხსნა.



შეხვედრა SOCAR-ის წარმომადგენლებთან

## კახეთი

### კახეთის გუბერნატორის სამუშაო ვიზიტი ბელარუსის რესპუბლიკაში

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციასა და ბელარუსის რესპუბლიკის, მინსკის ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.



ახალი მეფრინველეობის სოფელ კლდეში

მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონია ქალაქ მინსკში, მინსკის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა.

მემორანდუმის მიზანია, რეგიონებს შორის თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყოს სავაჭრო-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ თანამშრომლობას. შეთანხმების თანახმად, მხარეები მხარს დაუჭერენ რეგიონებს შორის ტურიზმის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას.

ვიზიტის ფარგლებში ოფიციალური შეხვედრები გაიმართა მინსკის ოლქის სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან.

### შეხვედრა ვარდისუბნის თემში

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში 2016 წელს განსახორციელებელი სამუშაოების პრიორიტეტების კვლევა დაიწყო. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი კახა ჯამბურია ვარდისუბნის თემის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივი თვითთმართველობა მსგავს შეხვედრებს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გეგმავს. 2016 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული სამუშაოებისთვის 1 097 350 ლარი გამოიყო.



დევნილთა დასახლება მარტვილში

## ქვემო ქართლი

### ქვემო ქართლის ადმინისტრაციასა და SOCAR-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-ს შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის მრავალსაუკუნოვანი და ტრადიციული მეგობრული ურთიერთობების საფუძველზე გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ.

ღონისძიება სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა, სადაც იმყოფებოდნენ ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი, აზერბაიჯანული მხარის წარმომადგენლები: ნავთობკომპანია SOCAR-ის პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი და SOCAR Energy ჯორჯიას გენერალური დირექტორი მახირ მამედოვი, აგრეთვე გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლები, მუნიციპალიტეტების გამგებლები და სახელმწიფო უწყებების სხვა ხელმძღვანელი პირები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვემო ქართლის რეგიონის ფერმერებს დაეხმარებიან (არაკომერციული მიზნებისთვის) სეზონური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად ჩატარებაში, მოსავლის აღებაში, მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით შეფერხების გარეშე უზრუნველყოფაში, აგრეთვე რეგიონის სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში.

ჩამოთვლილი ამოცანების შესრულების მიზნით, SOCAR-მა ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციას საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება და შესაბამისი აღჭურვილობა: სხვადასხვა მოდფიკაციის 10 ტრაქტორი და ამდენივე გუთანი.

აღნიშნული სასოფლო-სატრანსპორტო საშუალებებით რეგიონის მუნიციპალიტეტები ისარგებლებენ.

### ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოციალური ხარჯები

ბოლნისის მუნიციპალიტეტი მოსახლეობას საკმაოდ სოლიდიურ სოციალურ პაკეტს სთავაზობს.

იანვარ-თებერვალში ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებისთვის 146 959 ლარი დაიხარჯა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ხელმძღვანელობს პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა სოციალური პირობების შემსუბუქებას. ყოველთვიური დახმარების გაწევა ხდება სხვადასხვა კატეგორიისა და დაავადებების მქონე მოქალაქეებზე.

იანვარ-თებერვალში ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა 309 ბენეფიციარმა. დახმარების ოდენობამ შეადგინა 33 800 ლარი.

სამკურნალოდ თანხა გადაერიცხა 92 ბენეფიციარს, ჯამში 74 913 ლარი.

შეძენილია 27 366 ლარის ოდენობის მედიკამენტი 60 ბენეფიციარისთვის.

სოციალურად დაუცველი ოჯახების 2 წლამდე ბავშვთა კვების თანხა გადაერიცხა 19 ბენეფიციარს, ჯამში 2 980 ლარი.

„ლოგომედის“ მომსახურება იანვარ-თებერვალში გაეწია 10 ბენეფიციარს 7 500 ლარის ოდენობით.

თებერვალში უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფილია 4 ბენეფიციარი, თითოეული 100 ლარის ოდენობით.

# ჩემი განსაკუთრებულად უკიდურესი ქალაქი, რომელიც ორ განზომილებაში ცხოვრობს

უკიდურესობა – ლექსიკონში ასეა განმარტებული – მეტისმეტობა, უსაზღვროობა... თუმცა, არც ერთ ლექსიკონში არაა ნათქვამი რამე იმის შესახებ, კარგია ეს უკიდურესობა, ცუდია, საჭიროა, მისაღებია თუ გასაკიცხი. არც მე ვიცი, მაგრამ, სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რომ იმ ქალაქში ვცხოვრობ, რომელშიც მეტისმეტობა და უსაზღვროობა ის მცნებებია, რომლებიც მოდიდან არასოდეს გადადის... დრო იცვლება და რა თქმა უნდა, ღირებულებებიც იცვლება, იცვლება აღფრთოვანების ობიექტები, იცვლება ფრაზები, მაგალითად, ნაცვლად რა პონტია, იცი? – ახლა ვამბობთ – რა თემაა, იცი? – ერთადერთი, რაც უცვლელია – ესაა დამოკიდებულება, რომელსაც ისევ და ისევ არ აქვს საზღვარი...

ჩვენ განსაკუთრებულად უკიდურესები ვართ, მარტო ჩვენ შეგვიძლია 30 კვ.მ.-ში 6 სულმა ვიცხოვროთ, 5 ბანკის ვალი გვქონდეს (ნუ, ვივუსს უკვე აღარც ვიხდით, იმიტომ რომ, ვერ გვჭამს ფეხებს ეს ვივუსი და რა ძალაა) და ოჯახის სამ წევრს მანქანა გვყავდეს.

მარტო ჩვენს ქალაქში შეხვდებით ამდენ გაჭირვებულ, უმუშევარ ადამიანს და ამდენ აიფონს... იცოდით, რომ საქართველომ აიფონების გაყიდვების რიცხვით ევროპის ქვეყნებს გადაუსწრო, ჰო, ჩვენმა გაჭირვებულ-შეჭირვებულმა საქართველომ... მაგრამ, ჩვენ ხომ განსაკუთრებულად უკიდურესები ვართ.. ისევ და ისევ, მარტო აქ ნახავთ ამდენ მოწყენილ, ცხოვრებაზე გაბრაზებულ, დაბალ ხელფასზე მოწუწუნე ადამიანებს და ამავე დროს უამრავ, უთვალავ რესტორანს, რომელიც მუდამ გადაჭედილია ხალხით, რომელშიც მუდამ ბოლო ზმანზე ქართველები ვსხედვართ და ვჭამთ, ვჭამთ იქამდე, სანამ სუნთქვა არ შეგვეკვრება, ვცეკვავთ, როგორც შეგვიძლია კი არა, ვისთანაც შეგვიძლია და სასმელს, რომელიც რესტორანში ხუთჯერ, ათჯერ უფრო ძვირი ღირს დილამდე ვსვამთ, რასაც ვერ ვსვამთ თავზე ვისხამთ... ზმანზე გამახსენდა – ჩვენ შეგვიძლია, დღეში ხუთჯერ ვახსენოთ ჩვენი ტანისამოსის ბრენდი ან ფასი, ისე რა, სხვათა შორის. თითქოს საუბარს მოყვა, ან მოულოდნელად – უპს, წამოგვცდა და მერე სიგარეტი ვთხოვოთ თანამოსაუბრეს... მარტო ჩვენ შეგვიძლია, საყვარელს ყველა ერთად გატარებული ღამის შემდეგ ახალი ზმანი ვაყიდინოთ და თავი ნაშა არ გვეგონოს... ჩვენ ისიც შეგვიძლია, ყოველდღიურად „როტმანსს" ვეწეოდეთ და პაემანზე „მარლბოროს" ,ან „სობრანიეს", მაგრამ ეს წვრილმანია...

მხოლოდ საქართველოში ვუწოდებთ კათოლიკოს–პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს, სხვა მართლმადიდებულურ ქვეყნებში პატრიარქს ან უწმინდესად მოიხსენიებენ, ან უნეტარესად, ჩვენ განსაკუთრებულად მართლმადიდებლები ვართ, ალბათ, ჰო? თუ არა? – და ესეც უბრალოდ უკიდურესობაა? თბილისში დღეს სამი რეალობაა ამ კუთხით, პირველი და ძალიან მცირე ოდენობით, ის ადამიანები, რომლებიც არ შედიან მეორე და მესამე დაჯგუფებაში, მეორე ნაწილი – აი, სლიშკამ ტაკოი გოგოჩო-ბოგჩოები, აი, ისეთ სამსახურებში რომ მუშაობენ, სადაც წესით ერუდირებული და განათლებული ადამიანი უნდა მუშაობდეს და ამიტომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე კი არა და „არმანის" და გუჩის" უკანასკნელ ნაფლეთამდე ცდილობენ, რომ განათლებულნი და ერუდირებულნი გამოჩნდნენ. ამბობენ, რომ უფალი სწამთ, ათ მცნებასაც იცავენ, ოღონდ ეკლესიაში არ დადიან და მამაო არ ჰყავთ., თუმცა აუცილებლად ჰყავთ სამეგობროში მამაო, რომელიც ყოფილი კლასელი ან უბნელია, რომელიც ძალიან პატიოსანი და ჯიგარია... დაბოლოს, მესამე ნაწილი, ადამიანები, რომლებიც მარხულობენ, წირვას ესწრებიან, ყოველ დილით და საღამოს ლოცულობენ და ეკლესიიდან გამოსულნი ლოცვისგან ძალა შეძენილნი განიკითხავენ, განიკითხავენ ყველას, მრევლს, მეზობელს, მეზობლის შვილს, ნათესავს, პოლიტიკოსს, მეეზოვეს, რა მნიშვნელობა აქვს, ყველას, ვინც ულმერთოდ მოეჩვენებათ, ყველას, ვისი რწმენის დამადასტურებელი საბუთიც მათთვის ცნობილი არ იქნება, ყველას, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, განსაკუთრებულად ხმამაღლა, რა თქმა უნდა, იმ მეორე ნაწილს განიკითხავენ, რომელბსაც, მათი აზრით, ღმერთი არ სწამთ, რომლებსაც, რა აცვიათ კი არადა, თუ აცვიათ, ვერ გაუგიათ, რომლებიც მარხვაში სვამენ, ელექტრონული პირადობის მოწმობა აქვთ, ის ეშმაკეული პირადობის მოწმობა და მგონი, მართლა სწამთ, რომ მხოლოდ ამ ადამიანთა დასასჯელად მოგვევლინება წარღვნა... თუმცა, არის რაღაც, რაც ბოლო ორ ნაწილს საერთო აქვთ, ეს არის facebook-ზე გამოფენი;ლი წმინდანების ხატები ან გამონათქვამები წარწერით – „50 მოწონება ამას, ან „მოწონება", ან „მოიწონეთ და უფალი შეგეწევათ"... არ მესმის, ვინ უნდა მიკარნახოს რა მოვიწონო და მერამდენე ვიყო რიგში, 49-ე თუ 51-ე, თუ ხატის გაზიარებას მოვერიდები, ამიტომ ცუდი მართლმადიდებელი რატომ ვარ? ან რატომ უნდა გავიზიარო ავადმყოფი ბავშვის ფოტო, რომლისთისაც 1 ლარიც არ გადამირიცხავს? ან და ან... ასე უსასრულოდ....




მას შემდეგ, რაც ფაცებოოკ შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, უმეტესობა ორი ცხოვრებით ვცხოვრობთ, ერთი ჩვეულებრივი და მეორე facebook-ცხოვრებით და ზოგჯერ თავად გვეერევა, რომელი უფრო რეალურია... ალბათ, მაინც ფაცებოოკ-ი, რადგან აქ ვიღიმებით და ვტირით, აქ „ვგრძნობთ თავს ბედნიერად", ვითვლით მოწონებებს, ვკითხულობთ კომენტარებს, ვდებთ სტატუსებს დაბადების დღეზე, საკუთარ დაბადების დღეზე, ვხსნით ფაცებოოკ-ს, რომ ვნახოთ, გამორჩა ვინმეს მოლოცვა თუ არა, დაგვიდეს გახსნილი შამპანიურები და ყვავილები თუ არა... ფაცებოოკ-ზე ჩვენ ყველას გვიყვარს ცხოველები და პატარა ბავშვი, აქ ვდებთ ტესტების პასუხებს, სადაც წერია, როგორი კარგები და საყვარლები ვართ და დაე, ყველამ იცოდეს... ვაზიარებთ და ვიწონებთ ყველა გაჭირვებული ავადმყოფის ფოტოს, (რა არის მოსაწონი სხვის უბედურებაში ვერ ვხვდები, მაგრამ როგორც დიდი კოხორა იტყოდა: მე ვარ, ალბათ, დებილი) აქ ყველას კარგი შვილები გვყავს და ყველანი კარგი შვილები ვართ... ნუ, ყველანი არაცნობადები, თორემ თუ ვინმე ცნობადი სახე გამოგვერია? მტერს და ავს... ფაცებოოკ-ი საშუალებას გვაძლევს ვიკითხოთ აუარება ბრძნული გამონათქვამი და გავაზიაროთ, უფრო სწორად, ამოვარჩიოთ და გავაზიაროთ ის ბრძნული გამონათქვამი, რომლის ადრესატიც ის ერთი ადამიანია, ვისთვისაც რამის თქმა გვინდა, პირადად გვერიდება და ამაზე ლამაზად და პრინციპში, ამაზე საქვეყნოდაც ვერც ვეტყოდით... ისიც წაიკითხავს, მიხვდება, ან შეიმჩნევს და საპასუხოდ „გამონათქვამს" დაპოსტავს, ან არ შეიმჩნევს... რაც შეეხება ფოტოებს, მარტო საქართელოში ვიღებს სელფებს არა ემოციის გამოსახატავად, არამედ ვიღაცისთვის ან რაღაცისთვის... მინახავს, როგორ ულებდა დედა ფოტოს ორ შვილს, შვილები ფანტანში (ჰო!) დააყენა და პოზირებას აიძულებდა, თან გამომეტყველებას უწუნებდა, საკმარისად ბედნიერად არ გამოიყურებითო, ერთმა პატარამ ამოილუღლუღა: – დედა, წყალი ჩაგვდის პირშიო, დედამ: – არა უშავს, გადაყლაპეთ, ეს იგივე წყალია, რაც ონკანიდან მოდის და გაიღიმეთო... მერე ამ ფოტოებს ატვირთავდა წარწერით: ჩემი ცელქებიიიი... ჩემს მეგობარს კი უნახავს, როგორ მივიდა გოგო რესტორანში სხვის მაგიდასთან და სელფი გადაიღო... სუშთან.

ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელთაც, რომ გკითხო, არაფერი გვიკვირს, მაგრამ, სინამდვილეში, ყველაფერი გვიკვირს, ცუდად აცვია – გვიკვირს, კარგად აცვია – გვიკვირს, სუსტია – გვიკვირს, მსუქანია – გვიკვირს, ღარიბია – გვიკვირს, მდიდარიც გვიკვირს, უსექსობა ხომ გვიკვირს და გვიკვირს. გვიკვირს, ვინ უყურებს „ნანუკას შოუს", „მაია ასათიანის „პროფილს", „გია ჯაჯანიძის შოუს", მაგრამ ყველამ ვიცით, ვინ არის „ნანუკას შოუს" როსტო, რომელ არხზე და საათზე გადის ასათიანის „პროფილი" და რა ეცვა ჯაჯანიძეს... გვიკვირს და სასაცილოდ არ გვყოფნის ამდენი სულელური სერიალი, ნუთუ მათ ვინმე უყურებს? მაგრამ ორიოდე თვის წინ ფაცებოოკ-ზე რომ გულმხურვალედ მოსთქვამდნენ – იჩა გარდაიცვალაო, რატომღაც არ გაგვკვირვებია....



და მეც მიკვირს, ვარსკვლავებიან ცაზე მეტადაც კი მიკვირს ჩვენი შესაძლებლობები ასე უსაზღვროდ, უკიდეგანად გავკიცხოთ, დავამციროთ, დავცინოთ, სისულელებზე ვხარჯოთ დრო. ვიჭორაოთ და გვიკვირდეს თან, ვინ აკეთებს ყველაფერ ამას.... ბოლმა გვჭამს ყველაფერზე, სულ ერთია: ლამაზია? ჰმ, იქნება, რატო არა, რა აქვს დარდი... უშნოა? რას გავს, ქალმა როგორ ვერ უნდა მოძებნმოს დრო თავის მისახედად. მექორწილეებმა სანაპიროზე მანქანა გააჩერეს და იცეკვესო??? სამი დღე ვერ დამშვიდდნენ ფაცებოოკ-ის მაცხოვრებლები – ვიღაცას ცეკვა არ მოსწონდა, ვიღაცას მუსიკა, ვიღაცას მოცეკვავეები, ვიღაცას საცეკვაო ადგილი....

არც ეს ჩემი ნაწერი მოეწონება ბევრს, მაგრამ, ალბათ, არ შეიმჩნევენ, ვინ აღიარებს მე გადავიღე მეზობლის მაგიდასთან სელფი სუშთან ხელგადახვეულმაო, ან იჩას მე დავსტიროდიო... და რომ შეიმჩნიონ – უკვე გავითავისე, მთავარი ის კი არ ყოფილა, რას ფიქრობ, მთავარი გამბედაობა ყოფილა – რამდენად შეგიძლია ის თქვა, რასაც ფიქრობ... ამიტომ, გაბედულად გთავაზობთ „ქართული უკიდურესობის" განმარტებას – ეს არის მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი ფიქრობს ერთს, ისე თავისთვის, უმნიშვნელოდ, ამბობს მეორეს – ვინმესთვის თავის მოსაწონებლად და აკეთებს მესამეს – ვინმეს ჯიბრზე...

**თამო კეშელავა**

# სჰკ „კათარზისის“ 2015 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, ფინანსური ანგარიში და ბალანსი

## პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ის, რითაც ჩვენ ყოველდღიურად ვართ დაკავებული, ანუ სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.

## სისტემატიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, წინასწარი სამედიცინო დათვალიერების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, სოციალური ქსელების სამსახური, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, ხანდაზმულთა ხალხური, კლასიკური და საესტრადო გუნდები, აგრეთვე ინვალიდთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებგვერდზე, მისამართზე: ჩატჰარსის.გე

სამადლო სასადილო თბილისში ყოველდღიურად 310 ადამიანს ემსახურება; 14 ხანდაზმული ქალბატონი თავშესაფარშია განთავსებული; 23 მწოლიარეს ყოველთვიურად მიეწოდება ბინაზე მშრალი პროდუქტები; 170 გაჭირვებულს წელიწადში ორჯერ (საშობაოდ და სააღდგომოდ) მიეწოდებათ მოცულობითი დახმარება პროდუქტებით.

უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს სასადილოს მომსახურებით, აგრეთვე სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს.

მუშაობს ნოსტალგიის თეატრი.

ტანსაცმლის შეკეთების სამსახური მარტივ საქმეებზეა ორიენტირებული, რაც ძირითადად ხანდაზმულ მამაკაცებს სჭირდებათ, რომლებიც ქალურ მზრუნველობას მოკლებულნი არიან.

ჩვენი სამლოცველო მოხატულია თანამედროვე ხატმწერების მერაბ ჩაკვეტაძისა და დავით ხიდაშელის მიერ.

„კათარზისში“ გახსნილია ქალთა თავშესაფარი მათთვის, ვისაც არსად წასასვლელი არა აქვს. დღეისათვის გვყავს 14 ხანდაზმული. მათი სამჯერადი კვება, საექიმო თუ ყველა სხვა მომსახურება, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი სამსახური „კათარზისში“, უფასოა.

## პროექტები:

### „წლის ბებია-ბაბუა – 2015“

2015 წლის 5 იანვარს, ჩატარდა ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიასა“ და „ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად. ხანდაზმულები, რომლებმაც გაიარეს შესარჩევი ტური, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ცეკვასა და სიმღერაში.

ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები; წლის „ბებია-2015“ გახდა ნანული პაპიაშვილი, ხოლო „ბაბუა-2015“ - ზურაბ გოგიძე. კონკურსში გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადაეცათ ფულადი პრემიები და საჩუქრები.

ღონისძიებას თვალყურს ადევნებდა „კათარზისში“ მოსული ყველა მსურველი მათთვის სპეციალურად მოწყობილ მონიტორებზე.

### „სადილი ყველას“

გრძელდება პროექტი „სადილი ყველას“. პროექტის მიზანია დავაპუროთ ყველა ის ადამიანი, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა. ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ტრანსპარანტი წარწერით „სადილი ყველას“, რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2015 წლის პირველი ასეთი აქცია ჩატარდა 7 იანვარს. საშობაო ღონისძიების სპონსორი იყო ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“. ამავე კომპანიის სპონსორობით გაჭირვებული მოსახლეობა დაპურდა სააღდგომოდ - 12 აპრილს და საკუთარი ორგანიზაციის დაბადების დღეს - 14 ნოემბერს.

14 იანვარს უქონელი თბილისელების მასპინძელი გახლდათ შპს „ტექნოჰაუსი“, ხოლო 19 იანვარს, „ნათლისღების“ და 28 აგვისტოს, „მარიამობის“ სადღესასწაულო აქციები დააფინანსა „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერმა“.

პროექტის სპონსორი 12 ივლისს იყო „საქართველოს რკინიგზა“.



### „შეეწიეთ უპოვართ

მთელი წლის განმავლობაში კვლავ მიმდინარეობდა პროექტი „შეეწიეთ უპოვართ“, რომელიც „კათარზისის“ 310 ბენეფიციარისათვის უფასო სადილის დაფინანსებას ითვალისწინებს. ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით სპონსორის სურვილის შესაბამისად ხორციელდებოდა 1 დღიანი (385 ლ.), 2 დღიანი (770 ლ.) დ ა. შ. ხანგრძლივობის პროექტები, რაც ჩვენი ხანდაზმულების სადილებს ნოყიერს, კალორიულს და გემრიელს ხდის.

### იუბილეები

კვლავ განვაგრძობთ ხანდაზმულთათვის იუბილეების აღნიშვნას. ყველა მოხუცს, რომელსაც მრგვალი თარიღი უსრულდება, ვუწყობთ სამახსოვრო საღამოს და ვასაჩუქრებთ ფულადი პრემიით - 100 ლარის ოდენობით.

### სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი

სარეაბილიტაციო-სავარჯოშო დარბაზი, უაღრესად მნიშვნელოვანი სამსახურია ხანდაზმულებისათვის, როგორც სხვადასხვა დაავადებების პრევენციის, ისე უკვე გადატანილი მძიმე დაავადებების: ინფაქტის, ინსულტის, ხერხემლის პათოლოგიების და ა.შ. რეაბილიტაციისთვის, რისი ფინანსური შესაძლებლობა მოსახლეობის ამ კატეგორიას არ გააჩნია და არც ერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული. კვალიფიციური სპეციალისტი ურჩევს ხანდაზმულებს მათი ჯანმრთელობისათვის შესატყვის ვარჯიშებს, ხოლო სათნოების ძმები ეხმარებიან მათ ამ რეკომენდაციების სწორად განხორციელებაში.

### კაფე

კაფის სახით გვაქვს ბენეფიციარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი და სასურველი ადგილი - მას ყოველდღიურად 230-მდე ხანდახმული სტუმრობს. ვინაიდან 310-ზე მეტი ადამიანი მთელ დღეს ჩვენთან ატარებს, მათთვის კაფე თავშეყრისა და დასვენების ისეთი ადგილად იქცა, სადაც შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, აღნიშნონ დაბადების დღეები და სხვადასხვა დღესასწაულები, მოუსმინონ მუსიკას, გამართონ შეხვედრები, მიიღონ სტუმრები და ა.შ.

### კონცერტები და სპექტაკლები

2015 წელს „კათარზისის“ ხანდაზმულთა ნოსტალგიის თეატრი სისტემატიურად სთავაზობდა მაყურებლს სპექტაკლებს (შიდას და გასვლითს, სულ 30-ჯერ): „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ხანუმა“, „გამოკეტილი ჭიშკარი“). ჩატარდა ექვსი პოეზიის საღამო, ორი კლასიკური მუსიკის კონცერტი. კვლავინდებურად საკონცერტო ღონისძიებებით აღვნიშნავდით დღესასწაულებს.

„კათარზისს“ ეწვივნენ და ჩვენს ბენეფიციარებს საკონცერტო პროგრამები შესთავაზეს თბილისის მე-24-ე, 207-ე, 53-ე და სხვა სკოლების მოსწავლეებმა. ჩვენს ბენეფიციარებს იწვევდნენ სპექტაკლებსა და კონცერტებზე; ილებდნენ სერიალებსა და ფილმებში.

### სამლოცველოში

„კათარზისის“ სამლოცველოში ორ კვირაში ერთხელ ტარდება ლოცვა, რომელსაც უძღვებიან მამა დავითი (გელა თავაძე) და მამა ლევანი (ლევან ალადაშვილი). აღსანიშნავია, რომ სანთელს სუფთაA ცვილისაგან ჩვენი ორგანიზაციის სასანთლეში ვამზადებთ.

### სოციალური ქსელები

ამ სამსახურს თავისი მუდმივი მომხმარებელი ჰყავს. გარდა ამისა, ნებისმიერ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტ-სივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით და ა.შ. ამ სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც გარდა სწავლებისა, პრაქტიკულადაც ეხმარება ხანდაზმულებს და თვალყურს ადევნებს მიმდინარე პროცესებს.

### რელაქსაციის ოთახი

ეს არის ადგილი უდიდესი, ულამაზესი გალიით, სადაც ერთი წლის წინ 40 ამადინი (ფრინველის სახელწოდება) ბინადრობდა, ხოლო დღეისთვის მათი რიცხვი 60-ს გადაცდა. მათი ჟღურტული სიმშვიდისა და განტვირთვისათვის საუკეთესო გარემოს ქმნის.

### მოსკოვის გამზირის დროებითი თავშესაფარი (კარვები)

2013 წლის 15 დეკემბრიდან „კათარზისი“ ჩართული იყო ქ. თბილისში ზამთრის პერიოდში მიუსაფარი პირების დახმარების მიზნით მიმდინარე სამთავრობო პროექტში. „კათარზისი“ მოსკოვის გამზირის მიმდებარედ მოწყობილ 21 კარავში განთავსებულ 200-ზე მეტ ბენეფიციარს უზრუნველყოფდა ორჯერადი კვებით, საყოფაცხოვრებო და პირადი ჰიგიენის ნივთებით. პროექტი დასრულდა 2015 წლის 28 დეკემბერს.

# მიიღეთ ჯანსაღი საკვები, გაიძლიერეთ იმუნიტეტი და გაზაფხულის მოსვლა ნუ შეგაშინებთ!



## ქრონიკული დაავადებების საგაზაფხულო გამწვავება და მათი პროფილაქტიკა

**გაზაფხულზე ქრონიკული დაავადებების გამწვავებისგან არავინ არის დაზღეული, მაგრამ თუ სწორ პროფილაქტიკას ჩავიტარებთ, შევძლებთ სეზონური გამწვავებების მინიმუმამდე დაყვანას და ზოგიერთ შემთხვევაში, მათ თავიდან აცილებასაც კი.**

### ავიტამინოზი

გაზაფხულის მოსვლის სიხარულთან ერთად ბევრი ადამიანი გრძნობს ვიტამინებისა და მიკროელემენტების ნაკლებობას. ამის შედეგია მუდმივი დაღლილობა და ძილიანობა. ფრჩხილები სუსტი და მტვრევადია, თმა – უფერული და უსიცოცხლო. ავიტამინოზს ახლავს ცუდი განწყობა, სტრესი და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ცუდი მუშაობა.

**ავიტამინოზის პროფილაქტიკა**

ამ უსიამოვნების საუკეთესო პროფილაქტიკა მთელი წლის განმავლობაში ბალანსირებული კვებაა. მარტში კი მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინოთ და უარი თქვათ დაკონსერვებულ პროდუქტებზე და გამოიყენოთ მათი ახალი ანალოგები.

ამ პერიოდში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბოლოკის, მწვანე სალათის, მწვანე ხახვის, ოხრახუშის და სხვა სახის მწვანილის მიღება. ჩაანაცვლეთ ცხოველური ცილები მცენარეულით.

დიეტოლოგები ასევე გვირჩევენ, სხვადასხვა ბალახეული ჩაის და ასკილის ნაყენის მიღებას. ხოლო თუ ავიტამინოზმა ძალზე დაგასუსტათ, ჯობს ექიმთან გაიაროთ კონსულტაცია და ჩაიტაროთ ვიტამინოთერაპია.

### საჭმლის გადამამუშავებელი სისტემის დაავადებები

იმის მიზეზი, თუ რატომ უმწვავდებათ კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებები ადამიანებს, მედიცინისთვის ზუსტად ცნობილი არ არის. მიუხედავად ამისა, სწორედ კუჭის წყლულოვანი დაავადებაა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საგაზაფხულო უსიამოვნებებს შორის.

ზამთრის პერიოდიდან გაზაფხულზე გადასვლა მათთვის, ვისაც წყლულოვანი დაავადებები აწუხებს, უფრო რთულია, რადგან ზამთარში არასწორი კვება, გაზაფხულის მოსვლასთან ერთად კი უფრო მეტი სასარგებლო პროდუქტის მიღებაზე გადასვლა ორგანიზმს ძალიან უჭირს და ორგანიზმი წინააღმდეგობას გვიწევს მენიუს მკვეთრად შეცვლის გამო. შედეგად კი თამაშში ფსიქოლოგიური ფაქტორები ებმება – გაზაფხულის პირველ კვირეებში ბევრი ადამიანი არაადეკვატურად იქცევა. ეს კი ნერვულ აშლილობებში ვლინდება.

**წყლულოვანი დაავადების პროფილაქტიკა**

პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანესი მომენტი ბალანსირებული კვების დიეტის დაცვაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი სტრესს და უსიამოვნებებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისა და აშლილობისკენ მივყავართ.

საკვები უნდა იყოს და შეიცავდეს აუცილებელ ვიტამინებსა და ელემენტებს. უარი თქვით მწარე საკვებზე და მარინადებზე, არ მიიღოთ ძალიან ცივი და ცხელი საკვები.

აუცილებლად დაიწყეთ გაზაფხულზე კვების რეჟიმის დაცვა: უნდა იკვებოთ დღეში ოთხ-ხუთჯერ მცირე ულუფებით. გამწვავების პერიოდში უარი თქვით მუქ ჩაიზე, ყავასა და ალკოჰოლზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს ორგანიზმის გაწმენდა პარაზიტებისგან. ზოგჯერ კუჭ-ნაწლავის გაწმენდა საკმარისია იმისთვის, რომ თავი უკეთესად იგრძნოთ.



### პიელონეფრიტი და ცისტიტი

გაზაფხულის მოსვლასთან ერთად ექიმები აღნიშნავენ, რომ პაციენტთა რაოდენობა მატულობს ისეთი დაავადებებით, როგორიცაა ცისტიტი და პიელონეფრიტი.

რატომ მაინცდამაინც გაზაფხულზე?

მიზეზი უბრალოა – ბანალური ორგანიზმის გადაციება. ბევრი ადამიანი, ოდნავ დათბება თუ არა, მაშინვე იხდის თბილ სამოსსა და ფეხსაცმელს, ამის დამღუპველ შედეგებზე კი ცოტა ვინმე თუ ფიქრობს.

გაციების გარდა ამ პრობლემების გაჩენის პრობლემა შეიძლება გახდეს ასევე ინფექციები და პირადი ჰიგიენის არასწორი დაცვა, თუ საუბარია ცისტიტზე.

**პიელონეფრიტის პროფილაქტიკა**

ამ პრობლემებისგან თავის დაცვის მიზნით ექიმები გვირჩევენ, თბილად ჩავიცვათ. პროფილაქტიკის მიზნით რეკომენდებულია სამკურნალო მცენარეების ნახარშისა და ანთების საწინააღმდებო საშუალებების მიღება.

გაუფრთხილდით საკუთარ ჯანმრთელობას, თუ ცისტიტს დროულად არ იმკურნალებთ, ის ქრონიკულში გადაიზრდება. ბაქტერიები შარდის ბუშტიდან მთელ ორგანიზმში გადავლენ, მათ შორის, თირკმელებშიც.

### გრიპი და გაციებები

ზამთარი უკან დარჩა, მაგრამ გრიპის და გაციების რისკი კვლავ იზრდება. ამის მიზეზი ცვალებადი ამინდი, მომატებული ტენიანობა და დასუსტებული იმუნიტეტია.

ყველაფერი ეს კი დაავადებულთან ხანმოკლე კონტაქტსაც კი დასნებოვნების საფრთხედ აქცევს. გაზაფხული იდეალური დროა ბრონქული და იმუნური ხასიათის დაავადებებისთვის.

**გაციების საწინააღმდეგო ღონისძიებები**

დაავადებების თავიდან აცილების ყველაზე საუკეთესო საშუალება დაბალანსებული კვება, ვიტამინები და ანტივირუსული პრეპარატების მიღებაა.

ნუ დაივიწყებთ პირად ჰიგიენასაც: ხშირად დაიბანეთ ხელები, სახლში კი იატაკი სველი ტილოთი მოწმინდეთ და შენობა ხშირად გაანიავეთ.

საუკეთესო ეფექტი გააჩნია არომათერაპიას, რომელიც ეხმარება ორგანიზმს თავი დაიცვას გრიპისა და მწვავე რესპირატორული დაავადებებისგან. გამოიყენეთ ნაძვის, გვირილის, ბერგამოტისა და ჩაის ხის ეთერზეთები.

### საგაზაფხულო კატარი

ბევრი ადამიანისთვის გაზაფხული მარტო თბილი მზე კი არა, არამედ ქუთუთოსა და თვალის კონიუნქტივიტია, რომელსაც ასევე საგაზაფხულო კატარს უწოდებენ. სიმპტომები ამგვარია: ანთება, ცრემლის დენა და თვალის გამოხატული სიწითლე. შესაძლოა ზედა ქუთუთოზე ვარდისფერ-რძისფერი მყარი წარმონაქმნის გაჩენაც. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მიმართოთ ოფთალმოლოგს.

**კატარის პროფილაქტიკა**

იმ ადამიანებმა, ვისაც კატარი სეზონურად ემართებათ, უნდა მიიღონ ანტიალერგიული პრეპარატები, რომლებსაც ექიმი-ოფთალმოლოგი დაუნიშნავთ. პრეპარატების მოქმედება შეამცირებს დაავადების რისკს, ზოგ შემთხვევაში კი თავიდან აგაცილებთ კიდეც მას.

### დეპრესია და სტრესი

ხანგრძლივი ზამთარი, გაციებები და ზედმეტი წონა ორგანიზმის სასუსტების მიზეზი ხდება. მარტში ძალები თითქმის აღარ გვაქვს და ამიტომ ბევრი ჩვენგანს იპყრობს აპათია და ადვილად ღიზიანდება, რაც სტრესსა და ხანგრძლივ დეპრესიაში გადაიზრდება ხოლმე.

**სტრესის პროფილაქტიკა**

ღრმა დეპრესია რომ არ დაგემართოთ, სასიამოვნო ფიზიკურ დატვირთვებს მიმართეთ. ამ დროს ორგანიზმი სიხარულის ჰორმონს – ენდორფინს გამოიმუშავებს.

ეს რჩევა განსაკუთრებით აქტუალურია მათთვის, ვინც ოფისში მუშაობს და მათთვისაც, ვინც ნაკლებად არის დაკავებული ფიზიკური აქტივობებით. იმ ადამიანებს კი, ვინც ადვილად აღეგზნება, რეკომენდებულია დამამშვიდებელი მცენარეების, მაგალითად, ჩაიში პიტნის გამოყენება.

### რამდენიმე ხალხური რეცეპტი ავიტამინოზის სამკურნალოდ

ავიტამინოზის სამკურნალოდ მიიღეთ დღეში რამდენიმე კბილი ნიორი. ვიტამინების ნაკლებობის აღმოსაფხვრელად და იმუნიტეტის გასაძლიერებლად მიიღეთ მულტივიტამინური მასა. აიღეთ თანაბარი რაოდენობით კურაგა, ლიმნის და შტოშის წვენი, ქიშმიში და ნიგოზი. დაუმატეთ 200 გრ თაფლი. ნარევი მიიღეთ დღეში ერთხელ სუფრის კოვზით. სასარგებლოა ავიტამინოზის დროს ასკილის ნაყოფის ნაყენის მიღება. აიღეთ 5 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ასკილის ნაყოფი, დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ დაბალ ცეცხლზე 10 წუთის განმავლობაში. გადმოდგით ცეცხლიდან, გააჩერეთ 8 საათი და მიიღეთ დღის განმავლობაში ჩაის ნაცვლად.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 908 122

# სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის განცხადება



მინდა გამოვეხმაურო ბოლო პერიოდში ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების და გარკვეული მედიასაშუალებების მხრიდან მიზანმიმართულად გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას, თითქოს მე, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ჩემს ახლო ნათესავებთან ერთად ჩართული ვარ თხილის ბიზნესში და ვახდენ აფხაზეთიდან თხილის გადმოტანას.

ცალსახად აღვნიშნავ, რომ ეს არის მიზანმიმართული სიცრუე, რაც მიზნად ისახავს ჩემი, როგორც გუბერნატორის საქმიანი იმიჯის შელახვას, რასაც გარკვეული პოლიტიკური ძალები წინასაარჩევნოდ იყენებენ. მსგავს თემებზე აპელირების დროს პოლიტიკური ძალები და მედია ახდენს ცრუ ინფორმაციის ტირაჟირებას, არ აქვთ ფაქტები, წყაროები და ხდება მხოლოდ იმის გაჟღერება რაც ოპონენტი პარტიების სურვილია.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არც მე, არც ჩემი ძმა და არც სხვა ნათესავები ჩართული არ ვართ თხილის ბიზნესში და არც 12 მარტის გადაცემა „ბიზნეს-კურიერში" ნახსენებ ზუგდიდის ბაზრის ე.წ. ბიზნეს-ინტერესებში. აქვე აღვნიშნავ, რომ სიუჟეტში ნეპოტიზმთან დაკავშირებით გაკეთებული აქცენტები, შეიცავდა მხოლოდ ბრალდებებს და იყო სიცრუე.

ჟურნალისტს, როგორც ნეპოტიზმის, ასევე საკოლმეურნეო ბაზრის და თხილის საკითხის განხილვის დროს არ მოუყვანია მეორე მხარის პოზიცია. ჟურნალისტი ტელეფონით დამიკავშირდა და საქმიან შეხვედრაზე ყოფნის გამო პრესსამსახურთან გადავამისამართე, თუმცა ამის შემდეგ თემის გარკვევა ჟურნალისტს არც პრესსამსახურთან და არც ჩემთან უცდია. სიუჟეტში მოხდა მხოლოდ ერთი პარტიის ინტერესის გატარება და რეალურად არ მომხდარა სიმართლის გამოკვლევა. ჟურნალისტმა არ სცა პატივი სიმართლეს, არ გამოიკვლია ის, არ გადაამოწმა ფაქტები, ენდო მხოლოდ ერთ პოლიტიკურ პარტიას და დაიცვა მისი ინტერესები.

გადაცემა „ბიზნეს-კურიერში" გასული ცალმხრივი და მიკერძოებული სიუჟეტის გამო მივმართავთ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, რადგან მიგვაჩნია, რომ დაირღვა ქარტიის პირველი მუხლი- „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია."

რაც შეეხება თხილის ბიზნესს და მონოპოლიას, საბედნიეროდ, საქართველოში დასრულდა დრო, როდესაც ცალკეული პოლიტიკური ფიგურები და მაღალი თანამდებობის პირები ახდენდნენ ბიზნესის მონოპოლიას. ყველას კარგად გვახსოვს, რომ 2012 წლამდე თხილის ფასს რეგიონში ყოფილი პრეზიდენტის ძმის ქარხანა არეგულირებდა (თხილის ფასი ამ პერიოდში 3-4 ლარს არ ცდებოდა). ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე წელს კი ერთი კილოგრამი თხილის ფასმა ისტორიულ ნიშნულს — 14 ლარს მიაღწია, საბედნიეროდ, დღეს თხილის ფასს განსაზღვრავენ არა ცალკეული თანამდებობის პირები და მათი ახლობლები, არამედ განსაზღვრავს ბაზარი და მისი მოთხოვნები.

**ლევან შონია**
სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი

---

**რედაქციისაგან: „ბიზნესკურიერის" იმ გადაცემაში, რომელზეც ბატონი ლევან შონია საუბრობს, გარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორისა, სხვებიც იყვნენ „მხილებულნი" სხვადასხვა სახის „ცოდვებსა" და ნეპოტიზმში.**

**გადაცემის ავტორებს ამ საერთოდ არ ესმით ნეპოტიზმის არსი და მნიშვნელობა, ან ძალად ისულელებენ თავს.**

**ყვავი ჩხიკვის მამიდაო, — იტყვიან საქართველოში.**

**როგორ შეიძლება ყველა ყვავი ჩხიკვის მამიდა ნათესავად მონათლო და მათი დანიშვნა თუნდაც უმნიშვნელო თანამდებობაზე დანაშაულად და ნეპოტიზმად ჩაუთვალო ამა თუ იმ პასუხისმგებელ პირს?**

**ყვავი ჩხიკვის მამიდებს თავი დავანებოთ, გადაცემაში ერთ-ერთი პირის მაღალჩინოსანთან „ნათესაობის" დასტურად სიტყვა მეგობარია მიწერილი. ეს რაღაც ახალი „სტატუსია", რომელიც გადაცემის ავტორების მიერ ნეპოტიზმის რანგშია აყვანილი.**

**თითიდან გამოწოვილი დაუსაბუთებელი ბრალდებებით სავსე ეს გადაცემა კიდევ ერთდელ გვარწმუნებს, რომ „არ გათეთრდების" ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა.**



**„ყორანი" — ბატონი აკაკი გოგიჩაიშვილი ახლაც ის არის, რაც იყო მაშინ, როცა გადაცემა „60 წუთს" აკეთებდა და უამრავ უდანაშაულო ადამიანს სიცოცხლეს უმწარებდა.**

**კაკო გოგიჩაიშვილს, რომელიც რეგიონებში, როგორც ვიცით, დროდადრო გამოჩნდება ხოლმე და ახალ-ახალ საკბილოებს ეძებს საკრიტიკოდ და საინტრიგნოდ, სულ ტყუილად ჰგონია, რომ ქართულ საზოგადოებას ამნეზია დაემართა და მისი ჟურნალისტური ავკაცობის და არაკაცობის ამბები არ ახსოვს...**

**სამართლებრივ სახელმწიფოში, გოგიჩაიშვილისნაირ „ჟურნალისტს" ქვიშით თუ არ გახეხავდნენ, ციხის კედლებს ნამდვილად ახეხინებდნენ, მაგრამ ვინ იყო ამის გამკეთებელი „ნაცმოძრაობის" დროს, რომელიც ხელისუფლებაში გოგიჩაიშვილების და მისნაირების მხრებზე შემოსკუპული მოვიდა.**

**გოგიჩაიშვილზე და მის „გმირულ-ჰეროიკულ" ჟურნალისტურ წარსულზე აუცილებლად გვექნება საუბარი „საერთო გაზეთის" უახლოეს ნომრებში, ახლა კი იმის თქმით დავკმაყოფილდეთ, რომ „ნაცმოძრაობის" პირად ტელევიზიაში, „რუსთავი-2"-ში, რომელიც ტყავიდან ძვრება, რომ ყველაფერი მუქ ფერებში წარმოაჩინოს, თუ ვინმეს აკრიტიკებენ, აგინებენ ან დასცინიან, ის ვიღაც რაღაცით ხელს უშლის „ნაცმოძრაობას", ანუ ქვეყნის ინტერესებს შეძლებისდაგვარად ემსახურება, თორემ ქვეყნის ნამდვილ დამაქცევრებს და მავნებლებს „რუსთავი-2" ყოველთვის ხოტბა–დიდებით მოიხსენიებდა და მოიხსენიებს დღემდე.**

---

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



**— რა ფორმით და რა პირობებით ხდება ჯარიმის, როგორც სასჯელის სახის, გამოყენება ?**

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42–ე მუხლის შინაარსს:

მუხლი 42. ჯარიმა

1. ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი.

2. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.

3. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

4. სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს გადასახდელი ჯარიმის ოდენობა ლარებში.

5. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის.

5[1]. თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

6. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით."

* * *

**— რა წესით ინიშნება გამასწორებელი სამუშაო, როგორ სასჯელი, და როგორია სამართლებრივი შედეგები?**

გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა.

თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

* * *

**— ჩემი ახლობელი სასამართლო წესით გარდაცვლილად გამოცხადდა. მისი მეუღლე გათხოვდა. რამდენიმე წლის წინ ქმარი დაბრუნდა. რა ბედი ელის ქალის ქორწინებას?**

— თუკი განქორწინების შემდეგ, სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე გამოჩნდება,მაშინ გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. ქორწინება შეიძლება აღდგეს მეუღლეთა ერთობლივი განცხადების შეტანით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, ხოლო თუ ისინი სასამართლოს გზით იყვნენ განქორწინებულნი – სასამართლოში. ქორწინების აღდგენა დაუშვებელია, თუკი გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე.

# ხუთი უნიკალური არაჩვეულებრივი სკოლა მსოფლიოში

## ტერასა – სკოლა მიწის ქვეშ

ამ პროექტის ფანტასტიკურობის მიუხედავად, ვირჯინიის შტატში სკოლა ტერასა მიწის ქვეშ მდებარეობს. ეს სასწავლო დაწესებულება უკვე 40 წლისაა და აგებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში. ეს ის პერიოდია, როცა ამერიკას ენერგეტიკული კრიზისი დააწვა და შტატის ხელმძღვანელობამ უფრო ეკონომიური ვერაფერი მოიფიქრა, გარ-



და იმისა, რომ აეგოთ სკოლა, რომელიც თავისით გათბებოდა. ამ მიზნით მიწის ქვეშ ააგეს შენობა და ნაგებობას ზემოდანაც მიწა დააყარეს. იმის გარდა, რომ სიცივეში შენობა სითბოს შეინარჩუნებდა, სიცხეშიც მშვენიერი სიგრილე იდგა.

## ღია სკოლა კოპენჰაგენში

ეს სკოლა ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშად, თუმცა აქ სწავლა სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივი სკოლებისგან. სკოლა საერთოდ არ არის შიგნიდან გადატიხრული. სკოლის შუაგულში ერთი დიდი კიბეა, რომელიც შენობის ერთ მხარეს მეორესთან აკავშირებს. კლასებში რბილი სავარძლები და ტყავის ე. წ. „პუფები“ დგას, აქ ბავშვები ისვენებენ და საშინაო დავალებებს ასრულებენ.

## მცურავი სკოლა კამბოჯაში

შემდეგი საოცრება წყალზე აგებული სკოლაა, თუმცა კამბოჯაში ეს არავის უკვირს ისე, როგორც წყალზე აგებული სახლები და მაღაზიები.

მცურავ სკოლაში 60 ბავშვი სწავ-




ლობს, მათ შორის 40 ობოლია. ეს ის ბავშვები არიან, რომელთა მშობლები თევზაობის დროს დაიღუპნენ. სკოლაში ერთი დიდი საკლასო ოთახია, სადაც მოსწავლეები სწავლობენ და თავისუფალ დროსაც ატარებენ. სკოლაში ბავშვები სპეციალური ვარცლებით დადიან, რომელიც ნავს მოგაგონებთ.

## კენედუკენი – მომთაბარე სკოლა

ამ ბავშვებს ნამდვილად გაუმართლათ, მათ შეუძლიათ იცხოვრონ მშობლებთან ერთად და მიიღონ კლასიკური სასკოლო განათლება. ასეთი სკოლები მსოფლიოში ბევრი არ არის. ეს სასწავლო დაწესებულება შეიძლება ყველაზე პატარა სკოლადაც ჩაითვალოს, სადაც ექვსიდან რვამდე ბავშვი სწავლობს და მთელ სკოლაში ორი-სამი პედაგოგი მუშაობს. თუმცა ეს არ უშლის ხელს ბავშვებს მიიღონ ისეთი განათლე-



ბა, რასაც ღებულობენ მათი თანამედროვეები. მომთაბარე სკოლა აღჭურვილია თანამგზავრული ინტერნეტმოწყობილობებითაც, რაც მათ აძლევთ საშუალებას დაუკავშირდნენ მსოფლიოს.

## გამოქვაბულის სკოლები ჩინეთში

ნუ განცვიფრდებით ჩინეთის ეკონომიკური სასწაულებით, რადგან, რაც



ხდება ერთ სოფელში, მიანიშნებს იმაზე, თუ როგორი მძაფრი მისწრაფება აქვთ ჩინელებს განათლებისადმი. გუიჯოუს პროვინციაში უნიკალური სკოლა არსებობს. 1984 წელს აქ პირველი სკოლა გაიხსნა და რადგან სკოლის ასაშენებელი ადგილი გადატვირთულ ქალაქში ვერ მოიძებნა, სასწავლო დაწესებულება ახლომდებარე გამოქვაბულში გახსნეს. აქ არის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კლასები, სპორტული დარბაზები და დასასვენებელი ზონაც. დასაწყისში სკოლა ერთი კლასისთვის იყო განსაზღვრული, ახლა აღსაზრდელთა რაოდენობა 186-ს აღწევს. სკოლა ფართოვდება მიუხედავად იმისა, რომ გუიჯოუს პროვინციის მაცხოვრებელ ბავშვებს გამოქვაბულში განთავსებულ სკოლაში მისასვლელად 6 საათი სჭირდებათ.

მოამზადა

**ანა ვადაჭკორიამ**

568 876 160







**სახალხო მკურნალი** (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63



ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com